

ამბროსი (ხელაია) რუსეთის  
საეკლესიო პოლიტიკის  
შესახებ აფხაზეთში

АМВРОСИЙ (ХЕЛАИА)  
О ЦЕРКОВНОЙ ПОЛИТИКЕ  
РОССИИ В АБХАЗИИ



რელიგია კონფლიქტებსა და მოლაპარაკებებში

**ამბროსი (ხელაია) რუსეთის  
საეკლესიო პოლიტიკის  
შესახებ აფხაზეთში**

<<სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“>>

გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა,  
გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო  
**ნუგზარ პაპუაშვილმა**

თბილისი  
2005

**უკაკ(UDC)281.936(479.22):947.922 ა599**

წიგნი მოიცავს XIX-XX სს-ის დიდი საეკლესიო მოღვაწის, პედაგოგის, მისიონერისა და მკვლევრის წმ. ამბროსის (ხელაიას) ერთ-ერთი პოლემიკური ნაშრომის რუსულ დედანს და მის ქართულ თარგმანს სამეცნიერო აპარატით. იგი განკუთვნილია ისტორიკოსების, პოლიტოლოგების, კონფლიქტოლოგებისა და იმ მკითხველებისათვის, რომლებსაც აფხაზეთის პრობლემები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, რელიგიის, სახელმწიფოსა და პოლიტიკის ურთიერთობის საკითხები აინტერესებთ.

რედაქტორი: ედიშერ ხოშტარია-ბროსე, აკადემიკოსი

რეცენზენტები: ზურაბ კიკნაძე ფილოლოგიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი  
თამაზ ჯოლოგუა ფილოლოგიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი


გამომცემელი: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების  
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი



ICCN

ივ. მაჩაბლის 5, I სართული, თბილისი 0105, საქართველო  
ტელეფონი: (995 32) 99 99 87  
ფაქსი: (995 32) 93 91 78  
e-mail: [iccn@iccn.ge](mailto:iccn@iccn.ge)  
<http://www.iccn.ge>

მადლობას ვუცხადებთ ჰოლანდიურ ფონდ **Cordaid**-ს  
გამოცემის დაფინანსებისთვის



© 2005 by Nugzar Papuashvili

**ISBN 99940-805-9-8**

# **Религия в конфликтах и переговорах**

## **Амвросий (Хелаиа) о церковной политике России в Абхазии**

<< По поводу статьи “Голос из Сухума” >>

Подготовка к публикаций, перевод,  
вступительная статья и комментарии  
Нугзара Папуашвили

**Тбилиси  
2005**

В книге представлен русский оригинал и грузинский перевод полемической статьи видного церковного деятеля, педагога, миссионера и исследователя XIX-XX вв. св. Амвросия (Хелаиа). Работа рассчитана на историков, политологов, конфликтологов, а также всех тех, кто интересуется проблемами Абхазии, историей грузинской православной церкви и взаимоотношениями религии, государства и политики.

Редактор: **Эдишер Хоштариа-Броссе**, *Академик*

Рецензенты: **Зураб Кикнадзе**  
*Доктор филологических наук, профессор*  
**Тамаз Джологуа**  
*Доктор филологических наук, профессор*

**Издатель:**

**Международный центр по конфликтам и переговорам**



ICCN

**Мачабели 5 , 1 этаж, Тбилиси 0105, Грузия**

**Телефон: (995 32) 99 99 87**

**Факс: (995 32) 93 91 78**

**e-mail:iccn@iccn.ge**

**<http://www.iccn.ge>**

**Выражаем благодарность Голландскому фонду Cordaid за финансирование издания**



© 2005 by Nugzar Papuashvili

## წინასიტყვა

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი აარსებს სერიას რელიგია კონფლიქტებსა და მოლაპარაკებებში. გამოქვეყნდება როგორც ძველი, ისე ახალი დროის ავტორთა ნაშრომები, რომლებშიც მინიშნებული, წარმოჩენილი და განხილულია რელიგიის ადგილი და გავლენა კონფლიქტური სიტუაციების აღმოცენებისა და შეძგომი მსვლელობის პროცესში. პასუხი აქვს გაცემული კითხვებს: რა შემთხვევაში უწყობს რელიგია, ეკლესიების საქმიანობა ხელს მშვიდობის შენარჩუნებას და განმტკიცებას? რას ნიშნავს „რელიგიურობის კულტურა“ და რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი კულტურა მრავალეთნიური და მრავალკონფესიური სახელმწიფოსათვის, მისი მთლიანობისათვის, სხვადასხვა რწმენისა და ეთნოსის მოქალაქეთა შორის ტოლერანტული სულისკვეთების დასადგურებისათვის? და პირიქით: რა შემთხვევაში ემლება ხელი ერებსა და სახელმწიფოებს, პიროვნებებსა თუ პიროვნებათა ჯგუფებს, სოციალურ თუ პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის მშვიდობისა და თანხმობის დამყარებას? როგორაა დაკავშირებული ერთმანეთთან რელიგია და პოლიტიკა, ეკლესიურ და სახელმწიფო დაწესებულებათა საქმიანობა?

არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაიას) ნაშრომში განხილულია იმდროინდელი რუსეთის ხელისუფლებისა და ბიუროკრატიის რელიგიურ-ნაციონალური პოლიტიკა კავკასიასა და კერძოდ, აფხაზეთის რეგიონში. სტატია საყურადღებოა როგორც ფაქტობრივ-ისტორიოგრაფიული, ისე კონფლიქტოლოგიური და პოლიტო-ლოგიური, ეკლესიოლოგიური და თეოლოგიური თვალსაზრისით. მასში მოცემულია იმ ეთნოკონფლიქტების ანალიზი,

რომელთაც XIX-XX სს-ის მიჯნაზე საქართველოს ამ რეგიონში ჰქონდა ადგილი.

ავტორი რუსეთის საეკლესიო-მისიონერულ პოლიტიკას ქრისტიანი თეოლოგის თვალთ ანალიზებს და რეკომენდაციებსაც გვთავაზობს. მის მსჯელობას დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების იდეამდე მივყავართ, რაც, ამავე დროს, ქრისტიანული სარწმუნოების იდეალია.

სტატია განმსჭვალულია აფხაზი ხალხისადმი თანაგრძნობით და იქვე მინიშნებულია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ისეთი მოდელი, რომელიც რელიგიური და ეთნიური უმცირესობების უფლებებს დაიცავს და მშვიდობისათვის მყარ საფუძველს შექმნის.

წმ. ამბროსის რეკომენდაციები და წინადადებები დღესაც აქტუალურად გამოიყურება. ვიმედოვნებთ, რომ მათი გათვალისწინება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში დადებით როლს შეასრულებს და ხელს შეუწყობს ჩვენი საზოგადოების ჰუმანიზაციას.

გიორგი ხუციშვილი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების  
საერთაშორისო კვლევითი ცენტრის  
გამგეობის თამაჯდომარე,  
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

## Предисловие

Международный центр по конфликтам и переговорам учреждает серию **Религия в конфликтах и переговорах**. В этой серии предусматривается публикация как старых, так и современных авторов, в работах которых рассматриваются вопросы, касающиеся места религии, ее воздействия на возникновение и развитие конфликтных ситуаций; даются ответы на вопросы: в каких случаях религия, церковь способствует сохранению и упрочению мира? Что означает „культура религиозности” и насколько значительна такая культура для полиэтничного государства, где представлены различные религиозные конфессии? Насколько „культура религиозности” важна для сохранения целостности государства, для установления духа толерантности между представителями различных этносов и религий? И, наоборот: в каком случае религия мешает нациям и государствам, отдельным личностям или группам лиц, социальным и политическим институтам установлению между ними мира и согласия? Каким образом взаимосвязаны религия и политика, деятельность церкви и государства?

В работе архимандрита Амвросия (Хелаиа) рассматривается религиозно-национальная политика тогдашних российских властей и бюрократии на Кавказе, в частности, в Абхазии. Статья важна как с фактологической и историографической, так и с конфликтологической и политической, еклезиологической и теологической точек зрения. В ней дается анализ Этноконфликтов, которые имели место в одном из регионов Грузии на рубеже XIX-XX веков.

Церковно-миссионерскую политику России автор



анализирует с позиции христианской теологии и предлагает свои рекомендации. Его рассуждения ведут нас к идее демократии и гражданского общества, являющихся идеалом христианской веры.

Статья проникнута сочувствием к абхазскому народу, вместе с тем, в ней предлагается такая модель отношений между церковью и государством, в которой предусматривается защита религиозных и этнических меньшинств и создание прочной основы для сохранения мира.

Рекомендации и предложения архим. Амвросия и сегодня являются актуальными. Мы надеемся, что они сыграют положительную роль в урегулировании грузино-абхазского конфликта и будут способствовать гуманизации нашего общества.

**Георгий Хуцишвили,**

*Председатель правления  
Международного центра по  
конфликтам и переговорам,  
доктор философских наук*

## წმ. ამბროსი (ხელაია) სიმართლისა და თანხმობის სამსახურში

მიმოხილვისა და გამოცემის მიზანი

წინამდებარე მიმოხილვა და პუბლიკაცია რამდენიმე მიზანს ისახავს:

1) შეძლებისამებრ გააცოცხლოს ის მასალები და ფაქტები, რომლებიც ხელს შეუწყობს წმ. ამბროსის (ბესარიონ ხელაიას) არა მარტო საეკლესიო მოღვაწეობის, არამედ მისი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სამოქალაქო პოზიციების უფრო მეტად გაცხადებას.

2) განისაზღვროს ამ პოზიციების კავშირი იმ საეკლესიო და საღვთისმეტყველო კრედოსთან, რითაც წმ. ამბროსი პირად ცხოვრებასა და საზოგადო მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა.

3) გამოიკვეთოს ის სპეციფიკა, რაც წმ. ამბროსის ღვაწლის არსებით ნიშნებს, თავისებურებას, სტილს, სამისიონერო და სამოძღვრო საქმიანობის მისეულ მეთოდს წარმოადგენს.

4) პასუხი გაეცეს კითხვას: როგორია ეკლესიისა და ღია სამოქალაქო საზოგადოების, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის თაობაზე წმ. ამბროსისეული ხედვა?

კვლევისა და ანალიზის ამ მიმართულებით წარმართვა არის საიმედო გზა, რათა ამ საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის მოწამებრივი პორტრეტი ჩვენს წინაშე მეტი სისავსით წარმოჩნდეს. ჩვენი მიზანი ორიოდე სიტყვით შეიძლება ასე გამოვთქვათ: გადავდგათ ნაბიჯი წმ. ამბროსი აღმსარებლის ღვაწლის წარმოსაჩენად; ამ ღვაწლის სპეციფიკურ ნიშანთა დასაზუსტებლად და ჩვენს დღევანდელობასთან მათი შესაძლო კავშირის განსაზღვრისათვის.

ზოგიერთი მასალა და ფაქტი, რაც ქვემოთაა წარმოდგენილი (როგორც მიმოხილვაში, ისე პუბლიკაციაში), შესაბამის ლიტერატურაში დღემდე ჯეროვანი ყურადღებისა და მსჯელობის საგნად

არ ქცეულა. არადა მათი გათვალისწინების გარეშე წმ. ამბროსის (ხელაიას) სამისიონერო, სამოძღვრო და სამღვდელმთავრო მოღვაწეობის რიგიანი ანალიზი ვერ მოხერხდება. ვერ მოხერხდება აგრეთვე აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს იმდროინდელი ისტორიის სათანადო დონეზე გამოკვლევა.

ამასთანავე: გვინდა მკაფიოდ ითქვას, რომ ჭეშმარიტი მორწმუნეებისა და მამულიშვილების მოქალაქეობათა სიმართლით აღწერა დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია. განახლებული საეკლესიო ცხოვრება, კერძოდ კი მართლმადიდებელი ეკლესია, საქართველოში პირველ ნაბიჯებს დგამს. ეს ნაბიჯები ზშირად ისეთი ფორმით გადაიდგმება, რომ მათი ხმაური კაცს თვალის უცბად ახელის შედეგად მოგვრილ შოკს მოგაგონებს, – იმ შოკს, რომლის თანხმლები ნიშანი აღფრთოვანება და გადიდგულება, პატივმოყვარეობა და მთავრობისმოყვარეობაა. ესაა მახე, რომელშიც ის მორწმუნეები ებმებიან, რომლებსაც სიმდაბლის სული და სათნოება არ შეუძენიათ. ლაპარაკია მორწმუნეთა შორის მორწმუნეობის კულტურის დეფიციტზე ანუ ისეთ მორწმუნეობაზე, რომელიც არ არის გამთბარი თავმდაბლობითა და სიყვარულით. სამაგიეროდ სავსე არის პატივმოყვარეობითა და ძალაუფლების მოყვარეობით, უმეცრებითა და ცრუმორწმუნეობით. ეს თვისებები კი, როგორც წესი, ფანატიზმით ანდა ფანატიკოსობის თამაშით არიან შენიღბულნი და გაჯერებულნი. ასეთი ყაიდის მორწმუნეობა, თუკი ის სერიოზულ მასშტაბში ვლინდება, ნებისმიერი აღმსარებლობის ეკლესიასა და სახელმწიფოს მძიმე პრობლემების წინაშე აყენებს.

გამონაკლისი არც საქართველოა.

მივაქციოთ ყურადღება დრამატულ მოვლენებს, ექსცესებსა და კონფლიქტურ სიტუაციებს, რომელთაც ჩვენს გვერდით ჯერ კიდევ აქვთ ადგილი ხავერდების და ვარდების რეკოლუციის მიუხედავად. დაძაბული რჩება ურთიერთობა სხვადასხვა აღმსარებლობის ეკლესიებს შორის. რელიგიური უმცირესობანი საქართველოში თავს კვლავ დაჩაგრულად გრძნობენ, რასაც ქართველი მართლმადიდებლებისა თუ მართლმადიდებლობის დამჩემებელი მოქალაქეების საგრძნობი ნაწილის ნაციონალურ-ფილეთური და ქსენოფობიური ცნობიერება განაპირობებს (გაბედავს ხელისუფლების რომელიმე

პირველი პირი და იტყვის ყველას გასაგონად, რომ, მაგალითად, – კათოლიკეთა თემიდან ვარ გამოსული და კათოლიკე ვარ! უმრავლესობის ქოქოლა და კიდევ მეტი ხომ არ დაატყდება მას თავს?). ხარვეზები არც საკანონმდებლო ბაზაშია ამოვსებული და არც ის მოდელია მოძებნილი, რომელიც საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს, ეკლესიისა და სკოლის ურთიერთობას თანამედროვე ცივილიზაციისა და დემოკრატიის რეგლამენტებისა და სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრავს.

მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების თანამედროვე პოლიტიკურ გარემოსთან ადაპტაციის გზაზე ბევრი რამ გასარკვევი და დასადგენია.

აღნიშნული ექსცესები და კონფლიქტები რომ აღარ განმეორდეს, საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებიც თავიანთ თავს მართლმორწმუნეებად რაცხენ, საკუთარი რწმენის გამოხატვის კულტურა უნდა შეიძინონ. ასეთ კულტურას თეოლოგები საღ მორწმუნეობას, საღ სარწმუნოებას უწოდებენ. იგი გულისხმობს არა რომელიმე რელიგიურ-თეოლოგიურ სისტემას და დოგმატთა რაგვარობას, არამედ ნებისმიერი სახის რწმენათა და მსოფლმხედველობათა საზოგადოებაში გამოვლენის წესსა და რიგს (ამ საგანზე შედარებით ვრცლად ვსაუბრობთ სტატიაში „კათალიკოსი კალისტრატე საღი სარწმუნოების შესახებ“. – „თავისუფლება“, 2002, №5). წმ. ამბროსისა და მისთანათა ცხოვრება და მოქალაქეობა საღი სარწმუნოების ნიშნებითაა აღბეჭდილი. ამ ნიშნებს ჩვენთვის პირველ რიგში პედაგოგიური მნიშვნელობა აქვთ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პოლიტიკოსები, სოციოლოგები და კონფლიქტოლოგები, რომლებიც კაცთა შორის მშვიდობისა და სათნოების დამყარებისათვის იღვწიან, მტრობისა და შეტაკებების მიზეზებს იკვლევენ, პრობლემებს ფართოდ განიხილავენ და გამოსავალ გზებსაც ეძებენ, წმ. ამბროსის ნაღვაწსა და ნაამაგარში საგულისხმო მასალებს და თეორიულ ნააზრევსაც მოიპოვებენ. ხოლო ეს მასალები და თეორიული ნააზრევი, შესაძლებელია, პირმეტყველ ხატად იქცეს იმ სასულიერო პირებისათვის, რომლებიც რიგით მორწმუნეთა გულსა და გონებაში მორწმუნეობის კულტურის (საღი სარწმუნოების) დანერგვას ცდილობენ ან ამიერიდან

ამას შეეცდებიან. რიგითი მორწმუნეები კი, მართლმადიდებლები თუ სხვადმადიდებლები, თავიანთი სარწმუნოების ექსპრესიით და აფიშირებით არც შინაურებს და არც გარეულებს არ შეაწუხებენ. იქნებ მეტად ჩაუფიქრდნენ ისინი და ჩაულრმავედნენ მოციქულის სიტყვების აზრს: წმიდაჰყავთ ქრისტე, როგორც უფალი, თქვენს გულში და მუდამ მზად იყავით, რომ სიმშვიდით და მოწიწებით უპასუხოთ ყველას, ვინც თქვენი იმედის გამო ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ (1 პეტრე 3:5).

## I ცხოვრება. მოწამეობა. მემკვიდრეობა

„ამბროსი ხელაია“ გუმინ და ღღეს

წმ. ამბროსი აღმსარებელის – უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის (ერისკაცობაში: ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაიას) (1861-1927) – შესახებ საქართველოში „პერესტროიკამდე“ ცოტა რამ ძირითადად პოლოტიკურ დისიდენტებსა და ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევრებს მოეხსენებოდათ. პირველნი მას განხმურებული ანტისაბჭოთა მემორანდუმის, განსაკუთრებით კი სასამართლოზე წამოთქმული სიტყვის: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული საქართველოს, ლეში თქვენ, ჯალათებო!“ ავტორად იცნობდნენ, მეორენი – „მოქცევაი ქართლისაის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელნაწერისა და რედაქციის აღმომჩენად.

საბჭოთა საქართველოში კ-პ ამბროსი ფართო საზოგადოებრიობას პოზიტიური თვალთახედვით პირველად „ქართულმა საბჭოთა ენციკლოპედიამ“ წარუდგინა. იქ, პირველ ტომში, რომელიც 1975 წელს გამოიცა, შესულია ისტორიკოს ბაბილინა ლომინაძის სტატია „ამბროსი“, რომელშიც მოკლედ, მაგრამ არსებითადაა განხილული მისი საეკლესიო-სამოძღვრო და სამეცნიერო მოღვაწეობა. სტატია მთავრდება ასე: „საქართვე. სახელმწიფოებრივი წყობის საკითხში ა. ანტისაბჭოთა თვალსაზრისზე იდგა.“

ამ პუბლიკაციას, ყურადღების ბოლო სტრიქონზე გამახვი-

ლებით, იმავე წელს აღფრთოვანებით გამოეხმაურა რადიოტალღა „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის მთავარი რედაქტორი მალხაზ წკადელი. ამ გადაცემაზე მე, ამ სტრქირონების ავტორი, იმდენად დამინტერესა, რომ „ამერიკის ხმის“ შეძლებისამებრ რეგულარულად მოსმენა დავიწყე და კ-პ ამბროსის შესახებ ცნობების შეგროვებასაც შევეუდექი. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ „მალხაზ წკადელი“ ემიგრანტული ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწისა და მოამაგის – გივი კობახიძის (1919-1998) – ფსევდონიმი იყო\*. ისიც გაირკვა, რომ მას და კიდევ სხვა საზღვარგარეთელ მოღვაწეს სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის წამებული კათალიკოსის შესახებ ემიგრანტულ ქართულ პრესაში რამდენიმე წერილი ჰქონიათ გამოქვეყნებული (შარაძე 1992: გვ.74; II, 2001: გვ.48,54, 338-342, 407-409; III, 2003: გვ.47).

ეს იყო და ეს.

დღეს კი, პოსტსაბჭოური ეპოქის ბიბლიოგრაფიას თუ გადავხედავთ, XIX-XX სს–ის მიჯნაზე მოღვაწე ქართველ სასულიერო პირთაგან ყველაზე მეტი კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის შესახებაა ნათქვამი და დაწერილი, თუმცა ამომწურავი და დაზუსტებული ბიოგრაფია ჯერაც არ მოგვეპოვება. ამის ერთ-ერთ მიზეზად უნდა დასახელდეს ზოგიერთი ისეთი მონაცემის ხელმოწველობა, რაც მისი უწმინდესობის პირადი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნიუანსებს შეეხება. სათანადო დოკუმენტები გაფანტულია საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა არქივში, კერძოდ, იმ ქალაქებისა თუ ოლქების სიძველეთსაცავებში, სადაც ამ რთული ბედის კაცს ცხოვრება მოუხდა. იგი, ნებსით თუ უნებლიეთ, ხშირად იცვლიდა სამყოფელს, რის გამოც მისი პირადი საბუთები, ბიბლიოთეკის ეგზემპლარები, ავტოგრაფული ნუსხები და ნივთები იკარგებოდა, ზოგჯერ – ნადგურდებოდა.

აღნიშნული გარემოება ჰქონდა მხედველობაში ზაქარია ჭიჭინაძეს, როდესაც, 1917 თუ 1918 წელს, ამბობდა:

„ამბროსი ხელაიას მე კარგად ვიცნობ, თვით იმ დროიდან,

\*იხ. წერილები „ამერიკის ხმისათვის“ ხელმოწერით „მალხაზ წკადელი“=გივი კობახიძე“. – თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი (მიგვითითა მუზეუმის თანამშრომელმა რუსუდან კობახიძემ). გ.კობახიძეს ბევრი სხვა ფსევდონიმიც ჰქონდა. შდრ. შარაძე 1998: გვ.9

როცა იგი თბილისის სემინარიაში სწავლობდა, ხოლო მისი ცხოვრების ცნობათა შეკრება ერთობ გამძიმებელია... თუ რამე შეცდომა გვექმნეს, გთხოვთ მოტყუებას“ (ჭიჭინაძე: გვ.305).

კ-პ ამბროსის საარქივო მასალები („საქმეები“), რაც შემორჩენილი და ცნობილია, ჯერ კიდევ არაა თავმოყრილი ერთ პირად საარქივო ფონდში. მათი დიდი ნაწილი საპატრიარქოშია დაცული, ნაწილი შვილთაშვილის – ანი კლდიაშვილის (ბუღაძე 1989: გვ. 14) და, სავარაუდებელია, სხვა კერძო პირთა ოჯახებში. ამის მიუხედავად კ-პ ამბროსის ბიოგრაფია, თუმცა მონოგრაფიულად არა, სხვადასხვა ავტორის მიერ მაინც დამუშავებული და შესწავლილია: საითიძე 2000: გვ. 77-81; ვარდოსანიძე 2000: გვ. 30-66; ვარდოსანიძე 2005 (სხვა ავტორები იხ. ქვემოთ: ლიტერატურა).

ეს ბიოგრაფია, ჩვენს მიერ რამდენადმე დაზუსტებული, სქემატურად ასე გამოიყურება:

ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია  
კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი  
წმ. ამბროსი აღმსარებელი

1861, 7.IX – დაიბადა დაბა მარტვილში;

1871-1873 – სწავლობდა ოჩამჩირის ერთკლასიან სკოლაში;

1873-1879 – სწავლობდა მარტვილის სასულიერო სასწავლებელში;

1878-1885 – სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში;

1886 – ეკურთხა მღვდლად;

1886-1896 – მსახურობდა სოჭში, ახალ ათონსა და სოხუმში;

1882 – დაინიშნა სოხუმის ეპარქიის საარქეოლოგიო კომისიის ნამდვილ წევრად და ხაზინადრად;

1893 – მიენიჭა სოხუმის პირველი ბლალოჩინის წოდება და საკათედრო ტაძრის კანდელაკობა; დაინიშნა სოხუმის ეპარქიის ღარიბ სასულიერო პირთათვის მზრუნველ კომიტეტის შემწედ და მეურვედ;

- 1994 – დაინიშნა სოხუმის „მთიელთა სკოლის“ მასწავლებლად და სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის სკოლების მეურვედ;
- 1893 – დაქვრივდა. დარჩა სამი შვილი;
- 1897-1901 – სწავლობდა ყაზანის სასულიერო აკადემიაში;
- 1900, 11.II – ბერად აღიკვეცა და ეწოდა ამბროსი;
- 1901 – დაინიშნა ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად;
- 1904 – გადმოიყვანეს თბილისში და უბოძეს სინოდალური კანტორის წევრობა და ფერიცვალების მონასტრის წინამძღვრობა;
- 1904 – გადაასახლეს რუსეთში და დაინიშნეს უსტმედვედსკოეს (დონბასი) სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად;
- 1906 – დაბრუნდა საქართველოში და დაინიშნა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად;
- 1908 – დაადანაშაულეს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში, ხელახლა გადაასახლეს რუსეთში და განაწესეს რიაზანის სამების მონასტერში წირვის უფლების გარეშე;
- 1909 – რიაზანის ეპარქიის სამების მონასტრის პატიმარია;
- 1910 – გაამართლეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს;
- 1910-1917 – მსახურობს ნოვგოროდის გუბერნიაში, სტარაია რუსას მონასტერში, წინამძღვრად;
- 1917, 9.VI-2V.III – ეპ. ანტონთან (გიორგაძესთან) და დეკ. კ.ცინცაძესთან ერთად იმყოფებოდა პეტერბურგში; აწარმოებდა მოლაპარაკებას დროებითი მთავრობისა და უწმინდესი სინოდის წარმომადგენლებთან;
- 1917, VIII – ჩამოვიდა საქართველოში და დაიწყო მუშაობა ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტში;
- 1917, 15.X – ხელდასხმულ იქნა ჭყონდიდელ ეპისკოპოსად; იმავე დღეს მიტროპოლიტის პატივი მიენიჭა;



- 1919, 28.VIII – ცხუმელ-ბედიელ მიტროპოლიტად განაწესეს;
- 1921, 5.IX – სრულიად საქართველოს III საეკლესიო კრებაზე გელათში კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს;
- 1921, 14.X – აღასაყდრეს მცხეთაში;
- 1922, 7.II – გენუის კონფერენციას მემორანდუმი გაუგზავნა;
- 1922, 30.V – მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა;
- 1922, 12.VI – პირველად დაიკითხა;
- 1922, 22.VI – აიყვანეს შინაპატიმრობაში;
- 1923, 11.I – გადაიყვანეს ციხეში;
- 1924, 10.III-19.IV – გაასამართლეს და დააპატიმრეს;
- 1925, 10.III – გაათავისუფლეს;
- 1926, 26-27.XII – ქუთაისის საეკლესიო ყრილობამ მისი პოლიტიკა გაკიცხა;
- 1927, 15.I – საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატმა რეგისტრაციაში გაატარა „საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა“, რომელიც მას უკანონოდ მიაჩნდა;
- 1927, 29.III – გარდაიცვალა;
- 1995, 18-19.IX – წმინდანად შვირაცხა აღმსარებლის პატივით; ხსენების დღედ 16(29) მარტი დაწესდა.

### სიჭაბუკე და განათლება

წმ. ამბროსის სიყმაწვილის შესახებ, ამ ტაბელური მონაცემების გარდა, ცოტა რამაა ცნობილი. თუმცა შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მისი სარწმუნოებრივი და მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი სულიერი და ინტელექტუალური მეობა, თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისა და ცხოვრების დროს ჩამოყალიბდა.

ზ. ჭიჭინაძე გვაუწყებს:

„მაშინ სემინარიის მოწაფეთა შორის ძალიან იყო გავრცელებული კოსმოპოლიტობა, იმერლები რომ იტყვიან, „კრაინი-ატრიცატელნი“. ბევრს მაშინდელ გმირებს არც საქართველო სწამდათ, არც ქართველობა, არც ქართული ენის პირობების ძიება. ამ გვარის პირებისაგან ამბროსი ყოველთვის შორს იდგა“.

ეს შეფასება საკესებით ობიექტურია. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, რომ წმ. ამბროსის კოსმოპოლიტობასთან დამოკიდებულების საკითხი უფრო დავაზუსტოთ. უნდა გავიხსენოთ სიტყვა, რომელიც მან 1924 წელს სამსჯავროს წინაშე წარმოთქვა: „... ინტერნაციონალური მიმართულების განვითარების პროცესში არის ერთი პერიოდი, რომელსაც ეძახიან სანტიმენტალურ კოსმოპოლიტობას, რომლის შინაარსს შეადგენს ოცნება მთელი ქვეყნიერების ბედნიერებაზე და იმავე დროს მისი მიმდევარი არ აქცევენ ყურადღებას თავის ოჯახს, თავის ხალხს, თავის სახელმწიფოს. თავისას ყველაფერს უცხოზე დაბლა აყენებენ და აღფრთოვანებულია ყველა იმით, რაც სხვისია. მხოლოდ იმისთვის, რომ ის სხვისია. არ ვიცი, გავლილია თუ არა ეს ხანა ჩვენი ერის ცხოვრებაში, მხოლოდ ვიცი, რომ ამნაირი მიმართულება იყო ჩვენში და ახლაც არიან ზოგიერთები, რომელნიც მზად არიან დიდმპყრობელ ერებთან დაკავშირებას შესწირონ ქართველი ერის თავისუფლება და ეროვნული ინდივიდუალობა... 1904 თუ 1905 წელს ჩვენი სამშობლოს რომელიღაც კუთხეში იყო შიმშილობა და გაზეთებმა გაშალეს ფულის შეგროვება დამშეული ქართველებისათვის დასახმარებლად. ერთმა ქუთაისურმა სოც. დემოკრატიულმა გაზეთმა გამოთქვა, რომ ის თანახმაა აგროვოს შეწირულობა მხოლოდ იმ პირობით, თუ შეგროვილი ფული გაეგზავნება გერმანიის მუშებს. ამ განცხადებამ გააოცა საზოგადოება. შეეკითხნენ ამის შესახებ ბებელს, რომელმაც განუმარტა შემეითხველს, რომ გერმანიის მუშებს იმ დროს არ ეჭირებოდა საქართველოს შემწეობა და ურჩია, რომ იზრუნონ თავის ერისათვის, მისი კულტურულად ამაღლებისათვის, რომ ის გახდეს ღირსეული წევრი ინტერნაციონალურ ოჯახისა და ეს უკანასკნელი იქნება სამსახური კაცობრიობისა“ (ამბროსი 1988: გვ. 160).

და მართლაც: ამბროსი აღმსარებლის პირად ცხოვრებასა და მოღვაწეობას ყოველთვის ახასიათებდა ის ზომიერება, რაზეც მისი თანააკადემიელი, ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი იპოლიტე ვართაგავა გვიამბობს: იგი (ბესარიონი) „პრინციპულად იზიარებდა „ივერიის“ პოზიციებს, მაგრამ ჩემსა და სერგის (გორგაძის, ნ.პ.) უკიდურესობამდის დაყვანილ კამათს თავისი ობიექტურობით, დარბაისლობითა და გულწრფელობით ანელებდა. ბესარიონის აზრს ჩვენ დიდად ვაფასებდით და ზოგიერთ საკითხში შეთანხმებასაც ვაღწევდით“ (სრულიად საქართველოს... 1994: გვ. 8). მეორე მეგობარი და თანამოსაგრე რაფიელ ივანიცკი-ინგილო მოგვიანებით იტყოდა: „კათალიკოსი ამბროსი არ იყო ცალმხრივი ეკლესიური მოღვაწე მონასტრული ბერის ტიპისა... იგი ამავე დროს თვალსაჩინო პოლიტიკურ ინტერესებსაც იჩენდა, განსაკუთრებით, შესახებ საქართველოს საქმეთა. მთელი მისი ცხოვრება ამ ორი მცნების მქონე იყო და ეს მას ისე ჰარმონიულად შესისხლხორცებული ჰქონდა, რომ მას არასოდეს უგრძენია ჰაზრთა და გრძნობათა დაღობა“ (შარაძე II, 2001: გვ. 327).

ჩვენის მხრივ დავძენთ (და ამაზე ქვემოწარმოდგენილი მასალები მიგვანიშნებს), რომ ამბროსი აღმსარებლის აზროვნება და საქმიანობა, პიროვნული მწებელობა და არჩევანი, თუკი მათ ფართო საღვთისმეტყველო კონტექსტში განვიხილავთ და შესაბამისი ენით ვაღმოვცემთ, ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის ნიშანდობლივი ორბუნებოვნებით (დიოფიზიტობით) იყო აღბეჭდილი. ეს ნიშნავს, რომ მის არსებაში, ისე როგორც ქრისტეს არსებაში, ორი რეალობა, ორი სამყარო, ორი ბუნება – ზეციური და ამქვეყნიური, სასულიერო და საერო, საეკლესიო და სახელმწიფო – თანაარსებობდა ცალ-ცალკე, – შეურწყმელად, მაგრამ დაუპირისპირებლად. ესაა ჰარმონია – სიმშვიდე და წონასწორობა. იესო ქრისტეს სიტყვები რომ გავიხსენოთ, წმ. ამბროსი ღმერთს ღვთისას მიაგებდა, კეისარს – კეისრისას (მათე 22:21; მარკოზი 12:17; ლუკა 20:25). ესაა ის არსებითი ნიშანი და სპეციფიკა, რაც ქრისტეს ეკლესიისა და ქრისტიანი კაცის იდეალადაა დასახული.

ვიცით, აგრეთვე, რომ ბესარიონ ხელაია სემინარიის საუკეთესო შეგირდად ითვლებოდა; კარგად ფლობდა რუსულ ენას და

ამ საგნის დაძლევაში უმცროსკურსელებსაც ეხმარებოდა (კ-პ კალისტრატე, მოგონებანი. – ხელნაწერთა ინსტიტუტი, კ.ცინცაძე №109, გვ. 15).

ხუცესი. პედაგოგი. მისიონერი

ზუსტი მონაცემი, თუ როდის ეკურთხა მღვდლად ბესარიონ ხელაია, ცნობილი არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ ეს 1886 წელს ან 1887 წლის დასაწყისში, სემინარიის კურსის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, მოხდა სოფ. სოჭში. ხელდასხმის წესი ახლადღაგენილმა ადგილობრივმა (სოხუმის) ეპისკოპოსმა გენადიმ (იხ. შენ. 5) შეასრულა და ბ.ხელაია სოჭის ეკლესიის მოძღვრად განეწესა.

მასალები ბ.ხელაიას თეთრ სამღვდლო პატივში, ე.ი. ბერობამდელი, საქმიანობის თაობაზე, რაზეც ჩვენ ხელი მიგვიწვდა, წარმოდგენილია იმდროინდელ ქართულ პრესაში. აქ ყურადღებას ერთ არსებით დეტალზე გავამახვილებთ.

1890 წელს, როდესაც მ. ბესარიონი სოხუმის ოლქში მსახურობდა, აფხაზეთში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად და მხარის მისიონერად არქიმანდრიტი ამბროსი (კაკკასიძე) დაინიშნა (ბარნაბიშვილი: გვ. 2-3). მანამდე იგი სახარებას მესხეთში ქადაგებდა იქაურ ქართველ მუსლიმთა შორის და დიდი დამსახურების მქონე მოძღვარი გახლდათ. მისმა ჩასვლამ აფხაზეთში, წირვა-ლოცვებმა, ქადაგებებმა და საუბრებმა ადგილობრივ ქრისტიან და არაქრისტიან მოსახლეობაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რასაც გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციები გვაუწყებს. პირველი კორესპონდენცია (30.IV, №91), რომელიც გულაუთიდანაა გამოგზავნილი, ხელმოწერილია ასე: „ბ.ხ.“ სტატიის სტილი, შინაარსი და სულისკვეთება, ინიციალების დამთხვევასთან ერთად, მიგვანიშნებს, რომ მისი ავტორი მღვდელი ბესარიონ ხელაია არის, ე.ი. კრიპტონიმი „ბ.ხ.“ ბესარიონ ხელაიას უდრის. თუკი ასეა, ეს სტატია მღვდ. ბ.ხელაიას (წმ. ამბროსის) პირველ პუბლიკაციად უნდა ჩაითვალოს. მასვე უნდა ეკუთვნოდეს მეორე კორესპონდენციაც (19.V, №103), რომელიც ანონიმურია.

უეჭველია, რომ ახალბედა მისიონერი ბ.ხელაია თან ახლდა გამოცდილ, მაგრამ აფხაზეთში ახალჩასულ მისიონერ არქიმანდრიტს მთასა და ბარში მოგზაურობისას და ამ მოგზაურობის არსებითი შედეგების თაობაზე იგი ინფორმაციებს თბილისში გზავნიდა\*.

თუ რატომ არ ამჟღავნებდა ავტორი, მღვდელი ბესარიონ ხელაია, ამ შემთხვევაში ვინაობას, ცალკე მსჯელობის საგანია. ჩვენთვის აქ არსებითი სხვა ფაქტორია. არქიმანდრიტ ამბროსის სამისიონერო მოგზაურობის მთავარი მიზანი სასკოლო განათლების საჭიროებასა და მნიშვნელობაში ხალხის, უფრო კი აფხაზების, დარწმუნება ყოფილა. მაგრამ, როგორც აღნიშნული კორესპონდენცია გვაუწყებს, იგი თურმე არც იმ კონფლიქტებისა და დაპირისპირებების განხილვაზე ამბობდა უარს, რაც ხალხს ძალზე აღელვებდა, რასაც მეტწილად რელიგიური საფუძველი ჰქონდა და რაც სხვადასხვა აღმსარებლობის მორწმუნეთა შორის, ასევე მოქალაქეებსა და მთავრობას შორის, ანტაგონიზმს, შურსა და უნდობლობას თესავდა. მთავარი და უშუალო მიზნისათვის რომ მიეღწია, მისიონერს ჯერ მსმენელთა შორის კონფლიქტური განწყობილება უნდა გაენეიტრალებინა და განემუხტა. ასეთი განწყობილების მიზეზი მაშინ შემდეგი გარემოება შექმნილა: მეფის მთავრობას მუსლიმი აფხაზები სამხედრო სამსახურისაგან გაუთავისუფლებია; მათთვის მხოლოდ ბეგარა ანუ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ალტერნატიული სამსახური დაუწესებია, რაც თითოეული კომლისაგან 85 კაპიკის გადახდას ითვალისწინებდა. ამ ფაქტს კი მხარის ქრისტიანი აფხაზი და არააფხაზი მოქალაქეები აუღელვებია; მათ თავი დაზარალებულებად და დაჩაგრულებად მიუჩნევიათ. დაპი-

\*არქიმანდრიტი ამბროსი „ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“ (ტ. III, ნაკ. I, თბ., 1963, გვ. 83) მოხსენიებულია გვართ ხელაია, რაც, ცხადია, შეცდომაა. როგორც ჩანს, ამ შეცდომამ შეიყვანა შეცდომაში გ.საითიძე, რომელიც წერს: ბესარიონ ხელაია „1886 წელს მღვდლად აღიკვეცა ამბროსის სახელით“ (საითიძე 2000: გვ.78). უნდა დავაზუსტოთ: 1) ადამიანი მღვდლად კი არ „აღიკვეცება“, არამედ ეკურთხება (აღიკვეცება ბერად); 2) „ამბროსი“ ბ. ხელაიას საბერო სახელია და არა სამღვდლო. თეთრი ანუ, ძველი ქართულით, – მსოფლიო სასულიერო პირები საერო, სამოქალაქო, ე.ი. ნათლობის, თუნდაც პასპორტის, სახელს, როგორც წესი, ინარჩუნებდნენ.

რისპირებას მწვავე ფორმა გუდაუთაში მიუღია, სადაც ქრისტიანი და მუსლიმი აფხაზები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. 15 აპრილს არქიმანდ. ამბროსი სოფ. ლიხნის ეკლესიას სწვევია, სადაც წირვაზე დიდძალი საზოგადოება შეკრებილა. მოძღვარს შთამბეჭდავი სიტყვა წარმოუთქვამს. მ. ბ.ხელაია, იმჯერად კორესპონდენტის მოვალეობის შემსრულებელი, გვაუწყებს: „მამა ამბროსი შეეხო ისეთ საგანს, რომელიც ყველაზე საყურადღებო იყო ჩვენის აფხაზებისათვის. სჩანს, წინადგე შეეტყო მქადაგებელს, თუ ამჟამად რა გარემოება უფრო აწუხებს ხალხს...“ ამ გარემოებამ კი, დასძენს საქმეში კარგად ჩახედული კორესპონდენტი, „ისე ცუდად იმოქმედა ხალხზედ, რომ არამც თუ ქრისტიანობა მიიღო ვინმე, არამედ თვით ქრისტიანები და განსაკუთრებით ახლად მონათლულნი ისევ მაჰმადის რჯულზედ მიიქცნენ და ქრისტიანობაზედ უარი სთქვეს“.

ამდენად, მისიონერი მძიმე რეალობის წინაშე იდგა, მაგრამ მსმენელთა გულამდე მისასვლელი გზა მაინც იპოვა. მან დაარწმუნა საზოგადოება, რომ „მთავრობას ქრისტიანების სიკეთე უნდა და არა ის, რომ ასეთის განკარგულებით უპირატესობას აძლევდეს მუსულმანებს... მთავრობა ქრისტიანებს უფრო მეტად ენდობა, სახელმწიფოს შვილებად მიიჩნია და მაჰმადიანებს მხოლოდ ხარკს სთხოვს ფულად“. როგორც ვხედავთ, მქადაგებელს მშვიდი ახსნა-განმარტების მეთოდისათვის მიუმართავს და მიზნისთვისაც მიულწევია. კორესპონდენტი საგანგებოდ აღნიშნავს: ეს დარიგება წარმოთქმული იყო „მდაბიო გასაგონის ენით... მამობრივმა გარიგებამ და შემწეობის აღმოჩენამ და დახმარებამ ძალიან ასიამოვნა ხალხი, თითქოს გული მოუღობო ყველას და თბილი სხივი ჩაუფინა“. ამის შემდეგ აფხაზმა მშობლებმა ერთხმად და ხალისით გადაწყვიტეს, რომ ყმაწვილებს სამრევლო სკოლებში შეიყვანენ.

ჩვენთვის ცნობილია (და ქვემოთ წარმოდგენილი პუბლიკაციაც ადასტურებს), რომ წმ. ამბროსი აღმსარებელს მსგავსი და გაცილებით მწვავე კონფლიქტების პირისპირ დგომა სხვა დროსაც არაერთგზის მოუწია; პირველ რიგში – აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში. ეს მხარე საქართველოში, და რუსეთის მთელს იმპერიაში, ერთ-ერთი ცხელი წერტილი იყო. მღელვარებას კოლონიური

რეჟიმისა და რუსიფიკაციის წინააღმდეგ XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში აქ ბოლო არ უჩანდა. ველიკორუსული პოლიტიკის მსახურის როლში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია გამოდიოდა. მისი სტრატეგია, რომლის გამოაშკარავებასა და შეფასებას წმ. ამბროსის მოღვაწეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს, იმდენად მიბმოდა და შერწყმოდა სახელმწიფოს, მის იმპერიულ ზრახვებს და, თუნდაც, ნაციონალურ ინტერესებს, რომ ამ ეკლესიაში საეკლესიო იდეალები ფაქტობრივად დათრგუნული აღმოჩნდა, საერო-სახელმწიფოებრივი იდეალები კი – აღზევებული. ორი სხვადასხვა წარმოშობის რეალობა – ეკლესია და სახელმწიფო – უკვე ერთ რეალობას, ერთ კონგლომერატს წარმოადგენდა მეორის პრიმატიით. უდავოა, რომ ეკლესიის საერო და სახელმწიფო ინტერესებით დახუნძლვა ჭეშმარიტ სამისიონერო საქმეს, თავისუფალს ეროვნული და პოლიტიკური ინტერესებისაგან, ძლიერ აზიანებდა. ასეთი ვითარების გამო სახელმწიფოში ნაციონალურ-რელიგიური კონფლიქტები კიდევ უფრო ღვივდებოდა, ღრმავდებოდა ნაპრალი ერთი და იმავე ქვეყნის, მაგრამ სხვადასხვა ეთნოსისა და კონფესიის მოქალაქეებს შორის.

აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეთა შორის კანონიკური ქრისტიანობის აღდგენის საქმეს სწორედ ეს ვითარება – რუსეთის ეკლესიის ნაციონალიზმი – აზიანებდა. ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილი არაა, თუ როგორი კალაპოტით წარიმართა ხსენებული არქიმანდრიტის (ამბროსი კავკასიძის) მისია. ვიცით მხოლოდ, რომ ეს მისია მალე შეჩერდა (მიზეზი, შესაძლებელია, მისიონერის გარაცვალება ყოფილიყო) და აფხაზების დიდ ნაწილს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი არასასურველი დამოკიდებულება დაუფულა. ამ მხრივ საყურადღებოა კორესპონდენცია „სოხუმი“ („ცნობის ფურცელი“, 1896, 21.XII, №63), რომელიც ანონიმურია, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით იგი, ასევე, მღვდ. ბ.ხელაიას უნდა ეკუთვნოდეს. წერილში ლაპარაკია აფხაზეთში რელიგიური სიტუაციისა და ახალი მისიონერის, ევტიხი მამინაიშვილის, შესახებ. მას 1896 წლის ახლო ხანს მოსკოვის სასულიერო აკადემია დაუმთავრებია და „კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას“

აფხაზეთის მისიონერად დაუნიშნავს. სტატიაში ვკითხულობთ: „... ბატონმა მისიონერმა მოიარა აფხაზეთი და ქრისტიანობის გავრცელების საქმე ძალიან უნუგემო მდგომარეობაში ჰპოვა. ახლად მონათლული აფხაზები ისევ მაჰმადის სარწმუნოებაზე გადასულან, სოფლებში მოღები გამრავლებულან და მედრესეები გაუხსნიათ აფხაზების ბავშვებისათვის. კვირა-უქმეობით ეკლესიებში მართო მღვდელ-დიაკონს თუ ნახავს კაცი. ეს სამწუხარო მოვლენა შენიშნულია უფრო ბზიფში (დასავლეთ აფხაზეთში), რომელიც მამა ამბროსი კავკასიის შემდეგ უმისიონეროდ იყო დარჩენილი. ბ-ნმა მამინაიშვილმა ქრისტიანობის ამ უნუგემო მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და აღვითქვა, სათანადო ღონეს ვიღონებ... [იგი] ახალგაზრდა კაცია, ჯანით სავსე და ყოვლის კეთილის მისწრაფებით გამსჭვალული და მეორეც, როგორც ჩვენებური კაცი, უფრო მიხვდება ადგილობრივს საჭიროებას და მისთვის შესაფერ წამალს გამოძებნის“.

უნდა ვიფიქროთ, რომ მოლაპარაკებათა შედეგიანად წარმართვის პრაქტიკა წმ. ამბროსიმ არქიმანდ. ამბროსისა და ე.მამინაი-შვილისგანაც შეიძინა. არქიმანდ. ამბროსი, შესაძლებელია, ერთ იმ უფროს მეგობართაგანი იყო, რომლებმაც მას, ახალგაზრდა მღვდელს, საღვთისმეტყველო და მეცნიერული ცოდნის ამაღლებაზე ზრუნვა შთააგონეს. ასეთი მიზანი, საეკლესიო ასკეტიკის პრინციპთა თანახმად, ყველაზე სრულყოფილად ბერმონაზვნობის პირობებში პოვებდა ხორცშესხმას. მღვდ. ბ.ხელაია ამ გზას დაადგა. 1897 წელს მან მრევლში სამსახურს თავი დაანება და სახელმწიფო ხარჯით (უგამოცდოდ) ყაზანის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1897 წლის 30 ნოემბერს (№386) აქვეყნებს კორესპონდენციას სოხუმიდან – „კეთილი მოძღვრის წასვლა“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ამ ზაფხულში აქაურის საკრებულო ტადრის მღვდელმა მამა ბეს. ხელაიამ სოხუმს თავი დაანება და ყაზანის სასულიერო აკადემიაში შევიდა სწავლის გასაგრძელებლად. მამა ბ.ხელაიას მთელი მრევლის განუსაზღვრელი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული თავისის მამაშვილურისა და სათნო ქცევით. ყველას გული



დასწვევითა საყვარელის მოძღვრის მოშორებამ“.

აკადემია. ბერმონაზვნობა

ყაზანის სასულიერო აკადემია, დაარსებული 1797 წელს, ისტორიულ დისციპლინებზე ორიენტირებული უმაღლესი სასწავლებელი იყო. იქ, რეგიონის სპეციფიკის გამო, განსკუთრებული ყურადღება პროფესიონალ მისიონერთა მომზადებას ექცეოდა, რისთვისაც თურქულ-თათრული, არაბული, მონღოლური და ყალმუხური ენებიც ისწავლებოდა. ბ.ხელაია, უკვე გამოცდილი მისიონერი და ღვთისმსახური, აკადემიის სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო-შემოქმედებით მუშაობაში აქტიურად ჩაება. აკადემიის სამლოცველოში იგი ზოგჯერ, წმ. ნინოს ხსენების დღეს (14.I), ქართულადაც სწირავდა. წირვაზე თურმე ის ქართველი და არაქართველი სტუდენტები გალობდნენ, რომლებიც თბილისის სასულიერო სემინარიაში იყვნენ აღზრდილნი. მსახურებას ყაზანის თითქმის მთელი ქართველობა ესწრებოდა და მათი კონსოლიდაცია ხდებოდა. ქადაგებებს პროფესორ-მასწავლებლები და თვით რექტორიც ისმენდნენ და კმაყოფილები რჩებოდნენ, რასაც ადგილობრივი რუსული პრესაც აღნიშნავდა (იხ. „ივერია“, 1898, 12.II. №32; „ცნობის ფურცელი“, 1898, 12.II, №454).

ეტყობა, წმ. ამბროსიმ ბერად აღკვეცის სურვილი აკადემიაში შესვლისთანავე გამოამჟღავნა, რაც მისმა თანაკურსელმა, შემდეგ ცნობილმა ისტორიკოსმა სერგი გორგაძემაც იცოდა. ამაზე მიგვანიშნებს მისი წერილი, გამოგზავნილი ყაზანიდან იმავე 1897 წელს, სადაც ყურადღება ქართველ ბერმონაზონთა რიცხვის მატებაზეა გამახვილებული. ნათქვამია, რომ ბოლო დროს ბერთა რიგებს ბევრი ახალგაზრდა შეემატა – ლეონიდი, დიმიტრი, კირიონი, დავითი (კაჭახიძე). „...ეს უკანასკნელი ათი წელი საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში შავი სამღვდელოების განახლების ხანად უნდა ჩაითვალოს... ამის უტყუარ მაგალითს, ზემოთ აღნიშნულ პირთა გარდა, წარმოგვიდგენს კიდევ მ. ბესარიონ ხელაია, რომელიც წელს ჩვენთან ერთად მიიღეს ყაზანის აკადემიაში. ამის გადაწყვეტილება

სინოდისაგან 31-ს ოქტომბერს მოგვივიდა. მ. ბესარიონს თბილისის სემინარია დაუმთავრებია 1885-ში მეორე შევირდათ, მერე მღვდლათ კურთხებულა და წლამდე სოხუმის საკათედრო ტაძრის კანდელაკი ყოფილა. ამ ოთხი წლის წინათ იგი დაქვრივებულა და ხელზე დარჩენია ობლათ სამი შვილი. საბედნიეროთ მ. ხელაიას მამა (მღვდელია) ცოცხალი ყავს და სწორეთ ამ გარემოებას შეუწყვია მისთვის ხელი, თორემ, შეიძლება, ვერც კი გაებედნა ყმაწვილების დატოვება. დღეს იგი სულ 35 წლისაა და დიდათ საკვირველია და ამასთანავე ქების ღირსი, რომ კიდევ შერჩენია სწავლის



არქიმანდრიტი ამბროსი

სურვილი და ენერგია... ამის მაგალითი რუსეთის სამღვდელთა-ში იშვიათი არაა... ჩვენში კი მ. ბესარიონი პირველ მაგალითად უნდა ჩაითვალოს... თვით მ. ბესარიონი უეგზამენოთ მიიღეს უწმ. სინოდის განკარგულებით“ (გორგაძე 1897: გვ. 7-8).

სამი წლის შემდეგ ს.გორგაძემ მკითხველთა ფართო წრეს ახალი ინფორმაცია მიწოდა: 1900 წლის 11 თებერვალს საღამოს 6 თუ 7 საათზე ყაზანის სასულიერო აკადემიის ეკლესიაში ათამდე ქართველი შეიკრიბა. დანიშნული იყო მღვდელ ბ.ხელაიას ბერად აღკვეცა. წესი რექტორმა, ეპ. ანტონიმ, შეასრულა და გულშიჩამწვდომი სიტყვა წარმოთქვა. „მან უკანასკნელად შეავედრა იგი ღმერთს „ბესარიონის“ სახელით, აიღო ხელში მაგრატელი (თმის ღერის შესაკვეცად, ნ.პ.) და ამის მერე „ბესარიონი“ აღარავის გაუგონია: მას უწოდეს ამბროსი“. მღვდელმთავარს უთქვამს: „საბერო სათნობათა შორის სიმდაბლე ყველაზე უფრო მაღალი და ძნელი სათნობაა. იგი შველის კაცს, მოთმინებით აიტანოს ყოველგვარი გაჭირვება... ჭეშმარიტი სიმდაბლით აღჭურვილი მოძღვარი თვით გულქვა და

ამპარტავან ადამიანებზეც კი ძლიერს ზნეობრივ გავლენას იქონიებს ხოლმე... სიმდაბლის მქონე კაცი იმითაა კიდევ ძლიერი, რომ მას თვით სიკვდილის მოახლოებაც კი ვერ შეაშფოთებს, იმ სიკვდილისა, რომლის წინაშეც ასე ხშირად თრთიან ხოლმე თვით უძლეველი და გულმაგარი გმირები. ასეთია სიმდაბლის უაღრესობა, მაგრამ რამდენადაც ძლიერია იგი, იმდენად უფრო ძნელია მისი მოპოვება; განსაკუთრებით ძლიერ უჭირთ ეს ახალგაზრდა და გამოუცდელ ბერებს“ („დროებითი ჩრდილოელი“ 1900: გვ. 1-3).

შემთხვევითი არ უნდა იყოს ფაქტი, რომ მღვდელმონაზონმა სტუდენტმა საკანდიდატო დისერტაცია ისლამის ისტორიის საკითხებზე დაიცვა. მისი წერილებიდან მღვდ. პოლიევქტო კარბელაშვილისა და ეპ. ლეონიდიხაძის (საითიძე 2000: გვ. 89-93) ჩანს, რომ ის დიდი ინტერესით კრებდა მასალებს მოცემულ თემაზე, ე.ი. ისლამურ და ანტიისლამურ ღვთისმეტყველებაზე, და ამ თემაზე არსებულ ლიტერატურას თვითონ „სამისიონერო ლიტერატურას“ უწოდებდა. საკვალიფიკაციო თხზულებამ, რომლის სათაურია **“Борьба Христианства с Исламом в Грузии”**, სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. პროფ. მალოვს უთხოვია დისერტანტისათვის, შეავსე ზოგიერთი თავი და კვლავ წარმოადგინე მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად („ივერია“, 1901, 14.VII, №152). დისერტანტის პასუხი ჩვენთვის ცნობილი არაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ამოცანის გასახორციელებლად მას დრო არ რჩებოდა. ჩანს, იგი აფხაზეთში აპირებდა დაბრუნებას, რათა იქ მუსლიმ და ადგილობრივი ეთნიკური კულტების მსახურთა, ე.ი. ადგილობრივი (პაგანური) რელიგიის მიმდევართა შორის მისიონერული საქმიანობა გაეგრძელებინა, რისთვისაც რელიგიის ისტორიისა და, კერძოდ, ისლამოლოგიის რიგიანი ცოდნა წაადგებოდა.

მონასტერში და მონასტრის გარეთ

ბერი ამბროსი სამშობლოში არქიმანდრიტის პატივით დაბრუნდა და ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა (რაჭაში). ამის თაობაზე დეკ. დავით ღამბაშიძე საზოგადოებას ატყობინებდა:

„...მამა ამბროსი ხელაიას, რომელმაც ამ წელში დაასრულა ყაზანის აკადემიაში კურსი კანდიდატის ხარისხით, განუცხადებია სურვილი ჭელიშის მონასტერში წასვლაზე გარდაცვალებული არქიმანდრიტის დანიელის ნაცვლად...“ (ლაბაშიძე 1901: გვ. 2-3).

არქიმანდ. ამბროსიმ ჭელიშის სავანეში სამ წელიწადს დაყო. იქ იგი წინამძღვრის საქმიანობასთან ერთად არქეოგრაფიულ სამუშაოებსაც აწარმოებდა, რაც ჩვენი იმდროინდელი საზოგადოებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა (მერკვილაძე 1901; ჭელიძე 1903). მან შემოიარა რაჭა, დაათვალიერა ძველი ტაძრები და სხვა ისტორიული ძეგლები, შეკრიბა ცნობები და ბევრი საყურადღებო დაკვირვება შემოგვთავაზა, რაც მისი სტატიების ციკლშიც აისახა (გამოქვეყნდა ნაწილ-ნაწილ ჟურნალებში „განთიადი“ და „ცხოვრება“ 1915-1917 წლებში; დედანი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში; მზადდება გამოსაცემად პროფ. მიხეილ ქავთარიას მიერ).

არქიმანდ. ამბროსის არქეოგრაფიული კვლევა-ძიების გვირგვინს წარმოადგენს ჭელიშის მონასტრის საწიგნობელში რამდენიმე ძველი ხელნაწერის აღმოჩენა და გაშიფრვა. ერთ-ერთ ხელნაწერში მან დაადასტურა აღმოსავლეთ საქართველოს გაქრისტიანების უძველესი ქრონიკის – „მოქცევაი ქართლისაის“ – მანამდე უცნობი რედაქცია, რომელსაც პირველი გამოკვლევა თავადვე მიუძღვნა. ეს რედაქცია ავსებს და ამდიდრებს მეორეს, – მანამდე ცნობილ რედაქციას, წარმოდგენილს შატბერდის სახელგანთქმულ კრებულში. ჭელიშის აღნიშნული ხელნაწერი, ზოგ სხვა მნიშვნელოვან ხელნაწერთან ერთად, არქიმანდრიტმა თბილისში ჩამოიტანა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს გადასცა (ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში - H 600), ხოლო ამ აღმოჩენის შესახებ რეფერატი ერთ-ერთ სამეცნიერო სხდომაზე წაიკითხა (ამბროსი 1907: გვ. 1-29).

დეგნილობა

1904 წელს არქიმანდ. ამბროსი თბილისში გადმოიყვანეს;

დანიშნეს სინოდალური კანტორის წევრად და ფერიცვალების მონასტრის წინამძღვრად. ამ დროიდან იგი ქართველი სამღვდელ-ლოების იმ წრეს უერთდება, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის განახლებისათვის აქტიური ბრძოლა წამოიწყო. ამის გამო მას ბევრი უსიამოვნება შემთხვა. იგი იმავე (1904) წელს თანამდებობიდან გადააყენეს და უკრაინაში გადაასახლეს. მართალია, იქიდან ორი წლის შემდეგ დააბრუნეს და კანტორაში თანამდებობა აღუდგინეს, ამასთანავე გარეჯის ნათლისმცემლის წინამძღვრობა უბოძეს, მაგრამ სამი წლის შემდეგ კვლავ გადაასახლეს\*.



საზოგადოებისათვის თავიდან მთლად ნათელი არ იყო მიზეზი, თუ კონკრეტულად რის გამო განახორციელეს არქიმანდ. ამბროსის მიმართ რეპრესიული ზომები. ამ და ბევრი სხვა პრობლემის შესასწავლად საყურადღებოა სტატიების ციკლი, რომელიც გაზ. „საქართველოში“ 1915-1916 წწ-ში ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდა ფსევდონიმით „ახელი“. იქ ნათქვამია: „... ნიკონის ტრადიკული გარდაცვალების შემდეგ უწ. სინოდის მოხელეებმა, ვ. იაცკევიჩმა და ნ.სპერანსკიმ, რევიზია მოახდინეს ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორაში და დასავლეთ საქართველოს საქარქიო კანცელარიაში... შედეგი ამ რევიზიისა იყო უწ. სინოდის 1908 წლის 22 დეკემბრის

არქიმანდრიტი ამბროსი

\*აქვე შევნიშნავთ, რომ ზ.აბაშიძის სტატიაში „Амвросий“, რომელიც შესულია „Православная энциклопедия“-ში (т. II, Москва, 2001), დაშვებულია უზუსტობა: არქიმანდ. ამბროსი რიაზანში არა 1905 წელს გადაასახლეს, როგორც აღნიშნულია იქ (გვ. 140), არამედ – 1908 წელს, როდესაც იგი მეორედ დასაჯეს.

16,514 ნომრით უკაზი, რომელიც დღესაც, შვიდი წლის შემდეგ, გაუგებარი და საიდუმლოებით მოცულია... – არქიმანდრიტი ამბროსი დათხოვნილ იქნას და გადაყვანილ რიაზანის ეპარქიის სამების მონასტერში ბერად ადგილობრივ ეპისკოპოსის ზედამხედველობის ქვეშ და მღვდელმოქმედების აკრძალვით“ (ახელი 1916). ამდენად, ფაქტია, რომ არქიმანდ. ამბროსის მეორე გადასახლების მოტივი ეგზარქოს ნიკონის საიდუმლოებით მოცულ მკვლელობასთან იყო დაკავშირებული. ცხადია, შეიძლება, რომ ხელისუფლებას ეჭვები ნებისმიერი ავტოკეფალისტის მიმართ აღძვროდა.

გადასახლება თავიდან მკაცრი და პიროვნების ღირსების შემლახავი იყო. ამის დასტურად არქიმანდ. ამბროსის ის სიტყვები გამოვკვადგება, რომელთაც ვხვდებით მის წერილში ეპ. კირიონისადმი: „... ამნაირ მიყრუებულ ადგილას მიმაგდეს, მაგრამ ჩემი ბრალია. რათ მინდოდა ეს ბერობა... აქ ხმა დაუგლიათ ჩემი რექტორად გადაყვანაზე. ეს, რასაკვირველია, ჭორია“ (კიკნაძე 2001: გვ. 29). ესაა უდიდესი ტკივილი და კრიზისი, რაც კი შეიძლება ბერს დაეუფლოს. ასეთი განწყობილების ერთ-ერთი მიზეზი სამშობლოსაგან განშორების სევდა იყო. აი, უმმაფრესი ნოსტალგიის ერთი ნიმუში (მისი სიტყვები):

„... ხაზინადარმა, რომელიც სეირნობისას მუდამ ჩემთან უნდა ყოფილიყო, მიმითითა ერთ საფლავზე და მითხრა, რომ აქ მარხია საქართველოს დედოფალიო... აღმოჩნდა, რომ იქ დასაფლავებულია... დედოფლის მხევალი...“ – მარიამი, 1821 წელს გარდაცვლილი. „... ჩემს რიაზანში ყოფნის დროს ერთადერთ ნუგეშად მიმაჩნდა ამ საფლავთან მისვლა და მთელი საათობით ჯდომა, რადგანაც აქ ვგრძნობდი რაღაც მშობლიურს და ვნუგეშობდი უსახლვრო ოცნებებით. აქ ხშირად ფიქრებში გართულს ცრემლებიც კი ვერ შემიკავებია. იფიქრებდა კი უცხოეთში სიკვდილის წინ საცოდავი მარიამი, რომ ოდესმე მის საფლავს ნახავდა ვინმე ქართველი, მშობლიურ ენაზე საუკუნო ხსენებას შეუთვლიდა და სამშობლოს ბედზე დაფიქრებული ცრემლებსაც დაღვრიდა მის საფლავთან?!“ (ამბროსი 1917).

საქმეს (1908-1909 წწ-ში) გენერალ-პროკურორი, იუსტიციის

ყოფილი მინისტრი, შეგლოვიტოვი, იძიებდა. ვინაიდან დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობდა, ეს საქმე დაიხურა და ეჭვმიტანილის მიმართ ძიების პროცესი შეწყდა (საითიძე 2000: გვ. 79). მას ყველა უფლება აღუდგინეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს, თუმცა რუსეთის ერთ-ერთი ჩინებული მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს ნოვგოროდის ეპარქიაში.

1917 წლის იანვარში არქ. ამბროსი პეტერბურგშია, სადაც ქართული ეკლესიის გახსნას ესწრება და თანამწირველიცაა (საითიძე 2000: გვ. 80). ამასთანავე, იგი აქტიურადაა ჩართული მოლაპარაკებათა სერიაში, რომელიც საქართველოს ეკლესიის დელეგაციასა და უწმ. სინოდის წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობს საქართველოშიც და რუსეთშიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა ცნობის თაობაზე. წმ. ამბროსი ტერიტორიული ავტოკეფალიის იდეას იცავდა და ეწინააღმდეგებოდა ფილეთიზმს ანუ ეკლესიის, კერძოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ეროვნული ნიშნით ორგანიზების პრინციპს, რასაც მაშინ რუსეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლება გვთავაზობდა (პაპუაშვილი 1996: გვ. 12-13).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ამბავი, რაც 1917 წლის 12/25 მარტს მოხდა, არქიმანდ. ამბროსიმ რუსეთში გაიგო. იმავე წლის ივლისის დამლევს იგი ეახლა აგილობრივ (ნოვგოროდის) ეპისკოპოსს არსენის, რუსეთის ეკლესიის უთვალსაჩინოეს მღვდელმთავარს, რომელიც თურმე ქართველების და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იდეის მიმართ კეთილად იყო განწყობილი, და სამშობლოში დაბრუნებაზე ნებართვა ითხოვა (ცინცაძე 2001: გვ. 226). როგორც კი თანხმობა მიიღო, გამოემშვიდობა მონასტერს და სამშობლოში დაბრუნდა. მსახურობდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის აპარატში; აქტიურად მონაწილეობდა სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრების მოსამზადებელ სამუშაოებსა და კრების მსვლელობაში (1917 წლის სექტემბერი); საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო, საზოგადოებრივ და კულტურულ მისიაში. 1917 წლის 15 ოქტომბერს იგი ჰყონდიდის ეპისკოპოსად იქნა

ხელდასხმული და მიტროპოლიტად პატივდებული; 1919 წლის 28 აგვისტოს კი ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავრად განაწესეს.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქათველოს ოკუპაციისა და გასაბჭოების (1921 წლის თებერვალი-მარტი) შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ანტირელიგიური ისტერია აზვირთდა. ახალი რეჟიმის მარწუხი მაშინ ყველაზე მეტად მართლმადიდებელმა ეკლესიამ იწვნია. ქვეყნის საერთო კლიმატი იმდროინდელი სამღვდლოების თვალსაჩინო წარმომადგენელმა დეკ. ნიკიტა თალაკვაძემ ასე დაახასიათა: „დაიწყო



კათალიკოსი ამბროსი

დიდი ზნეობრივი გათახსირება,“ – ეკლესია-მონასტრების მასობრივად დაკეტვა, რბევა და ძარცვა, ალაგ-ალაგ დანგრევა, მორწმუნეთა სინდისის აბუჩად აგდება და ფეხქვეშ გათელვა. ასეთ პირობებში 1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათში შედგა სრულიად საქართველოს III საეკლესიო კრება, რომელმაც კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე მიტროპოლიტი ამბროსი გამოარჩია და ი/წ 1/14 ოქტომბერს, ცხოველმყოფელი სვეტის ხსენების დღეს, აღასაყდრა. სიტყვა, რომელიც მისმა უწმინდესობამ იმ დღეს წარმოთქვა, ფართო საზოგადოებისათვის ახლახან გახდა ცნობილი (ვარდოსანიძე 2005: გვ. 22-23).

აღნიშნული კრებისა და ინტრონიზაციის (პატრიარქად აღსაყდრების) დეტალები, აგრეთვე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყოფა ახალგაწითლებულ საქართველოში, ამ ეკლესიის იმდროინდელი საჭეთმპყრობელთა (ლეონიდისა და ამბროსის) უმძიმესი დღეები, სირთულეები შინაც და გარეთაც, განსაცდელი და აურაცხელი შეურაცხყოფა მათგან, ვისგანაც მოსალოდნელი იყო, და მათგანაც, ვისგანაც მოსალოდნელი არ იყო, მკითხველთა ფართო



წრისათვის ხელმისაწვდომია. ზემოთ დასახელებული ავტორების გარდა (ს.ვარდოსანიძე, გ.საითიძე, ნ.პაპუაშვილი) დავიმოწმებთ ვ.გურგენიძის, მ.ხუციშვილისა და ს.ლეკიშვილის, ი.კვესელავას, გ.როგავას, აკ.ბრეგაძის, ქ.ნადირაძის შრომებს (იხ. ქვემოთ – ლიტერატურა). ამ შემთხვევაში ყურადღებას რამდენიმე ყველაზე არსებით ფაქტსა და მოვლენზე გავამახვილებთ.

აფხაზეთში წმ. ამბროსის სამწლიანი (1919-1921) სამღვდელმთავრო მოღვაწეობის დეტალები ჩვენთვის ცნობილი არაა, მაგრამ, თუკი იმუჟამდ იქ არსებულ კონფლიქტურ ფონს გავითვალისწინებთ, ეს მოღვაწეობა ერთობ მძიმე უნდა ყოფილიყო; მას კვლავ მოუწევდა არა ერთი და ორი რელიგიურ-ნაციონალური და პოლიტიკური კონფლიქტის წინაშე დგომა. ფაქტი, რომ იმხანად აფხაზეთში საეკლესიო ასპარეზზე რაიმე ხმაურიან ექსცესებს ადგილი არ ჰქონია (ასე ჩანს), ჩვენ ადგილობრივი ეპისკოპოსის (ამბროსის) მართებული სამოძღვრო პოლიტიკის ნაყოფად გვესახება. ამასვე გვაუწყებს რ.ივანიც კი: „გაუტანლობისა და ინტრიგობის ხანაში მიტროპოლიტის ხარისხზე აღყვანილი ამბროსი ბრძნულად და განსაცვიფრებელის პოლიტიკური ნიჭით განაგებდა ცხუმ-ბედიის მეტისმეტად საპასუხისმგებლო ეპარქიას. მისი გავლენა და პოპულარობა აფხაზეთში დღითიდღე იზრდებოდა და ბოლოს იგი შეიქმნა მუნ ცენტრალურ პიროვნებად, რომელიც ამ განაპირა კუთხეში განასახიერებდა საქართველოს მთლიანობის იდეას“ (შარაძე II, 2001: გვ. 328).

„ამნაირი დევნულობა, როგორც ჩვენში მოხდა, ისტორიამ არ იცის“  
(წმ. ამბროსი)

აფხაზურ სეპარატიზმს, რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესებითა და ხრიკებით გააქტიურებულს, მალე საბჭოთა რეჟიმის მებრძოლი ათეიზმიც დაემატა. სოხუმის რეკომმა პირველ რიგში მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის მეთაურზე მიიტანა იერიში. აი, რას ამბობს თავად წმ. ამბროსი ამ რეჟიმის პირველი ნაბიჯების შესახებ: „როდესაც ახალი ხელისუფლება მყარდებოდა საქართ-

ველოში, მე განვაგებდი სოხუმის ეპარქიას. რა ვნახე? სოხუმში ახალი მთავრობის თითქმის პირველი აქტი იყო ქართველებისა და აფხაზებისათვის საკათედრო ტაძრის ჩამორთმევა და გადაცემა რუსებისათვის, რომლებიც რაოდენობით სოხუმის მკვიდრთა ერთ მეოთხედსაც არ შეადგენენ და რომლებიც არ ემორჩილებოდნენ საქართველოს ეკლესიას; მეორე, ეკლესიისათვის საკეთილო ზომა იყო სამღვდელმთავრო სახლის ჩამორთმევა, ჩემი იქიდან ძალით გამოგდება, ბარგის ქუჩაში გამოყრა, ჩემი კომისარიატიდან კომისარიატში შეიარაღებული მილიციონერების საშუალებით ტარება და ჩემი ზუთი თვის განმავლობაში ხან ვისთან და ხან ვისთან თავის შეფარება; მე-3, კარის ეკლესიის დანგრევა; 4. კანცელარიისა და ისტორიისათვის ძვირფასი არქივის სანახევრო განადგურება და ნაშთის სამზარეულოსთან ნესტიან ოთახში შეყრა, სადაც სისტემატურად ნადგურდებოდა; 5. საეკლესიო სახლის ჩამორთმევა და მღვდელმსახურთა შევიწროვება... ყველა ეს მოხდა ახალი მთავრობის დამყარების პირველ დღესვე“ (ამბროსი 1988: გვ. 157)

რ. ივანიცკი-ინგილო ზემოთ მოყვანილი ციტატისის შემდეგ ამბობს: „... დევნილი და შეწუხებული, ძირბუდიანათ გაძარცვული წითელი არმიელების მიერ, ის 1921 წლის ზაფხულში ჩამოვიდა თფილისში, რათა შესდგომოდა კათოლიკოზის მოსაყდრეობის შესრულებას მისი უწმინდესობის ლეონიდის გარდაცვალების გამო“. III საეკლესიო კრებაზე, რომელიც გელათში შედგა, კათალიკოს-პატრიარქის არჩევის პროცედურა გაჭიანურდა და მწვავე ხასიათი მიიღო. პრეტენდენტები იყვნენ ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი და ცხუმელ-ბედიელი ამბროსი. რ.ივანიცკი, რომელიც კრების აქტიური მონაწილე იყო, იხსენებს: ვითარება განმუხტა მიტროპოლიტ ამბროსის განცხადებამ, რომ იგი ხსნის თავის კანდიდატურას. ამ ნაბიჯმა დააფიქრა კონკურენტი და დანარჩენი დეპუტატებიც და მათ წესრიგისა და კონსტრუქციულობისაკენ უბიძგა. კრებაზე საქმიანმა ატმოსფერომ და სიმშვიდემ დაისადგურა. გამარჯვებულ კანდიდატს პირველად მიტრ. ნაზარი მიესალმა და ბეჯითი თანამშრომლობა და მორჩილება აღუთქვა.

1921 წლის 15 აპრილს საქართველოში გამოიცა დეკრეტი

(№21), რომლის ძალითაც ეკლესიას იურიდიული პირის სტატუსი მოუხსნეს; იგი ფაქტობრივად კანონგარეშედ გამოცხადდა; დაკარგა საკუთრების უფლება (კვესელავა 1979: გვ. 73). მართალია, III საეკლესიო კრების პროტესტის შემდეგ ოფიციალური მხარე ამ თვალსაზრისით რამდენადმე მოწესრიგდა, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ საბჭოთა მთავრობა უკან დახევას არ აპირებდა (ვარდოსანიძე 2001: გვ. 85-87).

ამ ვითარებაში კათალიკოს-პატრიარქი და საკათალიკოსო საბჭო იძულებული გახდნენ დასახმარებლად საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფორუმებისათვის მიემართათ. ასეთად კი მაშინ გენუის კონფერენცია გამოიყურებოდა (1922 წლის 10 აპრილი – 19 მაისი). საქართველოს კათალიკოსმა, როგორც ირკვევა, სხვადასხვა საეკლესიო თუ არასაეკლესიო წრეებთან ხანგრძლივი და სერიოზული თათბირის შემდეგ ამ მაღალი ტრიბუნის სახელზე მემორანდუმი შეადგინა და გაგზავნა; პასუხისმგებლობა მთლიანად თავისთავზე აიღო\*. როგორც გამოძიებამ გამოარკვია, ტექსტი დანიშნულების ადგილზე დეკ. იასონ კაპანაძემ მიიტანა.

ეს ფაქტი უშიშროების სამსახურმა ოპერატიულად დააფიქსირა; მასთან დაკავშირებულ გარემოებათა შესასწავლად კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 1922 წლის 30 მაისს კომისია შეიქმნა (ცნობილადე 1998: გვ.66-73); კ-პ ამბროსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პირველი ჩვენება მან საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს კ.ცინცაძეს 1922 წლის 12 ივლისს მისცა. ოქმში ვკითხულობთ: „... მოწოდება იყო მხოლოდ ჩემი პირადი დაკვირვებისა და სინდისის კარნახის შედეგი... საბჭოთა რუსეთს ვთვლი არა მოკავშირედ, არამედ როგორც ოკუპანტს... საქართვე-

---

\* ტექსტი გამოქვეყნდა როგორც საზღვარგარეთ, ანტისაბჭოთა პრესაში, იმავე წლის 25 მაისს (ცხოვრებადე 1996: გვ. 335), ისე საბჭოთა საქართველოში (ქართულ და რუსულ გაზეთებში). იგი „კომუნისტმა“ ასეთი რუბრიკის ქვეშ დაბეჭდა – „უწმიდესი კონტრ-რევოლუცია“ (1924, 1.II, №26). მემორანდუმი შემდეგ ბევრჯერ დაიბეჭდა, კერძოდ, ჩვენ მიერ კ-პ კ. ცინცაძის პირადი საარქივო ფონდის ეგზემპლარიდან (პაპუაშვილი 1996: გვ. 21-23). თარგმნილია რუსულ და სხვა ენებზეც, მათ შორის გერმანულად ჩვენი პუბლიკაციიდან (თამარ ჭუმბურიძის მიერ) (პაპუაშვილი 1996, №3: გვ. 19).

ლოში მთავრობა არსებობს, მაგრამ არ არის საქართველოს დამოუკიდებლობა... საქართველოს დამოუკიდებლობა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ წაართვა... მე, როგორც სიტყვის, პრესის, სინდისის თავისუფლებისა და ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევის მომხრე... და ამასთან მორწმუნე, საქართველოს ნეტარ მამას, არ შემეძლო, ხმა არ ამემძლეებინა ზემოთქმულის კვალობაზე: მე მოვიხადე მოვალეობა ღვთისა და მშობლიური ხალხის წინაშე, ხოლო თუ ეს დანაშაულად ჩამეთვლება, მზადა ვარ მთელი ხალხის წინაშე ვაგო პასუხი“ (გურგენიძე 1997: გვ. 118).

ბრალდება საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა: „დანაშაული, რომელიც მიმართულია არსებული წყობილების წინააღმდეგ, რაც გამოიხატა პროვოკაციით, კონტრრევოლუციითა და საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაციით...“ დაიწყო რეპრესიათა სერია. 1923 წლის იანვარში დააპატიმრეს კათალიკოს-პატრიარქი და საკათალიკოსო საბჭოს სრული შემადგენლობა, მათთან ერთად ბევრი სასულიერო და საერო მოღვაწე. საქართველოს ეკლესიის ისტორიაში 1923-1925 წლები ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფურცელია. სასამართლო 1924 წლის 10-19 მარტს შედგა. პროცესს ყოველდღიურად აშუქებდა ადგილობრივი ქართულ-რუსული პრესა. თხზავდნენ და აქვეყნებდნენ პამფლეტებს, კარიკატურებს. დარბაზი და ქუჩა სავსე იყო ხელისუფლებისათვის სასურველი ადამიანებით, რომლებიც ყვიროდნენ: „ძირს ამბროსი!“ „ძირს რევოლუციის შენიღბული მტრები!“ და „მოლაღატეების“ დახვრეტას მოითხოვდნენ. გამოყვანილი იყვნენ საპონ-ზეთის, საფეიქრო, ხე-ტყის საწარმოთა და ქარხნების, რკინიგზელთა მე-ნ სალიანდაგო უბნის მუშათა კოლექტივები. ერთ ლოზუნგზე ეწერა: „ჩვენ, მთავარი სახელოსნოს მუშები, მოვითხოვთ, რათა შავი ყორნები კონტრრევოლუციისა დასჯილ იქნან უმაღლესი სასჯელით და ის სოციალისტები, რომლებიც იცავენ მათ, მოთავსებულ იქნენ საბრალმდებლო სკამზე“ (ვრცლად იხ. ხუციშვილი, ლეკიშვილი 1989: გვ. 109-129). შემფოთებული იყო ინტელიგენცია. რიგითი მოქალაქეები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები სხდომათა დარბაზში შელწევას დიდი რისკის ფასად და გაჭირვებით ახერხებდნენ. ვისაც შეამჩნევდნენ, რომ პროცესზე რაიმე ჩანაწერს აკეთებდა,

კონტრრევოლუციონერ აგენტად ნათლავდნენ და აპატიმრებდნენ. პოლიტიკური ემიგრაცია ინფორმაციის მოპოვებას მაინც ახერხებდა (ერთ-ერთი საზღვარგარეთ გაგზავნილი ინფორმაცია იხ. შარაძე I, 2001: გვ. 338-342).

ყოფილი დეკანოზი, პროფესორი კ.კეკელიძე, რომელიც 1923 წელს საკათალიკოსო საბჭოსაც ჩამოშორდა, ერთ-ერთ სხდომას ექსპერტის სტატუსით ესწრებოდა და პატრიარქის ნაბიჯს ისტორიიდან ანალოგიების მოშველიებით ამართლებდა. მან განაცხადა: „...ემორანდუმის შინაარსს ვიცნობ. ჩემი შეხედულებით, საეკლესიო კანონების მიხედვით, კათალიკოზ ამბროსის ჰქონდა მისი გაგზავნის უფლება. ამის მაგალითები ბევრია საქართველოს ისტორიის წარსულიდან, როგორც, მაგალითად, ბიზანტიიდან, მე-16 ს-იდან მოყოლებული რუსეთიდან და სხ. კათალიკოზ ამბროსის ვიცნობ, როგორც ჩინებულ პუბლიცისტს, მიხედვით მისი წერილობითი გამოსვლებისა სინოდის წინააღმდეგ და აგრეთვე სხვა მეცნიერულ ნაშრომებით. რამდენადაც მე ვიცნობ – მისი ხელით ნაწერებიც, ჯერ კიდევ დაუბეჭდავი, არის მეცნიერული ხასიათისა. ეს ცნობები ეკუთვნის იმ დროს, სანამ ის კათალიკოზობას მიიღებდა. აქვს თუ არა მას ახლა დრო ასეთი შრომისათვის, არ ვიცი. ამას დავამატებ იმას, რომ ის გულახდილი და პატიოსანი კაცია“ (სტენოგრაფიული ჩანაწერიდან).

თავი დამნაშავედ არც ერთმა ბრალდებულმა არ სცნო. შემორჩენილია კათალიკოს-პატრიარქის „საბოლოო სიტყვა“ (დედანი ა.კლდიაშვილის ოჯახში ინახება; გამოაქვეყნა ა.მინდიაშვილმა სათაურით „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა“. იხ. ამბროსი 1988: გვ. 148-161), რომელიც გამოირჩევა ტაქტით, პოზიციის დასაბუთების მაღალი კულტურით და სიცხადით, მოვლენათა ღრმა ანალიზით, ისტორიისათვის საყურადღებო ფაქტების მოხმობით და დამოწმებით. მასში საბრალდებო დასკვნა განხილულია პუნქტ-პუნქტად და ამომწურავი პასუხებია გაცემული. ბრალდებული გაკვირვებულია: თუ საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, რაზეც თავს დებს ხელისუფლება, იგივე ხელისუფლება რატომ მასამართლებს მე იმ წერილის გამო, რომელიც სწორედ დამოუკიდებლობის დაცვის

მიზნით დავწერე? თუ საქართველო დამოუკიდებელია, „რისთვის მასამართლებს საქართველოს უზენაესი სასამართლო და არა რუსეთისა?“ – სვამს იგი კითხვებს. „ – გენუის კონფერენცია მე წარმოდგენილი მქონდა, როგორც სახელმწიფოების წარმომადგენ-ლების კრება, მოწვეული მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის...“ შეიძლება ითქვას, რომ ამ დოკუმენტის ყოველი სიტყვა „ოქროთ იწონის“; დაწერილია შესანიშნავი სტილით და მძაფრი ექსპრესიით. როდესაც კითხულობ, გააკვირვებული რჩები: რა კარგად შეუსწავლია ბრალდებულს მოწინააღმდეგე მხარის ენა და პოზიცია, კერძოდ – სტალინისა და ლენინის თეორიები. გვაოცებს გამბედაობა, – ლენინისა და პარტიის ყრილობა-პლენუმების კრიტიკა უზენაეს სასამართლოში (იქვე, გვ. 154).

„აღსარება“ ასე მთავრდება:

„ ...მე შევასრულე ჩემი მოვალეობა და როგორის თვალთ შეხედავს ეროვნული უზენაესი სასამართლო ჩემგან ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეს, ამას დაგვანახებს ის განაჩენი, რომელიც გამოტანილი იქნება. ესევე განაჩენი დაგვანახებს იმასაც, საბჭოთა ხელისუფლება მართლა იზიარებს მისგან აღიარებულ ლოზუნგს ერთა თვითგამორკვევისას, თუ ეს მხოლოდ იდეალია, რომლის განხორციელებას უნდა ველოდოთ შორეულ მომავალში. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩემს წინაპრებს ტკბილად მიაჩნდათ სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის ტანჯვის მიღება, აგრეთვე ჩემთვის ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სასამართლო მშობლიური ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოღებისათვის. ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვარისა, რომელიც ჩემგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების უკანასკნელ თითქმის 37 წლის განმავლობაში.

„ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამაღლებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში, – იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული. ამითაც ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს. როგორც მორწმუნე ვიტყვი – იყოს ნება ღვთისა! და მოგმართავთ ქრისტეს

სიტყვებით: ასულნო იერუსალემისანო, ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქვენთა (ლუკა 23,28)“.

განაჩენში კკითხულობთ: „...ბოროტმოქმედება გათვალისწინებული სისხლის სამ. კოდ. 60-ე მუხლით, რაიც მოითხოვს უმაღლეს სასჯელს – სიკვდილით დასჯას – უნდა ჩაითვალოს სავსებით დამტკიცებულად. მაგრამ სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში კ-პ ამბროსის და აგრეთვე სამართალში მიცემულ წევრთა, პირველი – ღრმად მოხუცებულობა, მეორე – მათ მიერ საბჭოთა ხელისუფლების გადაჭრით ცნობა, მესამე – ბრალდებულ ხელაიას მიერ თავის გენუის კონფერენციისადმი შემორანდუმით მიმართვის შეცდომად აღიარება და მეოთხე – ის გარემოება, რომ ისინი საქართველოს მშრომელთა მასებში არ სარგებლობენ არავითარი ნდობით, დაადგინა... ბრალდებულ კ-პ ამბროსის მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ცხრა წლით, სასტიკი იზოლაციითა და ყოველი მისი ქონების კონფისკაციით“. დანარჩენებს 3-4 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. სასჯელს მეტეხის ციხეში იხდიდნენ (დეკ. ი. კაპანაძის გარდა, რომელიც საზღვაგარეთ ლტოლვილის სტატუსით იმყოფებოდა), მაგრამ საკავშირო მთავრობის დადგენილებით ისინი ვადაძლე გაათავისუფლეს, 1925 წლის 8-10 მარტს.

ვითარება კრიზისული იყო. კათალიკოს-პატრიარქი, საკათალი-კოსო საბჭო, კანცელარია და ბულალტერია ჯერ კიდევ 1923 წელს გამოაგდეს შენობიდან (ეს შენობა საპატრიარქოს პერესტროიკის შედეგად დაუბრუნდა) და მხოლოდ ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მისცეს უფლება, რომ სიონის ეზოში, მტკვრის მხარეს, რამდენიმე ოთახი დაეკავებინათ. სასულიერო პირები, რომლებიც სულისშემხუთველ ატმოსფეროს ვერ უძლებდნენ, თანამდებობებს ტოვებდნენ. ზოგი ინარჩუნებდა ღირსებას და სარწმუნოებას, ზოგმა მოწამის გვერგვინიც დაიდგა (მაგალითად, ქუთაისის მიტროპოლიტმა ნაზარიმ და მასთან ერთად ვნებულებმა), ზოგი კი (ისტორიას სიმართლის თქმა უყვარს) საჯაროდ გამოხატა სარწმუნოებას და ღმერთს. მრევლის დიდი ნაწილი ეკლესიას ზურგს აქცევდა. ისინი ან პირგამეხებული ათეისტები ხდებოდნენ, ან ცრუმორწმუნეები. არნახულად იზრდებოდა ქადაგ-მისანთა, მკითხავთა და მწიხბავთა

რიცხვი. არა ერთმა და ორმა ყოფილმა მღვდელმა სისხლიანი მსხვერპლის შეწირვას (ე.ი. დღეობებსა და ხატობებზე დამწყალობების წესთა შესრულებას) მიყო ხელი.

ვერ მოგვარდა საგარეო პრობლემები. რუსეთის ეკლესია, რომლის მიმართაც ასევე უმძიმესი რეპრესიები ხორციელდებოდა, დაჟინებით უარს ამბობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიის აღიარებაზე. „უფროსი დის“ კვალს მიჰყვებოდნენ აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ქართველებმა ისარგებლეს იმპერიის „ავადმყოფობით,“ ე.ი. რევოლუციით და გაკომუნისტებით, და „უმაღური შვილების მსგავსად ხელი აღმართეს მასზე.“ მათ არ მიიწვიეს საქართველოს ეკლესია მსოფლიო კრებაზე, რომელიც 1926 წელს უნდა შემდგარიყო.

ყველაზე მძიმე და სულისშემძრველი მაინც იმ ბრალდებათა მოსმენა იყო, რითაც პატრიარქს არაერთი თანამწირველი და თანამლოცველი ყოველდღე ამუნათებდა. ისინი კათალიკოსს და საკათალიკოსო საბჭოს მთავრობის საწინააღმდეგი საქციელში ადანაშაულებდნენ. ამბობდნენ: ჩვენს თავს მოწვენილი რისხვისა და უბედურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის მემორანდუმი და საკათალიკოსო საბჭოს უგუნური საქციელი, რაც კომუნისტური მთავრობის საწინააღმდეგო ქმედებებში გამოიხატაო. მათ 1926 წლის 26-27 დეკემბერს ქუთაისში მოიწვიეს ყრილობა და შეიძუშავეს საყოველთაო ეპისტოლე, რომელსაც ინტენსიურად ავრცელებდნენ.

ამ დოკუმენტის შინაარსი მოკლედ ასეთია: საქართველოს ეკლესია კრიზისს განიცდის. მიზეზი მრავალია: გარეგანიც და შინაგანიც. უკანასკნელში ის კურსი იგულისხმება, რომელსაც კათალიკოსი და საკათალიკოსო საბჭო არსებული რეჟიმის საწინააღმდეგოდ ახორციელებენ. ამ კურსმა საბჭოთა მთავრობის უკუ-რეაქცია გამოიწვია. სოციალიზმი ქრისტიანებისათვის სანატრელი ფორმაციაა, რადგან ექსპლუატაციის ლიკვიდაციას ისახავს მიზნად. მხოლოდ ერთ რამეში ვერ დავეთანხმებით კომუნისტებს, – არ არსებობსო ღმერთი, სხვაში – ყველაფერში. ყრილობაზე შეიქმნა



„ეკლესიის დროებითი მმართველობა“ (რეგისტრაცია 1917 წლის 15 იანვარს გაიარა). მართალია, ყრილობას კათალიკოს-პატრიარქის გადადგომის მოთხოვნა არ წამოუყენებია, მაგრამ ხსენებული ეპისტოლის სტრიქონსა და სტრიქონს შორის იკითხებოდა კათალიკოსის წუთისოფლიდან მალე წასვლის ოცნება. ეს ოცნება დღითი დღე ძალას იკრებდა და, აი, 1927 წლის 22 მარტს „დროებითმა მმართველობამ“ „საქმის წარმოებისაგან“ კათალიკოსის გათავისუფლება გადაწყვიტა. პოლიციის დახმარებით მას დოკუმენტაცია წაართვეს და კანცელარია ჩაიბარეს. აქვე ვიტყვით, რომ ქუთაისის ყრილობის განჩინების ყველა მუხლი მეცნიერულად, წყაროებზე დაყრდნობით, მიტრ. (შმდ. კათალიკოსმა) კალისტრატე ცინცაძემ გააბათილა. მან დაწერა 456 გვერდიანი შრომა „ქუთაისის საეკლესიო ყრილობის გამო (მწარე მოგონებანი საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულიდან)“, რომელიც ასე მთავრდება: ...გადწყვეცილება „გამოუცხადეს მის უწმიდესობას მარტის 23. ამ გამოცხადების მეორე დღეს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ დაკარგა ენის ხმარების შესაძლებლობა (მარტის 25), მარტის 27 გონებაც, ხოლო მარტის 29 დღის სამ საათზე განუტევა სული... არ უნდა ავჩქარებულიყავით!“ (პაპუაშვილი 1996: გვ.25-26).

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი სიონის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს. გაითვალისწინეს მიცვალებულის ანდერძი, რომ ამ დღეს გამოსათხოვარი სიტყვა არავის წარმოეთქვა (ვარდოსანიძე 2000: გვ. 66). საქართველოს ჩინებული მოქალაქისა და მწყემსმთავრის წუთისოფლიდან გასვლას პრესა მხოლოდ უცხოეთში გამოეხმაურა რაფიელ ივანიცკისა და გრიგოლ ფერაძის ნეკროლოგებით (შარაძე II, 2001: გვ. 326-332; ფერაძე 1995: ბიბლიოგრაფია №8).

წერილობითი მემკვიდრეობა

წმ. ამბროსი აღმსარებელი საკმაოდ პროდუქტიული მკვლევარი და პუბლიცისტი გახლდათ. ამის თქმის უფლებას გვაძლევს მისი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი შრომები, რომელთა

ნაწილი ჩვენთვის ცნობილია და ხელმისაწვდომი, ნაწილი არ არის ხელმისაწვდომი, მაგრამ მათი არსებობა სხვადასხვა საშუალებით ცნობილია. ეს პუბლიკაციები უმთავრესად არქიმანდრიტობის პერიოდს განეკუთვნება. ამიტომ წმ. ამბროსის, როგორც მკვლევარს და პუბლიცისტს, არქიმანდრიტად იხსენიებენ.

არქიმანდ. ამბროსის (ბ.ხელაიას) ბიბლოგრაფიის შედგენას ორი რამ აბრკოლებს, მათი გადალახვა კი დიდ შრომას და რუდუნებას მოითხოვს. ჯერ ერთი, ეს პუბლიკაციები გაფანტულია სხვადასხვა ქართულ და რუსულენოვან ჟურნალ-გაზეთებში, რომელთა ნაწილი საქართველოში გამოდიოდა, ნაწილი – რუსეთში. ზოგიერთი პერიოდული გამოცემის სრული კომპლექტი არ მოგვეპოვება (ჯერჯერობით შედგენილი არაა). ყოვლისმომცველობის პრეტენზია არც ერთ ბიბლიოთეკას არ აქვს. 1905-1921 წლების ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიაც არაა გამოცემული, რის გამოც მკვლევარ-ბიბლიოგრაფს (ვინც ამ ტვირთის ზიდვას დააპირებს) არა მარტო საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკასა და არქივში მუშაობა მოუწევს, არამედ რუსეთის იმ მხარეთა ბიბლიოთეკებსა და არქივებშიც, სადაც არქიმანდ. ამბროსის უმოღვაწეა და გამომცემლობებთან უთანამშრომლია. მეორე – კარგადაა ცნობილი, რომ ბესარიონ ხელაია, იგივე არქიმანდრიტი ამბროსი, პუბლიკის წინაშე არც თუ იშვიათად ფსევდონიმით ან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (გვ. 19-23), ანონიმურად გამოდიოდა. იგი ფსევდონიმებს ხშირად იცვლიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ დღემდე მისი არც ყველა ფსევდონიმია მოძიებული და გაშიფრული და, მით უმეტეს, არც ყველა ანონიმური პუბლიკაციაა იდენტიფიცირებული. ასე რომ, ბევრი ისეთი თხზულების ატრიბუცია, რომლებიც გამოგონილი სახელითაა გამოქვეყნებული, ანდა ანონიმურად, მომავლის საქმეა.

ამ საქმეში მიტრ. (შმდ. კ-პ) კალისტრატეს ზემოთ დამოწმებულ შრომას გზამკვლევის როლის შესრულება შეუძლია. მასში (შენ. 21:3) ჩამოთვლილია ის ბეჭდვითი ორგანოები, რომლებთანაც არქიმანდ. ამბროსი თანამშრომლობდა; მოცემულია თარიღები, როდღიდანაც იგი მათთან თანამშრომლობდა; წარმოდგენილია ფსევ-

ღონიშები, რითაც იგი მკითხველებს მასალას მიაწოდებდა („ამბერი“, „ქორინთელი“, „სამურზაყანოელი“); დასახელებულია შრომები, რომელთაგან ზოგი გამოქვეყნებულია, ზოგი ხელნაწერის სახითაა შემონახული; მითითებულია ადგილი, სადაც იმჟამად, დამოწმებული წიგნის დასრულების დროს (1938), ამ შრომების ხელნაწერი ტექსტები ინახებოდა (მეტეხის მუზეუმი) (ცინცაძე 2001: გვ. 229-230). მისი უწმინდესობის გამოქვეყნებული შრომების შესახებ შედარებით სრულყოფილი ბიბლიოგრაფიული ცნობა გვხვდება სტატიაში, რომელიც განთავსებულია ინტერნეტში ([http://ortho-rus.ru/cgi-bin/ps\\_file.cgi](http://ortho-rus.ru/cgi-bin/ps_file.cgi)), თუმცა ამ უბანზე სამკალი ჯერ კიდევ ფრიად არს (მათე 9:37; ლუკა 10:2).

ანდერძი

„საქრთველო არ იქნება გამონაკლისი საზოგადო კანონებიდან“  
(წმ. ამბროსი)

გასამართლების ჟამს წარმოთქმული სიტყვა, რომელიც მსმენელთა კოლექტიურმა მენსიერებამ შემოგვინახა და რომელიც თაობიდან თაობას გადაეცა: „სული ღმერთს ეკუთვნის...“, ზნეობრივი შეგონებაა და მას ანდერძის მნიშვნელობა აქვს.

წმ. ამბროსის ცხოვრება და მოღვაწეობა, საქმეც და სიტყვაც, ერთობ ქრისტიანულ მცნებას ემყარებოდა. ამ მცნების თანახმად თითოეული კაცისა თუ კოლექტივის არსებაში ღმერთსა და სამშობლოს, საღმრთო და საერო საქმეს, ეკლესიას და სახელმწიფოს თავ-თავისი ადგილი, ღირსება და პატივი უნდა მიეჩინოს. ესაა იდეალი და, ზემოთ ნათქვამი რომ გავიხსენოთ (გვ. 18), გარემო და ვითარება მაშინაა იდეალური, როდესაც ეს გამიჯვნა და გაცალკეება, ერთის მხრივ, არის ურთიერთმეთანხმებული და კანონით გამყარებული, მეორეს მხრივ, – ურთიერთდაუპირისპირებელი და ჰარმონიული. ეკლესიისა და სახელმწიფოს ამ მოდელის უპირატესობაზე დიდი საეკლესიო მოღვაწეები – ამბროსი მედიოლა-

ნელი (+397), იოანე ოქროპირი (+407) და, განსაკუთრებით, იუსტინიანე იმპერატორი (+565) - მიგვანიშნებენ და ამ იდეალისაკენ სწრაფვას შთაგვაგონებენ. ამბროსი აღმსარებელი მათი თეორიისა და პრაქტიკის კვალს მიჰყვება და შემთხვევითი არაა, რომ სასამართლო პროცესზე მან ოქროპირი, მედიოლანელი და, კიდეც, ბასილი დიდი და გრიგოლი ღვთისმეტყველი დაიმოწმა.

საღვთისმეტყველო თვალსაზრისით ეკლესიისა და სახელმწიფოს რაობისა და მათი ურთიერთობის შესახებ დიოფიზიტური წარმოდგენა, ე.ი. რწმენა და ცოდნა იმისა, რომ ეკლესია და სახელმწიფო ორი სხვადასხვა ბუნებისა და წარმოშობის რეალობანი არიან, დემოკრატიის



წმ. ამბროსი აღმსარებელი

საფუძველი და ქვაკუთხედია. დემოკრატიული წესწყობილების ერთ-ერთი მთავარი ნიშანი კი ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფაა. წმ. ამბროსისა და მის თანადასელებს სასურველ წესწყობილებად არა მონარქია, არამედ დემოკრატიული რესპუბლიკა მიაჩნდათ, რომელშიც, ვიმეორებთ, ეკლესია და სახელმწიფო, სკოლა და ეკლესია გამიჯნულია ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის პრინციპით (შდრ. პაპუაშვილი 1996: გვ. 15-16 და შ.). მისი უწმინდესობის წერილობითი მექანიზმების გაცნობა გვაძლევს საფუძველს (და ამას ქვემოთაც დავინახავთ), რომ ვთქვათ: წმ. ამბროსის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მრწამსი დემოკრატია იყო. მას ეკუთვნის სიტყვები: „რელიგია არ არის სახელმწიფოსაგან წარმოშობილი და დაწესებული. მას აქვს

თავისი დამოუკიდებელი საფუძველი არსებობისა. სახელმწიფო და ეკლესია ამის გამო ორი სხვადასხვა დაწესებულებაა, მათ აქვთ სხვადასხვა სფერო მოქმედებისა. თავის დანიშნულების აღსრულებაში ორივე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია...“ (ამბროსი 1988: გვ. 148-149). თითოეული მორწმუნე, მათ შორის სასულიერო პირი, რადგან თანადროულად ეკლესიის წევრიცაა და ღია საზოგადოებისაც, უფლებამოსილია და მორალურად ვალდებულიც, რომ საღვთო მიზნისთვისაც იღვაწოს და საქვეყნო მიზნისთვისაც, რომ ღმერთს ღვთისა მიაგოს და ერს ერისა. თავისუფლების ბიბლიური იდეა გულისხმობს როგორც პიროვნების, ისე კოლექტივების და ხალხების თავისუფლებას, ხოლო ამ იდეის რეალიზაცია ანუ რელიური თავისუფლების მოპოვება, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდებსა და ქვეყნებს შორის თანხმობისა და მშვიდობის დამყარებისთვისაა საჭირო (იქვე, გვ. 153).

როგორია წმ. ამბროსი აღმსარებლის ეკლესიოლოგიური პლატფორმა? რას ფიქრობდა იგი ეკლესიაში რეფორმებს შესახებ? მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა კონფესიათა ეკლესიებთან ურთიერთობის საკითხზე?

1922 წლის 19 ოქტომბერს საკათალიკოსო საბჭომ, კათალიკოს-პატრიარქის თავმჯდომარეობით, განაჩინა: „დადგა დრო, როდესაც შინაგან თითქმის მოწყობილი ეკლესია დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მის მიერ წინასწარ დასახულ მიზნების განხორციელებას: განიწმინდოს მონარქიულ რეჟიმის ზეგავლენის ნაშთებისაგან, შეუფარდდეს ჩვენი ხალხის სულისკვეთებას, გამარტივდეს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით, მაგრამ ისე კი, რომ ხელუხლებელი დარჩეს ჩვენი მაცხოვრის დიადი მოძღვრების არსებითი მხარე“. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე დაიწერა რამდენიმე პროექტი, რომელთა არსებითი ნიშანი საზოგადოთუ კერძო ღვთისმსახურების გამარტივება, ცხოვრების საერო და სასულიერო წესების ერთმანეთთან დაახლოება იყო; შემუშავდა წირვა-ლოცვისა და კურთხევათა შემოკლებული ვარიანტები და გამოიცა დადგენილება ახალი სტილის კალენდარზე გადასვლის შესახებ.

კ-პ კალისტრატეს ზემოდამოწმებული შრომიდან ვიცით, რომ წმ. ამბროსიმ მარხვები პატიმრობის დროს ახალი სტილის კალენდრით დაიჭირა. იგი რეფორმების იდეას თანაუგრძნობდა, რაც სასამართლო პროცესზეც ცხადყო. მან თქვა: „საკათალიკოსო საბჭოს დაწყებული ჰქონდა საქმე რეფორმების შემოღებისა ეკლესიურ ცხოვრებაში, მაგრამ საქმე შეაფერხა საბჭოს თავმჯდომარის და წევრების დაპატიმრებამ... საკათ. საბჭოს უნდოდა რეფორმების შემოღება ეროვნულ ნიადაგზე, ადგილობრივი პირობების მიხედვით...“ (იქვე).

წმ. ამბროსი აღმსარებელი, გარკვეული აზრით, საქართველოში ეკუმენური მოძრაობის სათავეებთან დგას. ეს მოძრაობა XX ს-ის პირველ მეოთხედში ჩაისახა და 1926-1927 წლებში ძალა მოიკრიბა. ამაზე მეტყველებს, ერთის მხრივ, კათოლიკეების დიალოგი მართლმადიდებლებთან ვენის სესიაზე და, მეორე მხრივ, ინტერკონფესიური კონფერენცია ლოზანაში (ამ ღონისძიებებს გრიგოლ ფერაძემ საინფორმაციო სტატიები მიუძღვნა – ფერაძე 1995: ბიბლიოგრაფია №3, 5. მისი წერილი „უნიის ყრილობა ვენაში“, მ.ქსოვრელის თარგმანი, დაბეჭდილია ჟურნალში „რელიგია“: 1992, №6. თარიღად იქ შეცდომითაა მოცემული 1927 ნაცვლად 1926-ისა). საქართველოს ეკლესიის მაშინდელ მესვეურებს, ცხადია, ამ ფორუმებზე დასწრების შესაძლებლობა არ ჰქონდათ, მაგრამ ორივე ფორუმს ესწრებოდა პიროვნება – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შვილი, რომელიც მათი ნდობით იყო აღჭურვილი და უწმინდესი კათალიკოსისაგან დალოცვილი. გრიგოლ ფერაძე, რომელიც III საეკლესიო კრებამ ევროპაში სასულიერო განათლებისათვის მიაგვლინა და რომელიც მერე მოწამის შარავანდედით შეიმოსა, ხსენებულ ეკუმენურ შეკრებებზე ივერიის ძველთუძველესი საყდრის ღირსებას განასახიერებდა. იგი თავის თავს ლოზანის კრებაზე (1927 წლის 3-21 აგვისტო) წარმოთქმულ სიტყვაში ამ ეკლესიის არაოფიციალურ წარმომადგენლად მოიხსენიებდა, ხოლო თავის ხმას, იქ გაუღერებულს, – საქართველოს ეკლესიის ხმად. ეს პიროვნება, მისივე თქმით, პატრიარქმა ამბროსიმ საღვთისმეტყველო ცოდნის გაღრმავებისათვის „ევანგელისტებთან გაგზავნა (ჰარნაკთან,

დაისმანთან და სხვებთან)““. უნდა ვიფიქროთ, რომ წმ. გრიგოლმა იცოდა თავისი დამლოცველი მღვდელმთავრის შეხედულება ეკუმენური მოძრაობის შესახებ და ძნელი დასაჯერებელია, რომ მისი ერთობ ეკუმენური სულისკვეთება წმ. ამბროსის სულისკვეთებასთან არსებით წინააღმდეგობაში ყოფილიყო.

ამდენად, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ დასახელებულ ეკუმენურ კრებებზე მცხეთის სამოციქულო საყდრის წარმომადგენლის, თუმცა არადელიგირებულის, პოზიცია ამავე საყდრის იმჟამინდელი მესაჭეების ოფიციალური პოზიცია იყო და ეს პოზიცია ქრისტიანულ აღმსარებლობათა გაერთიანებისაკენ სწრაფვა გახლდათ (ლოზანის კრებაზე მისი გამოსვლის ქართული თარგმანი იხ.: ეკლესიის საზღვრები: გვ. 177-182).

უკანასკნელ დროს ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა ფაქტი, რომლის თანახმად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, მაშინ საეგზარქოსოს ფორმატში მყოფის, სამღვდელთა და საეროთა კრებულის ერთი ნაწილი XX ს-ის დასაწყისში ამ ეკლესიის კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანებისათვის იღვწოდა და რომის პაპთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა (ბუბულაშვილი 2000: გვ. 54). შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ არქიმანდ. ამბროსი, მისი სულისკვეთებიდან გამომდინარე, ამ ორიენტაციის მორწმუნეთა ჯგუფთან გარკვეულ კავშირში იმყოფებოდა. ვის შეიძლებოდა სცოდნოდა მღვდელმთავრის გულისხანდები და ინტერეკლესიური მისწრაფებები, თუ არა ყველაზე ახლო მეგობარსა და თანაშემწეს? ასეთი გახლდათ რაფიელ ივანიცკი-ინგილო, საკათალიკოსო საბჭოს წევრი, რომელიც III საეკლესიო კრების ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იყო. ის დალოცა საქართველოს კათალიკოსმა, რომ ჩასულიყო რომში და უწმინდესი პაპის კარზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დესპანის მისია ეტვირთა. მოგვიანებით იგი ხელდასხმულ იქნა და არქიმანდრიტის ხარისხით შეიმოსა (ინასარიძე 1967: გვ. 151-152). რ. ივანიცკი ზემოთ დამოწმებულ ნეკროლოგში ამბობს: „როგორც კათალიკოზი, განსვენებული სასტიკად იცავდა აღმოსავლურ მართლმადიდებელ ეკლესიის ტრადიციებს... დიდათ ცდილობდა ეკლესიათა შეერთე-

ბისათვის იმ სახით, როგორც ეს 1054 წლამდე იყო. ის ნატრობდა, რომ კვლავ დამდგარიყო დრო ხუთთა უძველეს საპატრიარქოთა მსოფლიო გამგებლობისა, სადაც რომის ეპისკოპოსს მიეკუთვნება თავისი პირველი ადგილი, ვითარცა *primus inter pares*-ს... თავისი ინტრონიზაცია მცხეთის საკათალიკოზო ტახტზე მან საჭიროდ ჩათვალა ეცნობებინა, როგორც აღმოსავლურ პატრიარქებისათვის, აგრეთვე, რომის პაპისათვისაც. უკანასკნელმა თავის დროზე შესაფერისი პასუხიც მიუთვალა“.

ჩვენთვის უცნობია როგორც ამ პასუხის, ისე კათალიკოსის ეპისტოლეთა წერილობითი ვარიანტი და მათი შინაარსი. რაც შეეხება პაპის იურისდიქციასთან დამოკიდებულებას, წმ. ამბროსი, რ.ივანიცკის მონათხრობის მიხედვით, ისწრაფვოდა არა უნიატური კავშირისაკენ, არამედ ეკლესიათა შორის სქიზმამდელი ურთიერთობის აღდგენისაკენ. ამის მიუხედავად, ჩანს, იგი არ აყენებდა ეჭვქვეშ რომის ეპოსკოპოსის (პაპის) აპოსტოლურ მოსაყდრეობას ეკლესიათა გაყოფის შემდგომაც, რაც მას, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, ეკუმენურ პოზიციაზე ღვომის საშუალებას აძლევდა.

## II პრობლემები აფხაზეთში

ისტორიიდან

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, რომლის წინაშე XIX ს-ის მიწურულსა და XX ს-ის დასაწყისში აფხაზეთის მოსახლეობა იდგა, ნაციონალური თვითმყოფადობისა და თავისთავადობის შენარჩუნება გახლდათ. ამ პრობლემასთან ორგანულად იყო დაკავშირებული მეორე მთავარი პრობლემა – დემოგრაფიული პრობლემა, რაც აფხაზეთა, პირველ რიგში კი მუსლიმ აფხაზეთა, რიცხვის კატასტროფულად შემცირებაში გამოიხატებოდა. ორივე პრობლემის მიზეზი რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობამდე დაიყვანებოდა.

ამ პრობლემათა მთავარი მიზეზის არსსა და ბუნებაში გარკ-



ვევა რომ შეეძლოთ და არქიმანდ. ამბროსის ნაშრომის ძირითად სათქმელშიც უკეთ რომ გავერკვეთ, აფხაზეთის ისტორიის ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს უნდა გადავავლოთ თვალი.

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაყოფის შემდეგ (1490-1495) აფხაზეთში, ისე როგორც საქართველოს სხვა განაპირა კუთხეებში, კანონიკური საეკლესიო წყობილება შეირყა. მისი ადგილი უმეტესად არაკანონიკურმა რწმენა-წარმოდგენებმა, უფრო სწორად, გაურკვეველმა რელიგიამ, ადგილობრივმა პაგანურმა (სოფლურმა) კულტმსახურებამ (წარმართობამ) დაიკავა; გავრცელდა ისლამიც.

ასე რომ, ამ მხარეში (აფხაზეთში) ცარისტული რუსეთის კოლონიური რეჟიმის დამყარებამდე რელიგიური ქაოსი იყო.

გერმანელი სწავლული იაკობ რაინესი, რომელმაც საქართველოში XVIII ს-ის შუა წლებში იმოგზაურა, აღნიშნავს:

„აფხაზების რიცხვი შვიდი ათასი კომლია და იკვებნიან, რომ აღრე ქრისტიანები იყვნენ. ამჟამად ქრისტიანობის მოსაგონებლად შემორჩათ მხოლოდ ზემოთ ნახსენები წმ. ანდრიას ეკლესია ბიჭვინთაში და კიდევ რამდენიმე დანგრეული ეკლესია; აგრეთვე ის, რომ იბერიის (ე.ი. იმერეთის. ნ.პ.) პატრიარქი აფხაზთა მთავარეპისკოპოსად იწოდება. მაჰმადის მოძღვრებაც საკმაოდ სუსტად იციან; ზოგი თავის ბავშვებს წინადაცვეთას უკეთებს, ზოგი კი არა; არავინ ჭამს ღორის ხორცს და ქორწილისას იცავენ ნათესავთა სისხლის აურევლობის წესს“ (რაინესი 2002: გვ. 110).

აფხაზთა სამთავროში რუსეთმა 1810 წელს მოიკიდა ფეხი; 1864 წელს ამ სამთავროს ნომინალური არსებობაც შეწყდა, რადგან უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე (შერვაშიძე) ვორონეჟში გადაასახლეს. ამიერიდან იქ კოლონიური რეჟიმი სრულად გაბატონდა და მოსახლეობის ინტენსიური რუსიფიკაცია დაიწყო. ეს პროცესი მართლმადიდებელი სარწმუნოების ხმაურიანი პროპაგანდის ფონზე მიმდინარეობდა და შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ ამ სარწმუნოების პროპაგანდა ფაქტობრივად დიდმპყრობე-ლური სახელმწიფოს პოლიტიკურ და ასიმილაციურულ ზრახვებს ნიღბავდა. ამ პოლიტიკის ერთგული მსახურის როლში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია გამოდიოდა. „კავკასიაში მართლ-

მადიდებელი სარწმუნოების აღმდგენი საზოგადოება“, რომელიც 1860 წელს შეიქმნა, ასევე ცარისტული ინტერესების დარაჯად მოგვევლინა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციამ სარწმუნოებრივი და სახალხო განათლების სფეროში ბევრ კეთილ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი (რაშიც არქიმანდ. ამბროსის ქვემოწარმოდგენილი პუბლიკაციაც გვარწმუნებს), მისი თანამშრომლების დიდი ნაწილის შეგნებაში ამა თუ იმ მხარის, ხალხის თუ პიროვნების გაქრისტიანება გარუსებას ნიშნავდა. თვით სახელწოდება და თვითსახელი – რუსული მართლმადიდებელი ეკლესია – იმაზე მეტყველებს, რომ ეს ეკლესია თვითშეგნებით მეტისმეტად იყო რუს ერთან (ეთნიკურ რუსებთან) იდენტიფიცირებული და შეხორცებული. ეკლესიური ინტერესების ნაციონალური ინტერესებისაგან გაცალკევებას ღვთისმსახურთა მცირე ნაწილი თუ ახერხებდა. ეს ასეა, მაგრამ ჭეშმარიტების პატივისცემა იმის მკაფიოდ თქმასაც გვაავალდებულებს (და ამას წმ. ამბროსი არაერთგზის უსვამს ხაზს), რომ ეს ნაწილი, რომელშიც მაღალი პროფესიონალიზმით აღჭურვილი ღვთისმსახურები და ღვთისმეტყველები მოიაზრებიან, რუსეთის ეკლესიის რელიგიურ-ნაციონალური პოზიციების წინააღმდეგ ხშირად აშკარად და გაბედულად გამოდიოდა.

მოსალოდნელმა შედეგებმა არ დააყოვნა: XIX ს-ის 60-70-იანი წლები აფხაზეთის ისტორიაში ანტიკოლონიური და ანტიეკლესიური გამოსვლებით აღინიშნა. მათი გამომწვევი მიზეზებიდან მკვლევრები ერთ-ერთ პირველ ადგილზე რელიგიურ ფაქტორს, კერძოდ კი აფხაზების ძალდატანებით მონათვლას, ასახელებენ (ბასარია 1923: გვ. 54-57; როგავა 2002: გვ. 104-106). ადამიანების მოტყუებით და რალაც სხვა მანქანებით გადაბირება არის უკუღმართი მისიონერული ტაქტიკა და ანტიქრისტიანული, ანტისახარებისეული საქციელი, რასაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის არაერთი მსახურის დიდმპყრობელური მიზნები აპირობებდა. რა ხეირი მოჰქონდა ასეთ ქმედებას? ის აფხაზები, რომლებიც სინამდვილეში არც ქრისტიანები იყვნენ და არც მუსლიმები, მასიურად ისლამის მხარეზე გადადიოდნენ ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ინსტიქტით. ისინი მებრძოლ პროზელიტებად ყალიბდებოდნენ და

ანტირუსულ აჯანყებებს აწყობდნენ, რასაც მთავრობა სისხლში ახშობდა. დაიწყო სადამსჯელო ოპერაციები, რომელთაც შედეგად აფხაზების თურქეთში იძულებითი გადასახლება ანუ მუჰაჯირობა მოჰყვა (სიტყვა არაბულია და გადასახლებას, ემიგრაციას ნიშნავს). ყველაზე მასშტაბური გადასახლებები 1866 და 1877 წლების ამბოხებათა შემდეგ მოხდა (ძიარია 1975: გვ. 276-375; თოთაძე 1995: გვ. 66-74). ამ დროს ქართველი საზოგადოება აფხაზი ხალხის ეროვნული ინტერესების მხარეზე დადგა და მათი გენოციდის შეწყვეტა მოითხოვა (პაპასკირი 2004: გვ. 204-206).

მუჰაჯირების ნაწილი, ვინც ახალ ადგილზე ფეხს ვერ იკიდებდა, უკან ბრუნდებოდა, მაგრამ ისინი უკვე გაავებული ფანატიკოსი მუსლიმები იყვნენ. რუსი მისიონერების მათთან შეხვედრები ახალ-ახალი კონფლიქტური კერების აღმოცენებას უწყობდა ხელს.

1885 წლის შემდეგ ვითარება რამდენადმე შეიცვალა. ამ წელს უწმინდესმა სინოდმა სოხუმის (ე.ი. აფხაზეთის) რუსული ეპარქია შექმნა და იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) იქ მისიონერულ საქმიანობას ჩამოაშორა (შედარებით ვრცლად იხ. ქვემოთ: ტექსტი და შენ. 3,5), რადგან, ჩანს, აფხაზებისა და ქართველების ეკლესიური ერთიანობა უწმინდესი სინოდის პოლიტიკურ გეგმებს ეწინააღმდეგებოდა (ხელისუფლებისაგან მას სხვა დაკვეთა ჰქონდა).

ამასთანავე, XIX ს-ის 70-იანი წლების შემდეგ, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში იმპერიისათვის საშიში გაქანება და მიმართულება მიიღო, კოლონიურმა რეჟიმმა მუშაობაზე აფხაზების მიმართ, ადვილად მისახვედრი მოსაზრების გამო, ტაქტიკა შეცვალა, რაც მუჰაჯირების რეპატრიაციის წახალისებაში, აფხაზების თანამდებობრივ დაწინაურებაში, მათ ქებასა და ფერებაში, ეკლესიური, კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით მათ ქართველებთან დაპირისპირებაში, ერთი სიტყვით, – „გათიშე და იბატონეს“ ძველი ხერხის ამუშავებაში გამოიხატა. დაიწყო ზრუნვა აფხაზეთში რუსული ორიენტაციის ინტელიგენციის ჩამოყალიბებისათვის. რეჟიმის იდეოლოგები აფხაზთა შორის ანტიქართულ განწყობილებას ნერგავდნენ და „რუსული აფხაზეთის“ შესაქმნელად გეგმებს ამუშავებდნენ (ხორავა 2004:

გვ. 86).

აფხაზეთი წმ. ამბროსის შრომებში

აფხაზეთის ეპარქიაში ამბროსი აღმსარებელმა თითქმის თოთხმეტი წელიწადი დაყო: თერთმეტი (1886-1897) როგორც მღვდელმა, პედაგოგმა და მისიონერმა, სამი კი (1919-1921) როგორც მღვდელმთავარმა. ასე რომ, ამ მხარის საფუძვლიანად გაცნობისა და შესწავლისათვის მას საკმარისი დრო და საშუალება ჰქონდა. ერთის მხრივ, პიროვნული და ბუნებითი, მეორეს მხრივ, სარწმუნოებრივი და ეროვნული ინტერესები მას სტიმულს აძლევდა, რომ იქ არსებულ პრობლემებში გარკვეულიყო და ანალიზი გაეკეთებინა.

სავარაუდებელია, რომ წმ. ამბროსის აფხაზეთის თემაზე მეტი აქვს დაწერილი, ვიდრე ჩვენთვისაა ცნობილი. აქ ერთხელ კიდევ გვახსენებს თავს მისი შრომების გამოვლენის, აღნუსხვისა და ბიბლიოგრაფიის გამოცემის აუცილებლობა. მაგრამ რაც ცნობილია და რასაც ალაგ-ალაგ ზემოთაც შევხებით, გვარწმუნებს, რომ იგი აფხაზეთში განვითარებულ საჭირობოროტო მოვლენებს სისხლხორცეულად განიცდიდა. ეს ბუნებრივია თუნდაც იმიტომ, რომ მან, როგორც მოძღვარმა, სოხუმის ეპარქიაში აიდგა ფეხი და ყველა იმ საზოგადო საქმეთა თანამონაწილე, თანამსახური და ჭირისუფალი გახლდათ, რაც კი იმჟამად იმ მხარეში ხდებოდა. მას გულს უკლავდა შოვინისტი საერო და სასულიერო პირების აქტიურობა, რომელთაც ისტორიის ჩარხის უკულმა დატრიალება და აფხაზეთის საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და ეკლესიური სივრციდან მოწყვეტა უნდოდათ.

აქაც უნდა გავიხსენოთ მისი სიტყვები, სამსჯავროზე თქმული: „...ოცდაათიოდე წლის წინათ მოწმე გავხდი შემდეგი სანახაობისა: ქ. სოხუმის ბულვარი, ზღვის პირად მრავალი მოსეირნე, იქვე დგას ორი რუსი ძალზე შეზარხოშებული. ერთი მათგანი უჩვენებს თოვლიან მთებზე და ეუბნება მეორეს: **“Эти горы наши... Все народы там живущие наши, пограничные и все здесь**

**гуляющие нам подчинены"** და დააბოლოვა იმნაირი სიტყვებით, რომლებსაც მოყვანა აქ არ შეიძლება... როდესაც 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მართლა დაარსდა საქართველოს რესპუბლიკა, სოხუმის რუსობა ვერ ეგუებოდა საქართველოს თავისუფლებას. დიდი თუ პატარა, ნასწავლი თუ უსწავლელი, ყველა გაიძახოდა: როგორ შეიძლება საქართველო იყოს თავისუფალი, ეს დროებითია, მოვა ჩვენი ჯარი და ისევ დავიმორჩილებთ".

ეს ორი შეზარხოშებული რუსეთის რიგითი მოქალაქეები იყვნენ. უბედურების თავი და თავი იმაში მდგომარეობდა, რომ მათ უკან სახელმწიფო იდეოლოგია იდგა – ველიკორუსიზმი.

<<სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“>>

სტატია, რომელსაც ხელახლა ვაქვეყნებთ, თანამედროვე სამეცნიერო მიმოქცევაში, მისი უაღრესი მნიშვნელობის მიუხედავად, დღემდე არ შესულა.

პირველი, ვინც მას გამოეხმაურა, იყო 1907 წელს მოსკოვში გამოცემული წიგნის **"Абхазия - не Грузия"**-ს\* ავტორი (შდრ. ქვემოთ: შენ. 15). ეს პუბლიკაცია წარმოადგენს ნეგატიურ რეაქციას იმ რუსულენოვან ბროშურებსა და სტატიებზე, რომლებშიც აფხაზეთი საქართველოს ნაწილად, ხოლო აფხაზი ხალხი, აფხაზური ენა და ეკლესია ქართველ ხალხთან, ქართულ ენასთან და საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიასთან ორგანულ კავშირშია მოაზრებული. მრავალგზის დამოწმებულია არქიმანდრიტ ამბროსის სტატია და დაგმობილია იგი იმ გეზის და სულისკვეთების კვალდაკვალ, რაც გამოცემის სათაურშია აღბეჭდილი – „აფხაზეთი საქართველო არაა!“ ეს ის გეზი და ორიენტაციაა, რომელსაც ველიკორუსები რევოლუციისა და კონტრრევოლუციის დღეებში (1905-1907) დიდ პროპაგანდას უწევდნენ.

მეორე გამოხმაურება ეკუთვნის დეკ. (შემდ. აკადემიკოსს)

---

\*ჩვენს განკარგულებაშია ამ წიგნის შელახული ეგზემპლარის ქსეროასლი. ავტორი ტიტულზე აღნიშნული არაა.

კეკელიძეს. მის სტატიაში, რომელიც რუსეთის ეკლესიის ნაციონალურ-ფილეთური\* პოზიციების კრიტიკას შეიცავს, ნათქვამია: „მტკიცე სულიერ-ხორციელი და კულტურული ნათესაობით აიხსნება, რომ ნეტარსენებული გაბრიელ ეპისკოპოზის და დეკანოზ მაჭავარიანის მეოხებით სულ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მონათლა ორი მესამედი გამაჰმადიანებულ აფხაზებისა, ხოლო 1885 წლიდან, მას შემდეგ, რაც აქ რუსის საეპისკოპოზო დაარსდა და მისიის საქმეც ქართველების ხელიდან რუსებისაში გადავიდა, ქრისტიანობას არამც თუ წინ არ წაუწევია, თანდათან სუსტდება“. იქვე დამოწმებულია (სქ.5) არქიმანდ. ამბროსის სტატია (კეკელიძე 1916).

წარმოდგენილი ნაშრომი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკის მძაფრ კრიტიკას შეიცავს. იგი 1906 წელს ამავე ეკლესიის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნდა (იხ. შენ. 1), რაც ერთი შეხედვით უცნაურია, მაგრამ ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, რომ საქართველოს ეკლესიას რუსეთის სასულიერო უწყებებში, ეროვნებით რუს სამღვდელთა შორის, ბევრი თანამგრძობი და მეგობარი ჰყავდა.

ნაშრომი პოლემიკურია; წარმოადგენს პასუხს იმავე წელს გაზეთ „კოლოკოლში“ (№45) მოთავსებულ კორესპონდენციაზე “Голос из Сухума”, რომლის ავტორი შენიღბულია ფსევდონიმით “Русский”. თუმცა ჩვენს ბიბლიოთეკებში დამოწმებული ნომრის ეგზემპლარი შემონახული არ არის (იხ. შენ. 2), პუბლიკაციის ტექსტი, როგორც ჩანს, მაინც შემოგვენახა: მოთავსებულია კპ კირიონის საარქივო საქმეებში. უდავოდ ეს წერილი იგულისხმება იმ დოკუმენტში, რომელიც ცენტრალურ საისტორიო არქივში გ.როგავას უნახავს. სათაური და ციტატები, რომელთაც იგი თარგმნის და ისე იმოწმებს, არქიმანდ. ამბროსის მიერ მოტანილი სათაურისა

\*ფილეთიზმი – ეკლესიოლოგიური ერესი: ეკლესიური ნაციონალიზმი ანუ ნაციონალიზმი ეკლესიაში; დავობილ იქნა 1872 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე (ბერძნ. ფილე – ტომი, ფილეთიზმი – მეტომეობა). ფილეთისტურ-ნაციონალისტური ცნობიერება და ტენდენციები გამოკრთის სახელწოდებებიდან – „რუსული ეკლესია“, „ქართული ეკლესია“ (ვრცლად: ზ.კიკნაძე, ეკლესია გუშინ, ეკლესია ხვალ, თბ., 2002, გვ. 94-98).

და ციტატების იდენტურია: „ხმა სო-  
ხუმიდან“; კირიონის დანიშვნა „არის  
რუსული გრძნობის შელახვა“; „ხომ  
არ უნდათ ამით აფხაზები ამხედრონ  
მათი საბუღეველი ქართველების წი-  
ნაალმდეგ?“ (როგავა 1998: გვ. 119).

იმავე საარქივო საქმეებს შო-  
რის ყურადღებას იპყრობს კიდევ  
ერთი დოკუმენტი, დათარიღებული  
1907 წლით – ეპისკოპოს კირიო-  
ნის განმარტებითი ბარათი სინო-  
დისადმი გაზ. „კოლოკოლში“ დეკ-  
ვოსტორგოვის მიერ მის წინააღმდეგ  
წაყენებული ბრალდებების პასუხად  
(შენგელია 1998-1999: გვ. 122-  
123). ეს ის ბრალდებებია, რაზეც  
არქივანდ. ამბროსიც უპასუხებს.



ფიქრობთ, სურათი ნათელია:

ეპისკოპოსი კირიონი

ფსევდონიმ “Русский”-ის ვინაობა იმთავითვე გაშიფრული ყოფილა – დეკ. ივანე ვოსტორგოვი (მისი პიროვნების შესახებ იხ. შენ. 6). 1906 წელს იგი აქტიურად სწორედ გაზ. „კოლოკოლთან“ თანამშრომლობდა როგორც აღნიშნული და სხვა ფსევდონიმებით, ისე ანონიმურადაც (როგავა 1998: იქვე).

კირიონი სოხუმის ეპისკოპოსად 1906 წლის 2 თებერვალს დაინიშნა. მან იქ რევოლუციით დაშინებული და რუსეთში გაქცეული ეპ. სერაფიმე (ჩიჩაგოვი) შეცვალა. ასეთი მანიპულაციით რუსეთის საერო და საეკლესიო ადმინისტრაცია სიტუაციის განმუხტვას და ქართველი ავტოკეფალისტების გულის მოგებას ცდილობდა. ნაწილობრივ ასეც მოხდა. ეპ. კირიონმა აფხაზეთის ეკლესიებში წირვალოცვის ეროვნულ ენებზე დაყენებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო, რის გამოც კონტრრევოლუციონერებისა და შავრაზმელების რისხვა დაიმსახურა. მათ შორის ყველაზე უღმობელი ვოსტორგოვი აღმოჩნდა, რომელმაც, როგორც

ვხედავთ, სასწრაფოდ გაილაშქრა ახალდადგენილი მწყემსმთავრის „პროქართული“ სიახლეების წინააღმდეგ და მთავრობის დამუნათებაც გაბედა (იხ. აგრეთვე – კიკნაძე 2000: გვ. 65-66).

ფაქტი, რომ არქიმანდრიტმა ამბროსიმ ეპისკოპოს კირიონის პოზიციების, მისი პატივისა და ღირსების დასაცავად უმაღლვე აღიმაღლა ხმა, ამ ორი სასულიერო პირის საერთო ეკლესიოლოგიურ და სახელმწიფოებრივ სულისკვეთებაზე მეტყველებს. ეს სულისკვეთება კი



დოქ. ივანე ვოსტორგოვი

საეკლესიო ტრადიციისა და თეორიის საფუძვლიან ცოდნას ემყარებოდა, აგრეთვე – მიმდინარე მოვლენების ანალიზისა და განზოგადების მაღალ კულტურას.

ავტორი, როგორც თავად აღნიშნავს, ირჯება „აფხაზეთში ქართველი სამღვდელთა დასაცავად... ქრისტეს ეკლესიის ინტერესების დასაცავად... კავკასიასიაში ქართველთა და რუსთა ინტერესების სწორი გაგებისათვის“ (სქ. 1). ამ სამი მომენტის შესაბამისად ფაქტები, საკითხები და თეორიები, რომელთაც ავტორი ასაჩინოებს, შეგვიძლია სამ კატეგორიად დავაჯგუფოთ: 1) ფაქტოლოგია, ისტორიოგრაფია, პოლიტოლოგია და კონფლიქტოლოგია; 2) მისიოლოგია; 3) ეკლესიოლოგია და თეოლოგია.

ისტორიისათვის. პირველ რიგში ყურადღებას ფაქტებისა და მოვლენების ფართო სპექტრი იპყრობს. თანამედროვე მკვლევარი იქ ბევრ ისეთ მასალას იპოვის, რაც სხვა წყაროებით ცნობილი არ არის. ამით მდიდრდება ჩვენი ცოდნა აფხაზეთის ისტორიის აღნიშნული პერიოდის შესახებ. ავტორი სარგებლობს როგორც წერილობითი წყაროებით, ისე ზეპირი გადმოცემებით და კიდევ იმით, რაც თავად უნახავს და განუცდია. ყურადღება გამახვილე-



ბულია აფხაზეთში ეპ. კირიონის განწესების სამართლიანობასა და ამ ფაქტის სამომავლო პერსპექტივებზე, რაც წინარე ვითარების მიმოხილვასაც გულისხმობს.

საკვალალო ვითარება, რაც კირიონს აფხაზეთში დახვდა, იმის ნაყოფია, რაც მისმა წინამორბედმა ეპისკოპოსებმა დათესეს. მათ სულწასულობა გამოიჩინეს და მხარის უსწრაფესი გარუსება მოინდომეს, რასაც უკურეაქცია მოჰყვა. საყურადღებოა ფაქტები, რომელთაგან ზოგი დეკ. ვოსტორგოვს უკავშირდება, ზოგი ეპ. არსენის, ზოგი ეპ. აგაფედორს და ბევრ სხვას, რომელთაც ხშირ შემთხვევაში პირველწყაროს მნიშვნელობა აქვთ.

კითხულობ ამ ნაშრომს და იხატება ცარიზმისდროინდელი აფხაზეთის ტიპური სურათი. ვერსად ვერ ვნახავთ ისეთ ცოცხალ და დეტალურ აღწერას, მაგალითად, სოხუმის საეპარქიო კანცელარიის შტატის შემადგენლობისას, სოხუმის საკათედრო ტაძრის სასულიერო კრებულისას, სხვადასხვა მისიონერული ექსპედიციის ამბებისას, ეპარქიის პედაგოგთა საბჭოს მუშაობისას, „ღარიბთა სამზრუნველოს“ საქმიანობისას, როგორისაც აქ. გვეძლევა შესაძლებლობა, გავეცნოთ ისეთ პიროვნებებს, რომელთა შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ან არაფერია ნათქვამი, ან ძალზე ცოტაა ნათქვამი და მათი ბიოგრაფია შევსებას ითხოვს. ესენია: დეკ. იასტრებოვი, რომელიც 1896 წლის ახლო ხანებში, არსენის ეპისკოპოსობის დროს, ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველი და დეკ. ვოსტორგოვის თანამოაზრე ყოფილა (შედ. შენ. 6). ვინ იცის, ასევე, მღვდელ იოანე გეგიას ზნეობრივი გმირობისა და მოწამებრივად აღსასრულის ამბავი? ანდა დეტალები წმ. გაბრიელ ეპისკოპოსისა და, განსაკუთრებით, დეკ. დავით მაჭავარიანის სამისიონერო გზათა შესახებ? ირკვევა, რომ უკანასკნელს ლომის წილი მიუძღვის 1866 წლის აჯანყების მონაწილეთა დაწყნარებისა და შემორიგების საქმეში. მკითხველს უსათუოდ დაამახსოვრდება ისეთი სასულიერო პირების სილუეტები, როგორებიც არიან: ზოსიმე ხელაია (წმ. ამბროსის მამა), იესე ჟორდანი, მღვდელმონაზონი

ბესარიონი (მიქაბერიძე) და მისი სიძე მღვდ. ახვლედიანი, რომლებმაც მისიონერული საქმისათვის გაწირეს თავი, – არ მიატოვეს სამწყსო, როდესაც გარეშე ძალამ (თურქეთმა) აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა, და სასწაულად გადარჩნენ. არც სხვა მისიონერი მღვდელმონაზვნების სახეები დაგვავიწყლება.

ყველა მიხვდება, რომ ავტორი შესანიშნავად იცნობს ისლამის ისტორიას და ამ რელიგიის აფხაზეთში გავრცელების დეტალებს; მუჰაჯირობას და მიურიდიზმს. ერთობ ფასეულია მისი ანალიზი კავკასიაში ისლამის წარმატების თაობაზე და იმ რუსი ავტორების მოხმობა (ეგ.მარკოვი, ვ.რომანოვსკი, ნ.ვოლკონსკი, პ.უვაროვა), რომლებიც მის პოზიციებს ეთანხმებიან და აღრმავებენ კიდევც.

ეს ნაშრომი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური კურსისა და პოზიციის კრიტიკის მიუხედავად, ჩვენ, თანამედროვე მკითხველებს, ასეთი განცხადების გაკეთებისკენაც გვიბიძგებს: დროა, გადაისინჯოს ერთმნიშვნელოვანი განცხადებები, რომელთა თანახმად რუსეთის ეკლესია ქართულ ენას მხოლოდ სდევნიდა და მეტი არაფერი. ვინც ყურადღებით წაიკითხავს ქვემოთ პუბლიკაციას, დაგვეთანხმება, რომ ამ ეკლესიის არა ერთი და ორი ოფიციალური პირი, უმაღლესი ინსტანციები და თვით უწმინდესი სინოდი ქართული ენის უფლებებს ზოგჯერ იცავდა კიდევც. ამის მაგალითია უწმინდესი სინოდის პასუხი ეპ. არსენისადმი, ასევე – ვინმე ქართულის არმცოდნე მღვდლის პოზიცია, რომელიც ეპ. არსენიმ ილორში განაწესა, და სხვაც\*.

ისტორიისათვის განსაკუთრებით ის ადგილებია მნიშვნელოვანი, რომლებშიც აფხაზეთის ეთნოდემოგრაფიული და რელიგიური სტატისტიკაა მოცემული. მონაცემები ისეთი დოკუმენტებიდანაა ამოკრებილი, რომელთა დიდი ნაწილი დღეისათვის ან დაკარგულია, ან ძნელად ხელმისაწვდომი, რის გამოც მათ, ასევე, პირველწყაროს ფასი აქვთ. ეს წყაროები ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (მხედველობაში გვაქვს: თოთაძე 1995; ჭანტურია 2001) მეტწილად გათვალისწინებული არ არის. საყურადღებოა აგრეთვე ავტორის

კრიტიკული მიდგომები აღნიშნული მონაცემებისადმი და ოფიციალური სტატისტიკის გადამოწმების მისეული მცდელობანი.

მისიოლოგიისათვის. ნაშრომი მდიდარია არა მარტო სამისიონერო პრაქტიკის ამსახველი ფაქტებით (რომელთაც ისტორიოგრაფი-ისტვისაც თანაბრად დიდი მნიშვნელობა აქვს), არამედ თეორიული მსჯელობით, ანალიზით და შეფასებებითაც.

რა ენაზე უნდა წარმართოს ღვთისმსახურება, მაგალითად, სამურზაყანოში? არქიმანდრიტის პასუხი ასეთია: იმ ენაზე, რომელიც მლოცველებს ესმით. ნაციონალურ კუთვნილებას მნიშვნელობა არა აქვს. ამდენად, სხვა თემაა, სამურზაყანოელები ისტორიული ფესვებით აფხაზები არიან თუ ქართველები. ვინაიდან ისინი ამჟამად „ქართული ენის მეგრულ დიალექტზე“ ლაპარაკობენ, მეგრელთა საღვთის-მსახურო ენა კი ქართულია, ცხადია, მათაც ქართულად უნდა ვუწიროთ. რაც შეეხება აფხაზებს, მათ უძრავლესობას ქართული არ ესმით, მით უმეტეს – სლავური. ამის გამო ეპ. გაბრიელმა და დეკ. მაჭავარიანმა საღვთისმსახურო ლიტურგურის აფხაზურ ენაზე თარგმნის ტრადიციას ჩაუყარეს საფუძველი და ეს საქმე მათ დიდ ქალბატონს კესარია შარვაშიძეს მიანდეს, რომელსაც ამისათვის კომიტეტი უნდა ჩამოეყალიბებინა.

მისიონერობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული სარწმუნოებრივი პედაგოგიკა. ის მონაკვეთები, სადაც ავტორი საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაზე გვიამბობს, ერთის მხრივ, მის ბიოგრაფიას ავსებს და ამდიდრებს, მეორეს მხრივ, იმდროინდელ აფხაზეთში სასწავლო პროცესის ტიპურ სურათს წარმოგვიჩენს. იგი ასე მსჯელობს: რადგან ბავშვებმა რუსული არ იციან, საღვთო რჯულის გაკვეთილების ამ ენაზე ჩატარება აზარალებს როგორც საგნის

---

\*გავისწენებთ ერთ ფაქტს: 1906 წელს დეკ. კიკელიძემ, იმჟამად თბილისის საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორმა, ქართული ენის განვითარების პროგრამა შეადგინა („მოხსენება ქართული ენის გაუმჯობესების შესახებ“). მისმა შინაარსმა ეგზარქოსი ნიკონი აღაშფოთა. მან ტექსტი მსჯავრის დასადებად სინოდს გაუგზავნა, მაგრამ, ეგზარქოსისათვის სრულიად მოულოდნელად, სინოდმა პროექტი დაამტკიცა (ძველი სემინარიელი, დეკანოზი კორნელი კიკელიძე. რექტორად დანიშვნის გამო. – „საქართველო“, 1916, №223).

ძირითად მიზანს, ისე „რუსული ენის შეგნებულ სწავლებასაც“. ქართული პედაგოგიკის ისტორიისათვის საყურადღებოა ფაქტები, რომელთა თანახმად სასწავლო პროცესში მაშინ თურმე მშობლებიც აქტიურად ყოფილან ჩართული. მათ კომიტეტებს თავიანთი თვალსაზრისი მიუწოდებიათ ეპარქიის პედაგოგთა საბჭოსათვის, რომელსაც, თავის მხრივ, დადგენილება („განჩინება“) მიუღია – იმ სამრევლოებში, სადაც მრევლი „ქართული ენის მეგრულ დიალექტზე“ მეტყველებს, ქართულად სწავლება იქნეს შემოდებული.

ყველაზე მაგნე და დანაშაულებრივი მიმართულება, რასაც მისიოლოგიის ისტორია იცნობს, არის ამ საქმის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ინტერესებით გაჯერება. სახელმწიფოს ინტერესებში კი ზოგჯერ ქვეყნის კონფესიური სურათის სურვილისამებრ ცვალებადობა და შესაბამისი დაგეგმარება შედის. ხშირად „ზემოდან“ იგეგმებოდა, რამდენი აფხაზი უნდა მონათლულიყო. ამის ნიმუშად ეპ. აგაფედორის ის კუროზული დავალება გამოგვადგება, რომელიც მან ოჩამჩირელ მღვდელს იოანე კერესელიძეს მისცა...

როდესაც სახარების მქადაგებელს არასახარებისეული მიზნები აქვს და გულწრფელად არ უყვარს ხალხი, რომელსაც უქადაგებს, იგი უკუღმართ გზაზე და ფაქტობრივად ათეიზმის სამსახურში დგას. ავტორი თვლის, რომ რუსეთიდან ჩვენში ასეთი მისიონერები, პოლიტიკურ-შოვინისტური აზრებით დამძიმებულები, ჩამოდიან. სწორედ მათ გააღვივეს ანტიეკლესიური, ანტირელიგიური და ანტისახელმწიფოებრივი განწყობილებები. სტატიაში ყველაზე ფართოდ ეს თემაა გაშლილი და დარწმუნებული ვართ, რომ თანამედროვე მისიონერები იქ ბევრ დასაფიქრებელს ამოიკითხავენ.

ეკლესიოლოგია. საფუძველი, რაც უკუღმართ მისიონერულ პრაქტიკას აპირობებს, არის ეკლესიის სახელმწიფოსთან, ეროვნებასთან და ღია საზოგადოებასთან დამოკიდებულების არაეკლესიური კურსი. სხვანაირად რომ ვთქვათ, – ეკლესიაში ამ უბანზე არაეკლესიური ცნობიერება, კერძოდ, ერის (ეთნოსის) და ეკლესიის გაიგივება ანუ ამა თუ იმ კონფესიის ამა თუ იმ ერთან (ეთნოსთან) იდენტიფიკაცია. ეს ვითარება, თავის მხრივ, ბევრ არაჯანსაღ მიმართულებას წარმოშობს, მათ შორის, რელიგიურ და ეთნიკურ

კონფლიქტებს.

მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციათა კრიტიკა ამავე ეკლესიის წიაღში შემუშავდა. მისი ავტორები, რომელთაც არქიმანდ. ამბროსი იმოწმებს, საეკლესიო ისტორიისა და ღვთისმეტყველების სპეციალისტები არიან: მღვდ. აგეევი, ნ. დურნოვო, სამარინი, ს. გორგაძე და სხვანი, რომელთა შეხედულებები თვით რუსეთის ეკლესიის ოფიციალურ ორგანოებში ქვეყნდებოდა. ასე რომ, კრიტიკა, რომელსაც წინამდებარე სტატია ეფუძნება, რუსეთის ეკლესიიდანვე მოდის და მისი არსი ასე გადმოიცემა: „რელიგიური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისების აღრევა არის ბოროტება და საბედისწერო უგუნურება“; „დაე დაზარალებს ეკლესია ამა თუ იმ კანონის მიერ, ოღონდ სახელმწიფომ ხერი ნახოს!“ ასეთია ვითარება ყველგან, სადაც რუსეთის იმპერია და მისი ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდება. საქართველოში კი, არქიმანდ. ამბროსის შეფასებით, მდგომარეობა უარესია. აქ ადგილი აქვს ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესების არა აღრევას, არამედ „მთლიანად შეცვლას პირველისა უკანასკნელით,“ ე.ი. ეკლესიაში ეროვნული (ამ შემთხვევაში, რუსული ნაციონალური), სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ინტერესებისა და ცნობიერების გაბატონებას.

ჩვენის მხრივ დავძენთ: რელიგიური ანუ, იგივე, ეკლესიური და სახელმწიფოებრივი მისწრაფებების ერთმანეთისაგან გამიჯვნის იდეა ფაქტობრივად ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის იდეაა. არქიმანდ. ამბროსი ამ იდეას თუმცა აქ ასე მკაფიოდ არ გამოხატავს (და, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობაშიც კი ვარდება), მისი და მისი რუსი კოლეგების მსჯელობას ჩვენ ამ იდეამდე მივყავართ.

ეკლესიისა და ნაციის (ერის), ეკლესიისა და სახელმწიფოს, ეკლესიისა და პოლიტიკის (პარტიულობის) როგორც ორი სხვადასხვა მოვლენის, ორი სხვადასხვა ბუნების, ორი სხვადასხვა ინსტიტუტის და ჰეტეროგენული წარმონაქმნების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და გაცალკევება დემოკრატიის უმთავრესი პრინციპია. ეს პრინციპი ბიბლიიდან მომდინარეობს. მას ეფუძნება მართლმადიდებელი ეკლესიის კრედი,

კერძოდ კი - დიოფიზიტური დოგმატი, რომელშიც მოძღვრება ორი ბუნების ურთიერთობის შესახებ სიტყვიერად და თეორიულადაა ჩამოყალიბებული. ეს თეორია, თავის მხრივ, გზადგზა ქვეყნების ახლებურად მოწყობის შთამაგონებელი ხდება. ადამიანის უფლებები, სინდისისა და ნების თავისუფლება, ერთა თვითგამორკვევა, საზოგადოების ჰუმანიზაცია და დემოკრატიზაცია, რაც განსახილველი ნაშრომის სტრიქონებს შორის პირდაპირ თუ ირიბად იხილება, სათავეს ძველი საეკლესიო ტრადიციიდან იღებს. მამასადამე, აღნიშნული ცნებები წარუვალი და აბსოლუტური ღირებულებების შემცველი ცნებებია.

### აფხაზი ხალხი

როდესაც არქიმანდ. ამბროსი ამ სტატიას წერდა, აკადემიკოსი ნიკო მარი ქართულ-ქართველური და მთის კავკასიური ენების ნათესაობის თეორიას აყალიბებდა. დეკ. კ. კეკელიძე, მოხიბლული ასეთი შესაძლებლობის დაშვებით, ზემოდამოწმებულ წერილში ამბობდა: „ენათმეცნიერებამ გამოარკვია, რომ აფხაზებიც ქართველთა მოდგმის, იაფეტური შტოსის, ხალხია“. არქიმანდ. ამბროსი, ჩანს, შთაგონებულია იმ ენათმეცნიერული თეორიით, რომლის თანახმად სამურზაყანოელების სამეტყველო ენა, მეგრული, - ქართული ენის ღვიძლი ძმა და დიალექტია, აფხაზური კი - მონათესავე ენა.

მისი წერილი გამსჭვალულია აფხაზი ხალხის სიყვარულითა და მისდამი თანაგრძნობით. მასში არა მარტო ამ ხალხის მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე მოქცევის ეპიზოდებია აღწერილი, არამედ აფხაზური ენის მოვლა-პატრონობის საკითხიცაა დასმული. წმ. ამბროსი აფხაზი ხალხის იმ მეგობართა გვერდით იდგა, რომლებიც მათ ენაზე საღვთო ლიტურგიის ამეტყველებისათვის იღვწოდნენ. ისინი, როგორც ამ წერილიდან ირკვევა, თბილისის სასულიერო სემინარიაში აფხაზური ენის კათედრის ჩამოყალიბებისათვის ზრუნავდნენ. არქიმანდრიტი გვიამბობს: „იმისათვის, რომ აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო წიგნები წარმატებით ეთარგმნათ, უნდა შეეძუშავენინათ, ასე ვთქვათ, საღვთისმსახურო ენა, დაედგინათ სხვადასხვა

საღვთისმეტყველო ტერმინი აფხაზურ ენაზე, რაც შედარებით უკეთ მიიღწეოდა ამავე ენის კათედრის ჩამოყალიბების შედეგად. იქ მასწავლებელი აფხაზ მოწაფეებთან ერთად გამოკვეთდა ყველაზე აუცილებელ ტერმინებს და თარგმნიდა საჭირო სიტყვებს აფხაზურ ენაზე...“ ამ იდეას, სამწუხაროდ, უმაღლესი ინსტანციებიდან მხარდაჭერა ვერ მოუპოვებია. სამაგიეროდ, სტავროპოლის სემინარიაში დაუნიშნავთ ხუთი სტიპენდია. აფხაზ ჭაბუკებს დაუმთავრებიათ აღნიშნული სემინარია, მაგრამ მღვდლად კურთხევა და თავ-თავიანთ სამრევლოებში დაბრუნება არ უსურვებიათ „აფხაზთა შორის ასეთი მოღვაწეობისათვის მოუძხადებლობისა და ხალხისათვის გასაგებ ენაზე მსახურების წარმართვის შეუძლებლობის გამო“.

რა აბრკოლებდა რუსეთის ეკლესიას, რომ მეტად ეზრუნა აფხაზური ენის ლიტურგიულ ენად აღზევებისათვის? – რუსეთის ეკლესია თავის თავს რუსულ ეკლესიად მოიაზრებდა და ასე ფიქრობდა: მცირე ერების ნაციონალური ფიზიონომიის შენარჩუნება იმპერიის დიდმპყრობელურ მიზნებს ეწინააღმდეგება. არქიმანდრიტ ამბროსის სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია აქვს. წინამდებარე ნაშრომი შთაგვაგონებს ვთქვათ: პირიქით, – სახელმწიფოებრივ და ეკლესიურ სეპარატიზმს სწორედ მცირე ერების ნაციონალური ფიზიონომიისა და მათი ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფა, ფილექტიზმამდე მისული ნაციონალიზმი, კვებავს.

### წინამდებარე გამოცემა

ნაშრომი <<სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“>> ნაწილობრივ სასულიერო და ნაწილობრივ საერო მწერლობის პოლემიკურ ჟანრს განეკუთვნება. კრიტიკის ობიექტია როგორც ეკლესიის იერარქია, ისე სახელმწიფო. შესაბამისად, მოხმობილია როგორც საეკლესიო-სასულიერო, ისე საერო-სახელმწიფო შინაარსის მსალები და ღოკუმენტები. პაექრობის ტონი მძაფრია, რაც, თავის მხრივ, თხრობის ექსპრესიულობას განაპირობებს. ვფიქრობთ, დაგვეთანხმებიან სპეციალისტები, რომ იგი უზადო რუსულითაა დაწერილი.

პირველი შთაბეჭდილება, რაც თანამედროვე მკითხველს დაუ-

оставив епархию и нелюбимую паству?! Что удивительно, если русские учителя Гальской второклассной школы, не знавшие языка народа, которому они служили - его нравов и обычаев, не понимавшие его психологии, не любившие и не поднимавшие стакана вина без того, чтобы не сказать, чтобы „издохли тунгузы” (так они именовали абхазцев, самурзаканцев), что удивительного, повторяю опять, если такие учителя принуждены были оставить свою школу?! Что удивительного, если всем насильственным обрусителям края, вроде протоиерея Восторгова, Ястребова и других, пришлось очистить поле деятельности?!

Незадолго пред своим бегством из гор. Сухума еп. Арсений в сел. Илори назначил вторым священником



თარგმანი

## სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“ (გაზ. „კოლოკოლი“, № 45) [1]\*

გაზეთ „კოლოკოლის“ 45-ე ნომერში [2] დაბეჭდილია სტატია „ხმა სოხუმიდან“, რითაც ავტორი, შენიღბული ფსევდონიმით „რუსი“, ჩრდილს აყენებს ყოვლადსამღვდელო კირიონის – სოხუმის კათედრაზე დადგინებულის – მოღვაწეობას; წარმოგვიდგენს ვიწრო ნაციონალური მიმართულების კაცად და მის დანიშვნას აღნიშნულ კათედრაზე თვლის სოხუმის ეპარქიაში რუსული საქმის დაღუპვად [3]. თუ რატომ უყურებს ავტორი საქმეს ასე, რატომ ეძებს იგი სოხუმის კათედრაზე კირიონის დანიშვნაში მავნებლურს, სავსებით ცხადია, რადგან არ მოსწონს ქართველი ეპისკოპოსის ქართველოფილობა. ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, როგორ ესმოდა კავკასიაში რუსული კულტურისა და მოქალაქეობის ზოგიერთ დამნერგავს საკუთარი ხალხისადმი სიყვარული. ყველას ემახსოვრება შეუწყნარებლობა და სიძულვილი ყოველივე ქართულისადმი, ასევე უკუღმართი მისწრაფება რუსიფიკაციისადმი, რითაც დასნებოვანებულნი იყვნენ ცნობილი მოღვაწენი კავკასიაში: ეპ. არსენი, დეკანოზები – ვოსტორგოვი, იასტრებოვი<sup>1</sup> და სხვანი [6]. ახლა კი ყველა, ვისაც აქვს საქმის საღად დანახვის უნარი, ვინც არ არის დაავადებული უცხო ტომთა სიძულვილით, ნათლად ხედავს, როგორია ასეთ რუსიფიკატორთა მოღვაწეობის ნაყოფი. კერძოდ, ამჟამინდელი მდგომარეობა კავკასიაში, საყოველთაო უკმაყოფილება ახლანდელი საეკლესიო წყობილების გამო, საკუთარი ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნებისაკენ სწრაფვის გაძლიერება,

\* კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ციფრი შენიშვნის ნომერს შეესაბამება.

1 არ დავასახელებდით პიროვნებებს, არ შეგეხებოდით მათი მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეს, მაგრამ ამას გვაიძულებს თავად ფსევდონიმს ამოფარებული ავტორის მაგალითი. იგი უსაფუძვლოდ კიცხავს ეპ. კირიონისა და სხვა პირთა საქმიანობას [4]. მათ შორის ყურადღების მიღმა არც ჩვენს პიროვნებებს ტოვებს; ჩვენ, სოხუმის ეპარქიის სამღვდელოების წევრებს, გვიწოდებს „ყოფილ ლაქიებსა და მოჯამაგირებს“. აფხაზეთში მოღვაწე ყველა ქართველს თვლის

ამ მიმართულებით ხალხის გამოღვიძება არის ზემოხსენებულთა და მათ მსგავს კაცთა მოღვაწეობის შედეგი და სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ამ აზრით მათ ხალხს დიდი სამსახური გაუწიეს. უბედურება ისაა, რომ საკუთარი მოღვაწეობით მათ ზიანი მიაყენეს საქმეს, რასაც ემსახურებოდნენ. აღნიშნულ პირთა მოღვაწეობის მიზანი უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხის რუსებთან დაახლოება რუსული კულტურისა და მოქალაქეობის დანერგვის გზით, მაგრამ ისინი ამით როდი შემოიფარგლნენ. მათ მეტი მოინდომეს – მხარის რაც შეიძლება სწრაფი გარუსება, – ქართველი და რუსი ხალხების სრული გათქვეფა პირველთა ნაციონალური ფიზიონომიის, საკუთარი ენის, ზნე-ჩვეულებების მოსპობის ხარჯზე. ეს კი შეუძლებელი აღმოჩნდა. პირიქით, – ამ მიმართულებით მეტისმეტმა აქტიურობამ სრულიად საწინააღმდეგო რამ განაპირობა: მან ქართველი მოსახლეობის იმ ნაწილშიც კი, რომელშიც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი, ეროვნულობის შენარჩუნების ძალეში სწრაფვა გამოაღვიძა. მოინდომეს სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა, რამაც გამოაფხიზლა ხალხი:

ვიწრო ნაციონალური მიმართულების ხალხად, - მავნებლებად რუსული საქმისა და მართლმადიდებლობისა აფხაზეთში. თავისი წინასწარაკვიატებული აზრის დასაბუთებას ქართველოფობი ავტორი იმით ლამობს, რომ იგი სოხუმის კათედრაზე ებ. კირიონისა და აფხაზეთის [ქართველი] სამღვდლოების მოღვაწეობას რუსი მღვდელმთავრების თითქოს უფრო ნაყოფიერ მოღვაწეობასთან აპირისპირებს. ამიტომ სოხუმის ეპარქიაში ქართველი სამღვდლოების დასაცავად და მათ მიმართ ასეთი უსაფუძვლო ბრალდებების არსებობის გამო რაღაც აუცილებლად უნდა ითქვას, - გაირკვეს, ეპ. კირიონის წინამორბედები [5] თუ რამდენად იყვნენ ქრისტეს ეკლესიაში განურჩევლად ყველა ეროვნების თანასწორობის იდეის გამტარებლები და თავიანთი მოღვაწეობით თუ რამდენად უმზადდნენ ისინი ნიადაგს საქართველოში საეკლესიო ცხოვრების ამჟამინდელ სავალალო მდგომარეობას. ეს არის ბ. „რუსის“ ქართველოფობიისა და მისი ბრალდებების უსამართლობის დამტკიცების უტყუარი გზა. აქ კი აუცილებელია ფაქტების ენით ლაპარაკი, რომელიც ვერ ახერხებს პიროვნებების გამორიცხვას და ყურადღების მიღმა მათ დატოვებას. მეორეს მხრივ, ამისაკენ გვიბიძგებს ქრისტეს ეკლესიის და ოლქში რუსული საქმის ინტერესების დაცვის სურვილი, ე.ი. კავკასიაში ქართველთა და რუსთა ინტერესების სწორი გაგება და ამასთანავე – ხელის შეწყობა მართებული გზის მოძებნისა და სახული მიზნის მისაღწევად. ვლესულობით რა ამას მხედველობაში, ვთვლით დანაშაულად და ქრისტეს ეკლესიის ინტერესებისა და რუსეთის საქმის საზიანოდ მიჩუმაობას ფაქტებისა, რომლებიც კავკასიაში მოღვაწეთა შეცდომებზე და სამომავლო სამწუხარო შედეგებზე მიგვანიშნებენ.

მეგრელები ერთობ განიმსჭვალნენ თავიანთი სალიტერატურო და საეკლესიო-საღვთისმსახურო ენის დაცვის იდეით და მივიღეთ სრულიად საწინააღმდეგო შედეგი იმ მიზნისა, რისკენაც მიისწრაფვოდნენ აღნიშნული საქმის ინიციატორები. ხალხი პირდაპირ აღიარებს, რომ აქამდე ასე ღრმად არ ესმოდათ ამ ენის დაცვისა და საფუძვლიანად შესწავლის აუცილებლობა და რომ მათ თვალელები დეკ. ვოსტორგოვმა აუხილა. ხშირად გაიგონებთ ხუმრობით წარმოთქმულ სიტყვას, რომ ღვთის ყანის ამ მუშაკებს სამეგრელოს ცენტრში ძეგლის დადგმა ეკუთვნით. მეტიც, ასეთმა მუშაკებმა დათესეს უნდობლობა არა მხოლოდ სასულიერო ხელისუფლების მიმართ, არამედ ეკლესიის მწყემსებისადმიც, რომლებიც წინასწარდაგეგმილი აშკარა რუსიფიკაციის დამქაშებად წარმოჩნდნენ.

თუკი რუსეთის სასულიერო უწყების წარმომადგენელთა შორის „რელიგიური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისების აღრევა“ მთელს რუსეთში არის ბოროტება და „საბედისწერო უგუნურება“ («Церк. Вест.», 1905, <sup>1</sup> 7), ეგევე მით უმეტეს საქართველოს მისამართით ითქმის, რადგან ეს ქვეყანა მართლმადიდებლებით დასახლებულ ერთადერთ განაპირა მხარეს წარმოადგენს; მხოლოდ აქ შეიძლება გაიდგას ფესვი ამ ბოროტებამ და საბედისწერო უგუნურებამ, ვინაიდან დანარჩენი განაპირა უცხოტომელები მათდა საბედნიეროდ, როგორც ისინი ამბობენ, ერთი მართლმადიდებელი სარწმუნოებით რუსეთის მკვიდრ მოსახლეობასთან დაკავშირებული არ არიან. რაც შეეხება საქართველოს, უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: აქ ადგილი აქვს არა „რელიგიური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისების აღრევას“, არამედ - მთლიან შეცვლას პირველისა უკანასკნელით. მხოლოდ აქ მიეცემა კაცს შესაძლებლობა, პირისპირ გაეცნოს სარწმუნოების ისეთ დამცველებს, რომლებიც, „ცერკ. ვესტნიკის“ სიტყვებით, ამბობენ: „დაე, დაზარალდეს ეკლესია ამა თუ იმ კანონის მიერ, ოღონდ სახელმწიფომ ხეირი ნახოს“. ყოველივე ეს საქართველოში მხარის გარუსების ძლიერი ჟინით მძაფრდება. ეს ამოცანა, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, განსაკუთრებით რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებამ დაისახა მიზნად; სწორედ ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის

ვაწყლებით შეუწყნარებლობის უკიდურეს ფორმებს უცხოტომელ-თადმი და ყოველივე იმისადმი, რამაც ამ ხალხთა ნაციონალური სახე უნდა წარმოაჩინოს. ისეთ სიძულვილს ქართველთა მიმართ, რასაც ამჟღავნებენ მქადაგებელნი ქრისტეს მოძღვრებისა, – მტერთა მიმართაც კი სიყვარულისა, თითოეული ხალხის ნაციონალური თავისებურებების პატივისცემისა (კოლ. 3, 11), საბედნიეროდ, ჩვენ ვერ ვხედავთ საერო ადმინისტრაციის მუშაკებში, რომლებიც ყველაზე აშკარად ემსახურებიან რუსიფიკატორულ იდეებს. მხოლოდ ანაფორაში გამოხვეულ რუსიფიკატორებს – ეკლესიის მწყემსებს – შეუძლიათ უწოდონ ქართულ ენას ძალღების ენა, ქართულ საეკლესიო გალობას – ძაღლების ყეფა [7]; მხოლოდ რუსიფიკატორ მღვდელმთავარს შეუძლია მთელი ერის დაწყევლა (Рус. Вед. 1905, <sup>1</sup> 62) [8]. „არაფერს ისე არ შეაქვს უთანხმოება ეკლესიის წარმომადგენლებსა და განათლებულ საზოგადოებას შორის, მღვდელ აგეევს სიტყვებით რომ ვთქვათ; არაფერი ისე არ აშორებს მეორეს პირველისაგან, როგორც სახელმწიფოებრივი პრინციპების შეტანა რელიგიის სფეროში, რასაც ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ გავუძლებთ, რადგან გვავიწყდება: ვინც მახვილს იმიშვლებს, მახვილით განიემირება“ («Церк. Вест», 1905, <sup>1</sup> 7).

ამიტომაც, ცხადია, ხალხმა უეჭველად შენიშნა, რომ სამღვდელოება თავის პრაქტიკაში არ ემსახურება საკუთარ საქმეს, რომლის ზემოაღნიშნული მხარე, სასულიერო ხელისუფლების აქტიური მოღვაწეობის შედეგად, ან დავიწყებულა, ანდა ვერ მოუსწრიათ, რომ შეძლებისამებრივ კეთილსინდისიერებით იგი მწყემსებრივ მოვალეობას შეუთავსონ. მწყემსებმა დაკარგეს ცხოვართა ნდობა, ვინაიდან „მღვდელ პოლიტიკანებს, როგორც „ცერკ. ვესტ.“ აღნიშნავს, საზოგადოება არ გაჰყვება. დანაწიებით აღიარებენ რა, რომ ისინი თავიანთი მოვალეობით დასაქმებულნი არ არიან“ («Церк. Вест.», 1906, <sup>1</sup> 8, ნიშ. 367). მეორეს მხრივ, ხალხი ვერ ეგუება ხელყოფას წმიდათა წმიდის, – ზნისა, ჩვეულებისა, ენისა და ყოველივე იმისა, რაც მისი ნაციონალური სახის არსებას წარმოადგენს. და რაღაა გასაკვირი, თუ ქართველი ხალხი სიძულვილითვე უპასუხებს არა რუს ხალხს, არამედ მხოლოდ იმ მოღვაწეებს,

რომლებიც ცდილობდნენ, დაეთესათ მტრობა ბუნებით რუსებსა და ქვეყნის აბორიგენებს – ქართველებს – შორის?! იმდენად ღრმად იყო ჩაბუდებული ქართველების გულში ერთმორწმუნე რუსი ხალხისადმი სიყვარული, რომ ამ მოღვაწეებს არ შეეძლოთ ასე იოლად მიეღწიათ თავიანთი მიზნისათვის, - აღმოეფხვრათ ხალხში ჭეშმარიტად ქრისტიანულად განწყობილი რუსი ადამიანებისადმი რწმენა და სიყვარული. მათ უნდოდათ მღვრიე წყალში თევზის დაჭერა, „კარიერის შექმნა ქართველების შევიწროებისა და ყალბი დანოსების ხარჯზე“ (დურნოვოს სიტყვები [9]). მათ „შებილწეს“, უპატიოჰყვეს რუსის სახელი კავკასიაში; მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, განიცადეს სრული მარცხი: სამარცხვინოდ დატოვეს ამიერკავკასიის საზღვრები, დათმეს სამწყსო და ის საქმე, რის მსახურადაც ხმობილნი იყვნენ. ამით ერთხელ კიდევ დაადასტურეს ჩვენი მაცხოვრის უკვდავი სიტყვების სამართლიანობა ასეთი მწყემსების მიმართ [10]. ამასთანავე, რუსი ხალხის ის წარმომადგენლები, რომლებიც ჭეშმარიტად არიან შემოსილნი ქრისტიანული სიყვარულით ყოველთა მიმართ განურჩევლად ეროვნებისა, ცხოვრობენ მშვიდად, სარგებლობენ ქართველი ხალხის კეთილგანწყობითა და ნდობით. დიახ, მაღლობა ღმერთს, ღვთის ყანის პოლიტიკანი მუშაკები გაიქცნენ, მაგრამ მათ, – ამ „კავკასიელ ანაფორიანებს“, – ხელი არ აუღიათ ღვაწლზე თითქოს რუსული საქმის სასიკეთოდ კავკასიაში. მათ უნდოდათ ამიერკავკასიელი ხალხების ერთმანეთზე წასევა და „სისხლისღვრამდე მიყვანა“. ამ მიზნით ისინი არ იშლიდნენ „სტატიების, - სრული სიცრუის, ავენიანობათა და ცილისწამებათა“ დაბეჭდვას („С.-Петербург. Вед.“, 1906, <sup>1</sup> 52).

ჩვენ ვთქვით, რომ ეს რუსიფიკატორები დამარცხდნენ და გაიქცნენ, მაგრამ ამით, ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ მათმა საქმიანობამ არ გამოიღო ხალხისთვის მავნე ნაყოფი. ქართველებმა, ასეთი მოღვაწეების წყალობით, მშვიდობიან დროს, ძლევამოსილი ხელისუფლების მფარველობის ქვეშ, დაკარგეს ის, რაც თავიანთი ცხოვრების ყველაზე შფოთიან საუკუნეებშიც კი, ეკლესიის მტრებთან ბრძოლის დროს, სრული სიწმინდით შეინარჩუნეს –

ერთგულება ქრისტიანული სარწმუნოებისადმი. დღეს საქართველოში ყოველი მხრიდან ისმის პროტესტები, სიტყვით თუ საქმით, მართლმადიდებელი სარწმუნოების საპირისპიროდ, ეკლესიისა და მისი მსახურების – სამღვდელოების – წინააღმდეგ.

მეტეც, პრესაში აშკარად გამოთქვამენ აზრს, რომ სასულიერო ხელისუფლების რუსიფიკატორულმა მისწრაფებებმა ქართველი ხალხის შეგნება მიიყვანეს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის იდეამდე და პრაქტიკულად შეამზადეს ნიადაგი ხალხში რევოლუციური სულის ჩასახვისათვის (გაზ. „შრომა“, № 7; ჟურნ. „ივერია“, 1906, № 7, გვ. 3 და სხვა) [11].

აი, თავგამოდებული რუსიფიკატორების სახელმწიფოსათვის სასარგებლო მოღვაწეობის შედეგები; მათ თავისი გაიტანეს, თუკი შეიძლება, რომ ხალხის ცხოვრებაში გამოვლენილი შფოთი, არეულობა, სასულიერო პირთა დევნა, ეკლესიისაგან მრევლის გამიჯვნა სახელმწიფოსათვის სასარგებლოდ ჩაითვალოს.

ამ სამწუხარო ვითარების ყველა მიზეზის გამოვლენა ძალიან შორს წავიყვანდა. საჟურნალო სტატიის მოცულობა ამჯერად საშუალებას არ გვაძლევს, რომ აღნიშნულ, მეტად საინტერესო, საქმეს შევუდგეთ. ამას მომავალში გავაკეთებთ. ამჯერად წარმოვადგენთ ზემოაღნიშნულ სტატიაში რამდენიმე მცდარად გაშუქებული ფაქტის ახსნა-განმარტებას, თანაც, რაც შეიძლება, მოკლედ.

დარდობს რა სოხუმის კათედრაზე ყოვლადსამღვდელო კირიონის დანიშვნის გამო, თვლის რა ამას რუსული გრძნობისათვის შეურაცხყოფად და არა აქვს რა იმედი, რომ მის [ეპ. კირიონის] პიროვნებაში იპოვის „იმ ზომიერებას, იმ სამართლიანობას, ტაქტს და გულისხმიერებას, - ყველა იმ ღირსებას, რაც ასე აუცილებელია ისეთი მრავალეროვანი ეპარქიისათვის, როგორც სოხუმი“, ავტორი ამ ფაქტს უცილობელ მავნებლობად რაცხს, რადგან ამან შეიძლება, მისი თქმით, „აფხაზები მათთვის საძულველი ქართველებისა და მეგრელების წინააღმდეგ აამხედროს და ისეთივე ზოცვა-ჟღერა გამოიწვიოს, როგორც ბაქოს გუბერნიაში ვიხილეთ“ [12]. ამ შემთხვევაში არ შევუდგებით ყოვლადსამღვდელო კირიონის დაცვას ასეთი ბეზღებისაგან, რადგან ის თვითონაც მოახერხებს

ამას. ვიტყვით მხოლოდ, რომ მთელი მისი მოღვაწეობა იძლევა გარანტიას, რომ იგი არ იქნება ისეთი უსამართლო, არ გამოიჩინოს ისეთ სიძულვილს არაქართველებისადმი, როგორც გამოიჩინეს მისმა წინამორბედებმა სოხუმის კათედრაზე არარუსი წარმოშობის ნებისმიერი ეროვნების მიმართ, მეტადრე – ქართველებისადმი.

გაზეთებიდან ყველასათვის ცნობილია ეპ. არსენის განკარგულება, რომ აღდგომას სახარება ქართულად არ წაეკითხათ [13]. და ეს მაშინ, როდესაც სახარება სხვადასხვა ენაზე წაკითხულ იქნა, – მკვდარ ლათინურ ენაზეც კი, რომელიც მლოცველთაგან არავის ესმოდა. მლოცველთა ორ მესამედზე მეტი კი ქართველები იყვნენ. ისინი მოუთმენლად ელოდნენ, რათა მოესმინათ, თუნდაც ერთხელ წელიწადში, სახარება მათთვის გასაგებ ენაზე, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. უყურადღებობის, რელიგიური და ეროვნული გრძნობების ასეთი შეურაცხყოფის გამო ისინი გაავდნენ და სახარების კითხვის დამთავრებისთანავე საყდრებიდან დემონსტრაციულად გავიდნენ.

სოხუმში დამოუკიდებელი კათედრის დაფუძნების ჟამს სოხუმელებს აკლდათ ღვთისმსახურების ქართულ ენაზე მოსმენის შესაძლებლობა. ასეთივე ბედი ეწიათ ქართველებით დასახლებულ სამრევლოებს, რომელთა მღვდლებმა, მრევლის საუბედუროდ, იციან რუსული წერა-კითხვა. სოხუმელი იერარქების შეუწყნარებლობა ისეთი აუტანელი გახდა, რომ ქართველებმა ასეთი უსამართლობის გამო საგაზეთო სტატიების საშუალებით ჩივილი დაიწყეს [14] და ამ საგნის მიმართ ყურადღება თვით უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორსაც კი მიაქცევინეს. მოცემულ საქმეზე სოხუმის ეპისკოპოსის არსენისაგან ცნობები იქნა გამოთხოვილი, რაც მან მოურიდებლად კიდევ წარმოადგინა და დაადასტურა, რომ ქ. სოხუმისა და დაბა ოჩამჩირის ყველა ეკლესიაში ღვთისმსახურება საეკლესიო-სლავურ ენაზე აღესრულება, რომ სოხუმის ყოფილ ეპისკოპოს აგაფედოროვს განზრახული ჰქონდა ასეთი მსახურების შემოღება აფხაზეთისა და სამურზაყანოს ყველა სამრევლოში და რომ მან, არსენიმ, სლავური საღვთისმსახურო წიგნები ყველგან გაგზავნა და ყველას მისწერა, რომ ღვთისმსახურება ამ წიგნებით შეესრულებინათ (Отнош. Еп. Арсения от 17 мая, 1898, <sup>1</sup> 968).



ახლა ვნახოთ, როგორი მოსახლეობა იყო ქ. სოხუმსა და დ. ოჩამჩირეში, სადაც აკრძალეს ღვთისმსახურება ქართულ ენაზე. დავეყრდნოთ იმ ცნობებს, რომლებიც ჩართულია ეპ. არსენის ზემოაღნიშნულ მოხსენებაში (Дело Син. Конторы за 1898 г. <sup>1</sup> 65)

და რომელიც, უნდა ვიფიქროთ, არ არის შედგენილი ცნობილი ტენდენციით, – ქართველთა საერთო რიცხვის განზრახ შემცირებით, რათა მსგავსი განკარგულება შეძლებისამებრ გამართლებულ იქნეს.

1898 წელს, აღნიშნული ცნობის თანახმად, ქ. სოხუმში ცხოვრობდნენ: რუსები – 1410, ქართველები – 2336, აფხაზები – 80 სული ორივე სქესისა; დ. ოჩამჩირეში კი: რუსები – 57, აფხაზები – 70 და ქართველები – 257 სული და ვეკითხებით ქართველოფობ ავტორს, – სამართლიანია 2593<sup>2</sup> სოხუმელი და ოჩამჩირელი ქართველის დატოვება მშობლიურ ენაზე მსახურების გარეშე?

მთელ სოხუმის მხარეში, ეპ. არსენის სტატისტიკის თანახმად (იხ. სინოდის კანტორის აღნიშნული საქმე), სახლობს ორივე სქესის 78109 სული. მათგან ქართველია (მეგრელი, ქართლელი, იმერელი, გურული და სამურზაყანოელი) 45353 სული,<sup>3</sup> დანარჩენი: აფხაზები – 24598, რუსები – 2745, ბერძნები – 4762, სომხები – 638 და სხვა ეროვნებისა – 1013 სული. მართლმადიდებლად ირიცხება 72 729, არამართლმადიდებლად – 5280; აფხაზთაგან მართლმადიდებლად – 20 777 (და მათ შორის ბევრი მხოლოდ სასულიერო უწყისთა ანგარიშების მიხედვით იწოდება მართლმადიდებლად, სინამდვილეში კი მათგან უმრავლესი ფაქტიურად უფრო მაჰმადიანია, ვიდრე ქრისტიანი). მუჰამედის რჯულის მიმდევარია – 3821. მასასადამე, სოხუმის მხარეში 45 353 მართლმადიდებელი ქართველის გვერდით ღვას ყველა სხვა ეროვნების 27 376 სული

---

2 ეს ციფრი რომ ნამდვილად არ შეესატყვისება სინამდვილეს და რომ ქართველთა რიცხვი რეალურად გაცილებით მეტია, შეგვიძლია დავრწმუნდეთ სტატისტიკური მონაცემებით, – კავკასიის მთავარმმართველის კანცელარიის სტატისტიკური განყოფილების გამოცემით, კონდრატენკოს რედაქცია, 1886 წ. 3 სხვა მონაცემების თანახმად, ქართველების რიცხვი სოხუმის მხარეში უდრის ორივე სქესის 53829 სულს (Аадăдăѳъ, нѳѳ. 0ბ0სѳѳѳ, N-Іа, 1906, нѳბ. 16, иѳბѳ. 18 [15]).

მართლმადიდებელი და სამართლიანია განა ამდენი მართლმადიდებელი ქართველის დარჩენა სულიერ-რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარეშე?

გვეუბნებიან, რომ შეუძლებელია ქართველების რიცხვში სამურზაყანოელების ჩართვა, მათ შორის საერთო არაფერიაო<sup>4</sup>. ასეა მართლაც?

მოცემულ შემთხვევაში არ შევუდგებით იმის მტკიცებას, რომ სამურზაყანოელები ქართველ ერს ეკუთვნიან, ვინაიდან ეს არც საჭიროებს დამტკიცებას. ამას ცხადყოფს ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ანთროპოლოგიური მონაცემები. ჩვენი ფიქრით, საღვთისმსახურო ენის განსაზღვრის საქმეში არა მხოლოდ ხალხის ნაციონალური წარმომავლობა თამაშობს როლს, არამედ – მეტწილად ის, თუ რა ენაზე მეტყველებს ესა თუ ის ხალხი შესაბამის დროს. სამურზაყანოელების ქართველურ ტომებს მიკუთვნება ეჭვგარეშეა, მაგრამ ისტორიულ გარემოებათა შედეგად მათ შეიძლებოდა დაეკარგათ თავიანთი ენა და ენობრივად ასიმილირებულიყვნენ სხვა წარმომავლობის ხალხთან<sup>5</sup>. სამურზაყანოელების შესახებ ბევრი მართლაც ასე ფიქრობს. არ გაცნობიან რა მათ ცხოვრებას, არ იციან მათი ენა, საერო და სასულიერო ადმინისტრაციის ბევრი წარმომადგენელი დარწმუნებულია, რომ სამურზაყანოელები აფხაზურ ენაზე ლაპარაკობენ. ეს რომ ასე იყოს, ჩვენ, სამურზაყანოელების ქართული წარმოშობის მიუხედავად, არ შევეცდებოდით და არც გვექნებოდა არავითარი უფლება, დაგვეყენებინა საკითხი სამურზაყანოში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე წარმართვის შესახებ მაგრამ საქმე ისაა, რომ სამურზაყანოელები

4 ებ. არენი არა მხოლოდ სამურზაყანოელებს, არამედ მეგრელებს, ქართლებს, იმერლებსა და გურულებსაც კი ცალ-ცალკე ეროვნებად მიიჩნევს (იხ. ДЕЛО С. Конторы за 1898 г., # 68, გვ. 8-11).

5 ხალხების ცხოვრებაში მსგავსი ფაქტები არცთუ იშვიათობაა. იყო დრო, როდესაც შავი ზღვის სანაპიროზე, ყოველ შემთხვევაში, – გაგრამდე, მეგრელები სახლობდნენ, მაგრამ მაჰმადიანთა მოწოდების შედეგად, რომელთაც დაიკავეს სივრცე გაგრასა და ტუაფსეს შორის, მათი ქვეყანა შევიწროვდა მდ. კოდორამდე, XVII ასწლეულში აფხაზეთისა და სამეგრელოს საზღვრის მოვლევობას რომ ასრულებდა. რაც შეეხება ახლანდელი ოჩამჩირის მონაკვეთის მოსახლეობას, ისინი იგივე მეგრელები არიან, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი ენა აფხაზების ზეგავლენის შედეგად. აღნიშნული ვარაუდის დამადასტურებელი საბუთები საკმარისადაა და ვეცდებით, ამ საგანზე სხვა დროს უფრო დეტალურად ვისაუბროთ [16].

ქართული ენის იმავე მეგრულ კილოზე ლაპარაკობენ, რითაც მთელ სამეგრელოში მეტყველებენ და რადგან იქ საღვთისმსახურო ენა ქართულია, ცხადია, იგივე უნდა მოვითხოვოთ სამურზაყანოელე-ბისათვის.

ასევე ფიქრობდნენ სასულიერო ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც არ იყვნენ მოწამლულნი მხარის რუსიფიკაციის ჟინით. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ვეყრდნობით საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დადგენილებასა და უწმინდესი სინოდის მითითებას. თავის პატაკში, 1897 წლის 8 ნოემბრის № 2062-ში, სოხუმის ეპისკოპოსი არსენი სინოდალური კანტორისაგან ითხოვს ახსნა-განმარტებას იმის თაობაზე, „შეამოწმოს თუ არა იმ პირების ქართული ენის ცოდნა, რომელთაც სურთ, რომ აფხაზებით და მეგრელებით დასახლებულ სამრევლოებში იმსახურონ“. თვითონ კი ამ ენის ცოდნას სრულიად ზედმეტად მიიჩნევდა, ვინაიდან ამ სამრევლოებში, მისივე სიტყვით, ინიშნებიან პირები, რომლებმაც იციან რუსული ენა, „ემსახურებიან რა სამღვდელოების მრევლთან უფრო მეტად დაახლოების მიზანს (კურსივი ჩვენია) და სასკოლო განათლების წინსვლას (მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურებისა და სწავლების აკრძალვის გზით?!), ვინაიდან რუსული ენა, როგორც სახელმწიფოებრივი, მეტადაა საჭირო აფხაზებისა და მეგრელებისათვის, ვიდრე ქართული, რომელიც სოხუმის ეპარქიის სკოლებში არც კი ისწავლება“ (უწმ. Дело С. Конторы за 1897 г., # 30). აღნიშნულ შეკითხვას მოსდევს სინოდის კანტორის შემდეგი საჟურნალო დადგენილება: „განემარტოს ყოვლადსამღვდელო სოხუმელ არსენის, რომ მისდამი რწმუნებული ეპარქიის მეგრელებით დასახლებული სამრევლოების მღვდელ-მსახურთა თანამდებობის კანდიდატები უნდა გამოიცადონ ქართულ ენაშიც, ვინაიდან მათი საეკლესიო-საღვთისმსახურო ენა არის ქართული“ (1898 წლის 11 თებერვლის ოქმიდან). ასევე გადაწყვიტა ეს საკითხი უწმინდესმა სინოდმაც (Дело С. К. за 1897 г., # 30, ff. 28-29).

მაგრამ ეპ. არსენიზე ამ ფაქტმა არ იმოქმედა. ქართულ ენაზე მსახურების უფლება მან მხოლოდ სამ სამრევლოს მისცა.

ესენია მეგრული სამრევლოები. დანარჩენ სოფლებში კი, სადაც მოსახლეობა იმავე მეგრულ დიალექტზე ლაპარაკობს, ეპ. არსენიმ ქართული წირვა კატეგორიულად აკრძალა<sup>6</sup>.

ზედმეტია აღნიშვნა, რომ ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ სოხუმელ მღვდელმთავრებს სკოლის საკითხზე, რასაც ცხადყოფს ეპ. არსენის ზემოხსენებული ბეზღება. თუ როგორ უყურებდა ამ საქმეს სოხუმის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველი დეკ. იასტრებოვი, ნათლად ჩანს მისი წერილიდან ილორის სკოლის მასწავლებლებისადმი (1896 წლის 20 ოქტომბერი, № 336), სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი: „მიგითითებთ, რომ თვალსაჩინო ახსნა-განმარტებანი აწარმოთ მხოლოდ რუსულ ენაზე; არ გამოიყენოთ არც მეგრული და არც აფხაზური, მით უმეტეს – ქართული“. ეს განკარგულება ცირკულარულად დაეგზავნა სოხუმის ოლქის ყველა სამრევლო სკოლის მასწავლებლებს და მარტო ამის მიხედვითაც ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მიემართებოდა პედაგოგიური პროცესი, რამდენად ზარალდებოდა თვით რუსული ენის შეგნებული სწავლებაც კი აღნიშნულ სკოლებში.

რადგან სწავლის საქმის ასე წარმოება არასწორად გამოიყურებოდა, ხოლო ქართული ენის შემოღება – სასარგებლოდ, სოხუმის ეპარქიის მასწავლებელთა საბჭომ თვით სოფელთა საზოგადოებრიობის აზრი გამოითხოვა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა მათ საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლება. ამ თხოვნის პასუხად სასოფლო საზოგადოებებისაგან გაიგზავნა ის განჩინებანი, რაზეც ლაპარაკია გაზ. „კოლოკოლში“. ეპარქიის მასწავლებელთა საბჭომ განიხილა აღნიშნული განჩინებანი, ჩათვალა ისინი პატივისცემის ღირსად და დაადგინა: „იმ სამრევლოთა სკოლებში, სადაც მოსახლეობა ლაპარაკობს ქართული ენის მეგრულ დიალექტზე, ქართული ენის სწავლება აუცილებელია“. აქედან აშკარაა, რომ არ შეიძლება ლაპარაკი, გაზ. „კოლოკოლისა“ და მისი ქართველოფობი თანამშრომლის მტკიცების საწინააღმდეგოდ, აღნიშნული განჩინების უსამართლობასა და უვარგისობაზე. სწო-

6 ეპ. არსენის ამგვარი მოღვაწეობის შესახებ ასევე საუბარია წიგნში «Церк. вопросы в России», 1896, стр. 88, 211.

რედ ყოვლადსამღვდელო არსენი არ დაეთანხმა მასწავლებელთა საბჭოს გადაწყვეტილებას ქართული ენის სწავლების შემოღების შესახებ.

თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ სოხუმის ეპისკოპოსებს და, განსაკუთრებით, ეპ. არსენის ათვალწუნებული სამწყსოსადმი, ნათელს ჰყენს ქვემოწარმოდგენილი მაგალითები.

ჩვენ აქ შეგვეძლო გადმოგვეცა ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი, მომხდარი სოხუმის ეპარქიაში, რაც დაიბეჭდა კიდეც, მაგრამ მიზანშეწონილად ვთვლით, თავი შევიკავოთ ამისგან, რადგან სარწმუნოებრივი გრძნობისათვის აუტანელი იქნება ერთხელ კიდევ გაგონება იმ არნახული სიძულვილისა ქართველებისადმი, რომელიც მწყემსმთავრის – ქრისტიანული რწმენის, სიყვარულისა და მოწყალების მქადაგებლის – მხრიდან გამოვლინდა. ინფორმაციას ეპ. არსენის საქციელის შესახებ მეგრელების მიმართ, რასაც ადგილი ჰქონდა 1904 წ. 25 მარტს და რამაც თავისი არაადამიანურობით პოლიციის წარმომადგენლებიც კი აღაშფოთა, დაინტერესებული პირი იხილავს ქართულ გაზეთში „ცნობის ფურცელი“ (1905, [14.V] № 2819) [17].

სოხუმელი იერარქების დამოკიდებულება არც ეკლესიის არარუსი მღვდელმსახურებისადმი იყო უკეთესი. 1894 წელს სოხუმში ასეთი ინციდენტი მოხდა: ეპარქიის კანცელარიის კაბინეტში სასულიერო უწყების ღარიბთა სამზრუნველოს წევრების სხდომა შედგა. ისმენდნენ, სხვათა შორის, ერთ-ერთი მღვდლის თხოვნას სამზრუნველოს სალაროდან სესხის სახით 100 მანეთის იმ პირობით გაცემის თაობაზე, რომ აღნიშნული თანხა მევალეს ხელფასიდან გამოეკეთებოდა. სამზრუნველოს ერთი წევრის თანაგრძნობის სიტყვამ მთხოვნელის გაჭირვებული, არახელსაყრელი და რთული მდგომარეობის გამო, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებდა, მდივნის თანაშემწის, ავტონომოვის, შენიშვნა გამოიწვია: „სავარაუდებელია, რომ აქაურ მღვდლებს არ დაეჯერებათ“. როდესაც სამზრუნველოს წევრებმა (ქართველებმა) ჰკითხეს, ვის გულისხმობს „აქაურ მღვდლებში“, მას არ შერცხვა და თქვა: „ცხადია, არარუს მღვდლებს“. ავტონომოვს მიუთითეს, რომ ეს მთელი ეპარ-

ქიის სამღვდელოთა შეურაცხყოფაა, მათ შორის – სამზრუნველოს წევრებისა, რომლებიც იქ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად იმყოფებიან. ამიტომ მოსთხოვეს მას, რომ უკან წაელო მოუფიქრებლად ნათქვამი სიტყვები. ბ. ავტონომოვმა კი სრული სიმშვიდით განაცხადა, რომ სიტყვებს უკან არ წაიღებს, რითიც დაამტკიცა, რომ მხარის ადგილობრივ სამღვდელოებას შეურაცხყოფა მოუფიქრებულად და მიზანდასახულად მიაყენა. ეს ამბავი მიტანილ იქნა სოხუმის მთავარსუცესის ყურამდე, მაგრამ, ცხადია, ამან ოდნავადაც არ იმოქმედა გულადი კანცელარისტის სამსახურებრივ მდგომარეობაზე და, რა თქმა უნდა, სხვანაირად არც შეიძლებოდა.

ქართველ სასულიერო პირებს თვით სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსებიც კი აგდებით ეპყრობოდნენ. საკმარისი იყო, საერო ხელისუფლების წარმომადგენელს, ანდა სულაც ეროვნებით არა-ქართველ კერძო პირს შეეტანა ყალბი ბრალდება მღვდელზე, რომ უკანასკნელს თავის მართლების გზა მოჭრილი ჰქონოდა. დაბა ოჩამჩირეში ამ სტრიქონების ავტორი თავად გახლდათ იმის მოწმე, როგორი მტრული განწყობილება შეაგება ეპ. არსენიმ სასულიერო პირის თხოვნას, შემოწმების გარეშე არ ერწმუნა საერო ადმინისტრაციის ბეზლების სიმართლე. მან თქვა, რომ „რუსი ჩინოვნიკის“ უფრო მჯერა, ვიდრე ადგილობრივი სამღვდელოსიო. ეს სიტყვები ეპ. არსენიმ უთხრა აწ განსვენებულ მოქველ მღვდელს იესე ჟორდანიას, რომელიც სთხოვდა მეუფეს, დაენიშნა გამოკვლევა უბნის ინსპექტორის მიერ ამავე მღვდლის მიმართ შედგენილი „მხილვისათვის“.

მეტეც, სასულიერო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები სოხუმის ეპარქიაში ჟანდარმთა პოლიციისა და ყველა ჯურის „რუსი ჩინოვნიკების“ გამრჯე აგენტებად გვევლინებოდნენ. მაგრამ ვინაიდან ასეთი მოლგაწეობისათვის სოხუმის ოლქში ნიადაგი თითქმის არ არსებობდა, ვინაიდან იმ დროს იქ თითქმის არ ჰქონდა ადგილი მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას, ეს აგენტები, რათა მათ, ჟანდარმერიის წინაშე ფისკალურ სფეროში ელვაწათ, ხშირად თხზავდნენ ყალბ ბეზლებებს. ცნობილია ეპ. არ-

სენის კონფიდენციალური წერილი კიევის სასულიერო აკადემიის რექტორისადმი 1900 წლის 21 მარტისა, რითაც მღვდელმთავარი აცნობებდა, რომ აღნიშნული აკადემიის სტუდენტს, სოხუმის ეპარქიის მკვიდრს, „ურთიერთობა ჰქონდა ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებთან, აგიტაციას რომ უწევენ ყოველგვარ ანტირუსულს“, და სთხოვდა, დაეცვა ამ წერილის შინაარსი საიდუმლოდ, „ვინაიდან, ნათქვამია წერილში, ჟანდარმთა პოლიცია მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს ფარულად“.

ღირსეულია თუ არა მღვდელმთავრის ასეთი მოღვაწეობა, შეესაბამება თუ არა იგი მოციქულებრივ სამსახურს, მკითხველმა თავად განსაჯოს. ჩვენ კი, სხვათა შორის, აღვნიშნავთ, რომ ამით ხალხის თვალში ილახება საკურთხეველის მსახურთა ღირსება, გეგმაზომიერად მზადდება ნიადაგი უკმაყოფილებისათვის სამღვდელოებისა და თვით ეკლესიის მიმართ; ჩქარდება იმ ღრმა უფსკრულის შექმნის პროცესი, რომელმაც უკვე დაიწყო ცხოვართა მწყემსებისაგან ჩამოშორება; ითესება უნდობლობა და მტრობა რუსებსა და არარუსებს შორის და რუსიფიკატორული მოღვაწეობის ნაყოფს ჩვენ ახლა უხვად ვიძიეთ.

ამის შედეგად სოხუმის ოლქის სამღვდელოება იმდენად დამდაბლებული იყო, რომ მხარის საერო ადმინისტრაცია მას უბრალო მრევლისაგან ვერც კი არჩევდა. ის სოფლის მამასახლისს როგორც მღვდლების, ისე მათი მრევლის თაობაზე ერთნაირ ბრძანებებს უგზავნიდა; განზრახ ივიწყებდა, რომ მღვდელს სახელმწიფოში ისეთივე ოფიციალური სამსახურებრივი მდგომარეობა აქვს, როგორც თვით უბნის უფროსს, რომელიც არ რაცხნდა მას ღირსად, პირადად ეწარმოებინა მასთან მიმოწერა. აი, ამგვარ ბრძანებათა ნიმუში. „ბრძანება ილორის მამასახლისს“ (№ 4630, 1897 წლის 27 იანვარი): „გაუწყებთ თქვენ, რომ იახლოთ მღვდელი ზოსიმე ხელაია, კემაჩი და პეტრე ვარდანები (ხსენებული მღვდლის მრევლთაგანნი) და ახლავე პირადად გამოცხადდეთ უბნის გამგეობაში“. ასეთი და სამღვდელოთათვის უფრო დამამცირებელი ბრძანებები ჩვეულებრივი ამბავი იყო, რითაც ილახებოდა სამოძღვრო ღვაწლის

ღირსება; ხალხის თვალში ის ღვებოდა, და სინამდვილეში იღვა კიდევ, სოფლის თავკაცზე დაბლა.

წარმოვადგენთ კიდევ რამდენიმე მაგალითს, რომლებიც ადასტურებენ სოხუმის მღვდელმთავართა შეუწყნარებლობას ქართველებისადმი.

რუსობა ქ. სოხუმის მთელი მოსახლეობის 23%-ს შეადგენს, სხვა ეროვნება კი – 77%-ს. სოხუმის საკათედრო ტაძრის კრებული შედგება ერთი დეკანოზისაგან, სამი მღვდლისაგან, სამი დიაკონისაგან და ოთხი მეღავითნისაგან. მათგან კი, რუსებისა და ქართველების აღნიშნული პროცენტული თანაფარდობის მიუხედავად, მხოლოდ ერთი მღვდელია ქართველი, დანარჩენი ყველა – რუსი, რომელთაც ადგილობრივი ენებისა არა გაეგებათ რა. ამ ტაძრის გარდა სოხუმში არის კიდევ ერთი ეკლესია (სასაფლაოსი), მაგრამ მის კრებულში ვერც ერთ ქართველს ვერ ნახავთ.

სოხუმის ოლქის ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლებად თითქმის უკლებლივ მხოლოდ რუსები ინიშნებიან.

სოხუმის ეპარქია მისიონერულია. მისი შექმნის მიზანი ქრისტიანული მოძღვრების შუქით მაჰმადიანი აფხაზების განათლება იყო. ისინი, გამონაკლისის გარეშე, მხოლოდ სოხუმის ოლქში სახლობენ. მაშასადამე, სოხუმის ეპარქიის არც კათედრას და არც კანცელარიას მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ მხარის უცხო-ტომელი მოსახლეობის ინტერესები. ამის მიუხედავად, სოხუმის საეპარქიო კანცელარიაში მდივნიდან უკანასკნელ გადამწერამდე ყველა რუსია, ადგილობრივი ენების არმცოდნე. ქართველებმა და აფხაზებმა, რომლებიც მიემგზავრებიან ქ. სოხუმში მღვდელმთავართან რაიმეს სათხოვრად, ანდა კანცელარიიდან ცნობის ასაღებად, ქალაქში თარჯიამანი უნდა მოძებნონ. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოხუმის ოლქში რუსები შეადგენენ მთელი მოსახლეობის არა უმეტეს 3,6%-ს, დანარჩენ 96,4 %-ს კი – სხვანი (Дело С. Конторы за 1898 г. <sup>1</sup> 68). ეპისკოპოს კირიონის წინამორბედთაგან ეს შეუწყნარებლობა განა შემადრწუნებელი არ არის? სად არის ის „სამართლიანობა“, რისთვისაც იბრძვის ბ. „რუსი“ და რისი მატა-



რებელნიც, მისი რწმენის თანახმად, არიან რუსი მღვდელმთავრები, რომელთაც ეკავათ სოხუმის კათედრა?! ყოველივე ამის შემდეგ განა უცნაური არ არის სოხუმის ოლქის ქართველი „მღევნელების“ დადანაშაულება ვიწრო ნაციონალიზმსა და რუსების შეუწყნარებლობაში?!

ბ. „რუსი“ ადანაშაულებს ქართველ სამღვდელოებას და, საერთოდ, ქართველებს იმაში, რომ თითქოს მათ, სულიერად მართავდნენ რა ამ მხარეს აფხაზეთის რუსეთთან შეერთებამდე, „თავიანთი მოუზომელი ქართველიზაციით“ საქმე იქამდე მიიყვანეს, „რომ აფხაზები მაჰმადიანობაზე გადავიდნენ“. ქართველოფობის არც ეს რწმენაა საფუძვლიანი.

მაჰმადიანობის გაძლიერება კავკასიაში სწორედ რუსეთის ხელისუფლების განმტკიცებას მოჰყვა (Кавказ, Абхазия, Аджария и Шавшетия. Путевые заметки графини Уваровой, ч. II [Москва, 1891], стр. 207) [18]. ამის უმთავრესი მიზეზი მთიელების წინააღმდეგ რუსეთის საომარ მოქმედებაში იმალება. მთიელთა შორის, თავისუფლების ხელყოფის გამო, ჩაისახა საშინელი სიძულვილი რუსებისა და, მათთან ერთად, მათი აღმსარებლობისადმი, – ქრისტიანობისადმი. „ყველაზე მეტად, – ამბობს ევ. მარკოვი, – ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავენი მთიელთა შორის რუსებისადმი სიძულვილის გაღვივებასა და მათ ხელოვნურ ლტოლვაში თურქეთისაკენ, ვინაიდან ჩვენ გამოვკვებეთ იქ რელიგიური ფანატიზმი მათი სამეურნეო ყოფის უზომოდ გადაკეთების გზით“ (Очерки Кавказа, стр. 68-69). „სასტიკ ზომებსა და აოხრებებს, – ამბობს ბ-ნი რომანოვსკი, – რითაც ჩვენ მებრძოლი ტომების პირველი წინააღმდეგობის დაძლევა ვცდილობდით“, და ბრძოლაში მათ წარუმატებლობას არ შეიძლებოდა არ გაეძლიერებინა ეს შუღლი და სიძულვილი გამარჯვებულისადმი. ყოველივე ამან კი „განავრცო მათ შორის რწმენა შეერთების აუცილებლობისა გაერთიანებული წინააღმდეგობისათვის“ (Кавказ и Кавказ. война. Романовского, стр. 310).

მთიელი მუსლიმების ამ მისწრაფებამ კავკასიაში მიურიდიზმი [19] ააღორძინა და თუ როგორი გავლენა იქონია ამ

რელიგიურ-პოლიტიკურმა მოძღვრებამ მხარეში მართლმადიდებლობაზე, ცნობილია ყველასათვის, ვისაც მთიელთა შორის აღნიშნული მოძრაობის შესახებ ასე თუ ისე წარმოდგენა აქვს.

მიურიდიზმის მქადაგებლებმა აფხაზეთში გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან შეაღწიეს. სწორედ ამის შედეგად გაძლიერდა აფხაზთა ლტოლვა ისლამისაკენ. თუ რაოდენ ძლიერი იყო წინააღმდეგობა რუსებისა და მათ მიერ აღსარებული მართლმადიდებელი სარწმუნოების მიმართ, მეტყველებენ ნ. ა. ვოლკონსკი, ევგ. მარკოვი და სხვანი (Воина на Кавк. и Мюридизм с 1824 по 1834 г. Волконского, стр. 65; Марков, Очерки Кавказа, стр. 360-363; Акты археогр. комиссии, т. V, стр. 780-800 и др). ხოლო გასული საუკუნის 40-იან წლებში ყოფილი თურქეთის საქართველოს ქართველები თუ როგორ „თანდათანობით გადადიოდნენ მუსლიმთა რელიგიაზე“, ადასტურებს ლ. ს. ისარლოვი (Письма о Грузии, Тиф. 1899, стр. 266-267).

ამ საგანზე ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მასალები ჩვენი წინადადების დასამტკიცებლად, რომ კავკასიაში ისლამი სწორედ რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ გაძლიერდა, ძალიან ბევრია და მათ განჩხრეკს მთიელ მუსლიმთა შორის მართლმადიდებელი სამღვდელოების სამისიონერო მოღვაწეობის მკვლევარი. ვიტყვით მხოლოდ: მას შემდეგ, რაც ომარ-ფაშას მეთაურობით თურქებმა იარაღით ხელში სწრაფად გადაიარეს აფხაზეთი, სამურზაყანო და სამეგრელო, რუსებმა კი უბრძოლველად მიატოვეს ეს ადგილები, აფხაზები აღბორგდნენ. ვითარება განსაკუთრებით 1864 წლიდან გამწვავდა, ე.ი. აფხაზთა სამთავროს გაუქმებისა და აფხაზეთის მფლობელი თავადის მ. შარვაშიძის რუსეთს გადასახლების შემდეგ. ძველვარებამ, ამ ღონისძიებით გამოწვეულმა, მიძგი მისცა აშკარა ჯანყსა და მხარის უფროსის მკვლელობას მის თანმხლებ პირებთან ერთად 1866 წელს.

აფხაზეთში საქმის მოსაგვარებლად მიღებული ზომები ვერანაირად წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. საერო ადმინისტრაციის ყველა ცდას აფხაზების იარაღის გარეშე დამორჩილების და დამშვიდებისა სასურველი შედეგი არ მოჰქონდა, რადგან

აღელვებული ხალხი ამ ადმინისტრაციას არ ენდობოდა. დაპირება შერიგების შესახებ, რომ დამნაშავეებს სრულად აპატიებდნენ, ხალხზე გავლენას აღარ ახდენდა. საჭირო იყო შუაკაცი ხალხსა და ადგილობრივ ადმინისტრაციას შორის და ასეთი პირი დეკ. მაჭავარიანი გამოჩნდა. აფხაზეთში ყველა სახალხო მღელვარების ჟამს მან თავგანწირვით ითვისა მოსახლეობის ადმინისტრაციასთან შემრიგებლის როლი. არაერთგზის ჩაუდენია მას ასეთი გმირობა. მიდის გაშმაგებულ, აღელვებულ, არავისდამნდობ აფხაზთა ბრბოსთან საკუთარი სიცოცხლის გაწირვის ფასად ხალხის სამსახურის, ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის. და მართლაც, აჯანყებულებთან მისი გამოჩენისას დროებით თითქოს ყველაფერი დავიწყების ნისლში იფარება; შედიან მასთან დიალოგში და საქმეც გვარდება, შფოთი ცხრება; აფხაზები აცხადებენ, რომ მათ თითქოს მხოლოდ დეკ. მაჭავარიანისა სჯერათ; უკეთესი გარანტია აღარც კი უნდათ. ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესებისადმი რამდენი თავგანწირვა, სიყვარული და სამსახურის საქმისადმი ერთგულება უნდა გაგაჩნდეს, რომ გადადგა ეს ნაბიჯი; წახვიდე, ადამიანური მოსაზრებით, სიცოცხლის ხელყოფის აშკარა რისკზე.

ეს ცხადყოფს, რომ დეკ. მაჭავარიანი არ იყო დაქირავებული, რომელიც კრიტიკულ წუთს საკუთარი სამწყსოს მიტოვებას შეძლებდა კავკასიაში ზემოაღნიშნულ მომუშავეთა მსგავსად. ის ჭეშმარიტი მოძღვარია, „რომელმან სული თვისი დადვის ცხოვართათვის“. მის საქმეს ჩრდილი არ ადგება.

ზემოაღნიშნულ დროს ხელისუფლების რეპრესიული ზომების, თურქეთის ზეგავლენისა და ისლამის მქადაგებელთა აქტიურობის გამო აფხაზები, ბოლოს და ბოლოს, მაჰმადიანობისაკენ მიიქცნენ. 1869 წლიდან იწყება ეპ. გაბრიელის ბრწყინვალე მოღვაწეობა მისიონერულ სარბიელზე. ამ წმ. საქმეში მისი მთავარი თანამოსაგრე იყო დეკ. მაჭავარიანი, რომლის ამაგს ამ ასპარაზზე ქებით იხსენიებს ყოვლადსამღვდელო კირიონი (Кратк. очерк ист. грузинск. церкви за XIX ст., стр. 130).

ეპ. გაბრიელისა და მისი თანამოღვაწე დეკ. მაჭავარიანის გარჯის შედეგად, რაც დაახლოებით 7-8 წლის მანძილზე გრძელ-

დებოდა, აფხაზეთი ქრისტიანულ ქვეყნად იქცა. ეპ. კირიონი, როდესაც დეკ. მაჭავარიანის ამ პერიოდის მოღვაწეობაზე საუბრობს, ხსენებული პირების მოღვაწეობას გულმოდგინებას და უანგარობას უწოდებს, რადგანაც მათ მთელი აფხაზეთის მოსახლეობის 3/4 -ის მართლმადიდებლობაზე მოქცევა მოასწრეს (ibid., 131).

სავალალოდ, აფხაზეთში ქრისტიანობას კვლავ მძიმე დრო დაუდგა. რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომი [20] აფხაზი ქრისტიანებისათვის დამაქცევარი აღმოჩნდა. რუსეთის ჯარმა, მხარის უფროსის, გენერალ კრაჟინკოს, განკარგულებით მთელი აფხაზეთი სამურზაყანოს საზღვრამდე უბრძოლველად დატოვა და უმწეო აფხაზები ქ. სოხუმში და ზოგიერთ სხვა ადგილში გადმომსხდარ თურქთა სრულ დაქვემდებარებაში აღმოჩნდნენ. ქრისტიანი აფხაზების დიდი ნაწილი, თურქთაგან იძულებული, თურქეთში გადასახლდა. რამდენიმე წლის შემდეგ ისინი თუმცა დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ მიწებს, მაგრამ თურქეთში მაინც მოასწრეს და მათ ისლამური ცნობიერება ჩაუნერგეს. ისინი აფხაზეთში უკვე გაფანატიკებულ მუსლიმებად დაბრუნდნენ. ეს ფანატიზმი გაამძლიერა სიძულვილმა და უნდობლობამ რუსებისადმი, რომლებიც მათ, მათივე თვალსაზრისის თანახმად, კრიტიკულ მომენტში ბედის ანაბარად ტოვებენ. ამის გამო ხსენებულ მისიონერ მოღვაწეებს კვლავ დასჭირდათ აფხაზეთის გამოცხადება საქადაგებელ ასპარეზად; მათ ისევ უნდა მოემზადებინათ თითქმის ყველა აფხაზი მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დასაბრუნებლად, მაგრამ აქ მოხდა ცვლილებანი, რამაც ეპ. გაბრიელი ჩამოაშორა ამ მხარის მისიონერულ მოღვაწეობას. ყ-დსამღვდლო გაბრიელთან ერთად ამავე მოღვაწეობას ფაქტობრივად ჩამოშორდა ამ განხრით მისი მთავარი მოსაგრე დეკ. მაჭავარიანი.

1885 წელს სოხუმის ეპარქიისათვის დამტკიცდა ახალი შტატი, კვლავ აღდგა სოხუმის კათედრა. ამ შტატში მოღვაწე მისიონერმა მაჭავარიანმა დაიკავა სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის ადგილი და, ცხადია, მისი საქმიანობის არეალი სოხუმით შემოიზღუდა. მისიონერული მოღვაწეობის სარბიელზე გამოვიდა სხვა პირი, ქვეყნის ადგილობრივი პირობებისა და ხალხის

ჩვეულებების ნაკლები მცოდნე. და, სამწუხაროდ, მოგვიხდება იმისი აღნიშვნა, რომ აფხაზეთის ის მჭიდროდ დასახლებული ადგილები, რომლებიც ადრე ქრისტიანულ სოფლებად ითვლებოდა, დღეს უკვე მაჰმადიანობის ცენტრთა მაგივრობას სწევს. მართალია, გამოცდილ მისიონერს ჯერ კიდევ შეეძლო გავლენის მოხდენა მისიონერული საქმის სვლაზე, მაგრამ მთავარი დაბრკოლება ამ გზაზე არის ის, რომ იგი ამა სოფლის ძლიერებმა, რაღაც გაუგებრობის გამო, ათვალწუნეს, წმ. საქმეს ადამიანური ვნებები შეურთეს. ამ სტრიქონების ავტორისათვის ცნობილია ასეთი შემთხვევა. დეკ. მაჭავარიანი, თანამდებობით სწავლულთა საბჭოსა და საეპარქიო საძმოს მდივანი, იწყებს სამრევლოთა შემოვლას; ყველგან სიხარულით ეგებება ხალხი, ყველგან სწყურიათ მისი დამამშვიდებელი სიტყვის მოსმენა და სარწმუნოებრივი რჩევა-დარიგება; და ის თვით მიდის ხალხის ამ სწრაფვის შესახვედრად, – ხალხისა, რომელსაც უკვე დიდი ხანია წართმევია არა მხოლოდ მისთვის საყვარელი, მაგრამ ათვალწუნებული, მწყემსის ნახვისა და მოსმენის შესაძლებლობა, არამედ – თვით ადგილობრივი მღვდელმთავრისაც. უფროსობამდე მიაღწია ცნობამ იმის შესახებ, რომ მ. დეკანოზი სოფელ-სოფელ ქადაგებს და რომ მასთან ხალხის ნაკადი გროვდება. ეს კი საიდუმლო გამოკითხვისა და გამოძიების საფუძველი ხდება: თვით უპირატესთაგან განწესებული ეკლესიის მწყემსი რაზე ესაუბრება თავის სულიერ შვილებს? ხომ არ შეიცავს ეს საუბარი რაიმე საწინააღმდეგოს სასულიერო ხელისუფლების მისწრაფებისა მხარის სწრაფი გარუსების თაობაზე? კაცი, რომელიც თავისი 50 წელზე მეტი ხნის მსახურების პერიოდში სიცოცხლესაც კი არ ზოგავდა და თავდადებით ემსახურებოდა ხალხში მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და რუსული მოქალაქეობის გავრცელების საქმეს, რომლის მეტად სასარგებლო და გულმოდგინე მოღვაწეობას მაღალ დონეზე აფასებდნენ და მხარის როგორც სასულიერო, ისე საერო ადმინისტრაციის ჩინოსანი წარმომადგენლები უხვად აჯილდოებდნენ კიდევ, დღეს, ცხოვრების მიწურულში, ღრმად მოხუცებულობის ჟამს, უახლოესი ხელმძღვანელობის მიერ ეჭვმიტანილია საძრახის ანტისამთავრობო ზრახვებში! თუმცა ღვთის

ყანის მსცოვანი მუშაკისადმი ამგვარი დამოკიდებულების ნამდვილი მიზეზი საზოგადოებაში მისი პოპულარობა გახლავთ. ნებისმიერი მოძღვრის ქადაგების შინაარსის შესახებ ზემომინიშნებული გამოკითხვები და თვალთვალი ხალხს აოცებს და მათ რელიგიურ განწყობილებაზე მომწამლავ შთაბეჭდილებას ახდენს. ღვთის სიტყვის ქადაგაც იძულებულია, რომ მაჰმადიანობასთან ბრძოლის დროს იარაღი დაყაროს.

დეკ. მაჭავარიანმა მისიონერულ გზაზე უკანასკნელად შემთხვევით 1893 წელს გაიარა, როდესაც ის გუდაუთის რაიონში მეგზურად ეპ. აგაფელორს ახლდა. შემთხვევითო, ვამბობთ იმიტომ, რომ ეპ. არსენიმ, როდესაც ის მისიონერული მიზნით მოგზაურობას შეუდგა, იგრძნო საჭიროება და დახმარებისათვის მიმართა მას, როგორც გამოცდილ მისიონერს, და ადამიანს, რომელიც ხალხში დიდი პატივისცემით სარგებლობს, მაგრამ ეს თითქმის ერთადერთი შემთხვევა იყო 1885 წლის შემდეგ. ამ სტრიქონების ავტორი, იმხანად ადგილობრივი ბლალოჩინი, არის მოწამე იმ სიხარულისა და თითქმის ენთუზიაზმის, რითაც ეგებებოდა მას ხალხი, – იმ მოკრძალებით შემოსილი პატივისცემისა, რასაც ამჟღავნებდნენ მისდამი სულიერი შვილები, დღეს კი, ბელისწერით – მორწმუნე მუსლიმები. მისიონერული მოგზაურობის დროს იყო მომენტები, როდესაც პოლიციის წარმომადგენელთა მხრიდან, მეუფეს რომ ახლდნენ, სიფრთხილეს მოკლებულმა სიტყვებმა და მოქმედებებმა ხალხის პროტესტი გამოიწვია, რაც ზოგჯერ მღელვარებაში გადადიოდა. ეს მღელვარება კი როგორც პოლიციის წარმომადგენლების, ისე, საერთოდ, მისიონის წინააღმდეგ იყო მიმართული. ხალხის რისხვა ალაგ-ალაგ მოქმედებაში გადასვლას აპირებდა, მაგრამ ბინადართა შორის მ. დეკანოზის გამოჩენა საკმარისი იყო, რომ ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარიყო, ვნებები დამცხრალიყო, შეურაცხყოფის მისაყენებლად აღმართული ჯგოხები დაშვებულიყო და დაყრილიყო. დეკ. მაჭავარიანის თვინიერი შეგონებების, დარიგებებისა და ქადაგებების წყალობით მისიამ ასეთ სოფლებშიც კი გარკვეულ წარმატებას მიაღწია.

ასეთი ვავლენა ჰქონდა ამ ჭეშმარიტ, მოწოდებით მისიონ-

ერს. აფხაზეთში სამისიონერო საქმის მიუკერძოებელი ისტორია მის ღვაწლს შეაფასებს და ამჯერად ჩვენ ამ საგანზე სიტყვას აღარ განვაგრცობთ, რადგან მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ამოცანა დეკ. მაჭავარიანის მისიონერული თავგადასავლის აღწერა არ გახლავთ, არამედ მხოლოდ „ანაფორიანი კავკასიელების“ – გაზ. „კოლოკოლის“ კორესპონდენტის მკვანი ქართველოფობების – უსამართლობის მხილება, რადგან ისინი მის დიდებულ მოღვაწეობას ჩრდილს აყენებენ. ტყუილებრალოდ როდი აფასებდა მას ასერიგად ნეტარხსენებული გაბრიელ ეპისკოპოსი. თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა ქ. სოხუმში უკანასკნელად ყოფნის ჟამს, – 1885 წელს, – მან განსაკუთრებული ქებით მ. დეკანოზის მისიონერული შრომა მოიხსენია. როდესაც აფხაზეთში მისიონერული საქმის წარმატებაზე ლაპარაკობს, აფხაზეთის სამღვდელთა შრომის სამართლიანად შეფასებისას, დეკ. მაჭავარიანს იგი თავის მთავარ თანამემწედ სახელდება და მიღწეულ წარმატებათა ძირითად მიზეზად ასახელებს.

გაზ. „კოლოკოლი“ კი აფხაზეთის სამღვდელოებას, რომელიც ამ მხარეში მისიონერული საქმიანობის აყვავების დროს მოღვაწეობდა, დეკ. მაჭავარიანის ყოფილ ლაქიებსა და მოჯამაგირებს უწოდებს (კურსივი ჩვენია). მაგრამ ამ „ყოფილმა ლაქიებმა“ აფხაზეთში მართლმადიდებლობის საქმეს დიდი სამსახური გაუწიეს. ეპ. გაბრიელი თავის ანგარიშებში არაერთგზის მიუთითებს აფხაზეთში მათი ცხოვრების ძლიერ რთულ პირობებზე, მათ მატერიალურ გაჭირვებაზე, მძიმე დღეებზე, რასაც განიცდიდა სამღვდელოება ცუდი კლიმატის გამო, მოხერხებული სადგომისა და სხვა პირობების უქონლობის გამო. მღვდელმსახურები ვერ გაურბოდნენ დამაუძღურებელ ავადმყოფობებს და ნაადრევ სიკვდილს. როდესაც ჩამოთვლის მღვდელებს, რომლებმაც ვერ აიტანეს აფხაზეთის კლიმატი და თავიანთი სიკვდილის შემდეგ გაჭირვებულ ყოფაში დატოვეს ცოლი და შვილები, ეპ. გაბრიელი ამბობს, რომ „აფხაზეთში სასულიერო უწყების მოსამსახურეთა ასეთი ხშირი სიკვდილიანობა, – მწირ ჯამაგირთან ერთად, მათ რომ უხდინან, – და ყოვლად მოუხერხებელი ცხოვრება მიგვიყვანას იქამდე, რომ ამ

მხარეში მოძღვრის ადგილის დაკავებაზე ცოტა ვინმე თუ დათანხმდება” (Отчет Общ. ваз. прав. на Кавказе за 1877 г., стр. 13-14). ამის გამო ყ-დსამღვდელო გაბრიელმა მღვდლის თანამდებობაზე დანიშნა, მართალია, შინაური განათლების ადამიანები, მაგრამ ამ წოდებისათვის სხვადასხვა მონასტერში მომზადებულები. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო აფხაზური ენის ცოდნას (Отчеты... за 1868 г., стр. 21 и 24; за 1870 г., стр. 4; за 1877, стр. 13 и др.).

ყველა ამ არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, აფხაზეთის სამღვდელოება, შეიძლება ითქვას, ქრისტიანული მოძღვრების სანთლით თავგანწირულად ემსახურებოდა აფხაზეთის განათლების საქმეს და მის მოღვაწეობას ნაყოფიც ჰქონდა. „მასში, – აღნიშნავს ეპ. გაბრიელი, – არის ერთი სიკეთე, მეტად სასარგებლო და აუცილებელი საღვთისათვის; სიკეთე, რომელიც ახასიათებს მისიონერული ღვაწლისათვის შეწირულთ. ესაა ღირსება, ასე ვთქვათ, ამტანობა, ანდა ყოველგვარი მატერიალური დანაკლისის დათმენა და გარკვეულ გარემოსთან, პირობებთან, ზნესა და ჩვეულებებთან შეჩვევა-შემწყნარებლობის უნარი, – თვისებები, რომლებიც იშვიათად გააჩნია პიროვნებას, თუკი მან თავისი ცხოვრება არ განვლო მსგავს პირობებში” (Отч. за 1874 г. стр. 12). კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების ანგარიშები, რომელიც ქებით ახსენებს ზოგადად აფხაზეთის სამღვდელოების მისიონერულ ღვაწლს, განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას მღვდელმონაზვნებზე: ანტონზე, ათანასეზე (ჟორდანია), გრიგოლზე, ბესარიონზე (მიქაბერიძე), აგრეთვე მღვდლებზეც: გიორგი ახვლედიანზე, იოსებ ბერძენოვზე, კაჭახიძეზე, გოგოლაშვილზე და სხ. (Отч. за 1875 г. стр. 13-14; 1876 г., стр. 5; 1877 г., стр. 13 და სხვა).

აფხაზეთში სამღვდელოების თავგანწირული და უანგარო მოღვაწეობის სრულად დახასიათებისათვის საკმარისია იმ ჯაფისა და გაჭირვების განსახილველად, რაც მან ნებაყოფლობით იღვა თავს რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის დროს. აფხაზეთის სამღვდელონი, „ანგარიშების” სიტყვის თანახმად, „როგორც თურქეთთან ომის დაწყების წინ, ისე თურქების სოხუმში შეჭრიდან რამდენიმე ხნის განმავლობაში ფეხმოუცვლელად დარჩნენ თავი-



ანთი სამრევლოების გვერდით და მოუნათლავი აფხაზების მხრიდან უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ”. მაგრამ როდესაც თურქები სოხუმში, გუდაუთასა და ოჩამჩირეში გადასხდნენ და, ამდენად, სამურზაყანოს საზღვრამდე მთელი აფხაზეთი დაიკავეს; როდესაც აფხაზეთის სოფლებს ათასობით მუჰაჯირი<sup>7</sup> მოედო და ისინი გააუვებით სდევნიდნენ ყოველივე ქრისტიანულსა და ქრისტიანს, მღვდლების თავიანთ სამრევლოებში დარჩენა იქნებოდა მათი გარდაუვალი სიკვდილის ტოლფასი და ამის გამო სამღვდლო-საეკლესიო მსახურები ნელ-ნელა გავიდნენ შედარებით უსაფრთხო ადგილებში; თან გაიტანეს საეკლესიო ჭურჭლეულობის ყველაზე ფასეული საგნები. ამის მიუხედავად მათგან ზოგიერთმა საკუთარ სამრევლოში დარჩენა და მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ სამსახური ამჯობინა.

ასე მაგალითად, ლიხნის მღვდელი იოანე გეგია დარჩა თავის სამრევლოში, მაგრამ მუჰაჯირებმა, როდესაც გაიგეს, რომ საკუთარ მრევლს ქრისტიანობისა და რუსეთის ხელისუფლების ერთგულებას შთააგონებდა და არწმუნებდა, იგი დაახრჩვეს (Отчет Общ. за 1877 г. стр. 11-12).

მისიონერებს: მღვდელმონაზონ ბესარიონს და მის სიძეს, მღვდელ ახვლედიანს, მათი სიცოცხლის აშკარა საფრთხის მიუხედავად, აფხაზეთის დატოვება არ სურდათ. იმავე „ანგარიშის“ თანახმად, „მათ შესახებ მავანმა თურქეთის ფაშას ბეზღების ქალაქი („დანოსი“) გაუგზავნა, — ისინი აფხაზ მოსახლეობას თურქების წინააღმდეგ აჯანყებენო. ორივე მისიონერი დაიჭირეს და ხელფეხშეკრულები სამხედრო გემით შევქეთ ფაშას მიჰგვარეს, რომელმაც მცირე დაკითხვის შემდეგ მათ დახვრეტა მიუსაჯა. მსჯავრდებულებმა, იარაღსხმული სალდათის წინაშე წარმდგარებმა, რამდენიმე წუთი გამოითხოვეს ლოცვისა და წმ. საიდუმლოსათვის. ამ დროს მათ ბედზე, მათივე წყალობისათვის, ფაშას წინაშე თურ-

<sup>7</sup> მუჰაჯირებად იწოდებიან ის აფხაზები, რომლებიც 1866 წელს ხელისუფლებამ ძალდატანებით გაასახლა თურქეთში (ვაზ. „მოსკოვ. ვედ.“, 1967, № 130). ახლა კი მათ, ომის შედეგად, მიეცათ სამშობლოში დაბრუნებისა და მათდამი მტრულად განწყობილ რუსებზე, ზოგადად, — ქრისტიანებზე, შურისძიების შესაძლებლობა.

ქეთის ჯარის ერთი პოლკოვნიკი წარსდგა, რომელიც მღვდელმონა-ზონ მიქაბერიძეს ამ უკანასკნელის აფხაზეთის მთავარ შარვაშიძის კარზე მღვდლად მსახურების დროიდან იცნობდა. პოლკოვნიკს აფხაზეთის თავადთაგან ბევრმა აუბა მხარი, რომლებიც ასევე იცნობდნენ და პატივს სცემდნენ მოძღვარს. მათ ფაშა მისი და მღვდელ ახვლედიანის განტევებაზე დაიყოლიეს (ОУЧЕТ ОБЩ. за 1877 г. стр. 11-12). ორი მედავითნე ტყვედ წაასხეს თურქეთში და იქიდან მხოლოდ ჩვენი ელჩის დიდი ძალისხმევით შედეგად გაათავისუფლეს. ზოგადად: ამ ომის დროს სამღვდელოებამ ბევრი გაჭირვება გადაიტანა და თავდადებული ღვაწლით ეკლესიისა და საკურთხევლის მსახურების მაღალი შეგნება ამჯერადაც გამოავლინა (ibid.). კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების ამ ანგარიშების თანახმად აფხაზეთში მოღვაწე მღვდლები სამართლიანად იწოდებიან ეპ. გაბრიელის ღირსეულ თანამოსაგრეებად აფხაზთა ქრისტიანული მოძღვრების შუქით განათლების საქმეში (ibid., წგ 1874 წ. წბმ. 14). ამიტომაც, ბევრი ცოდვა უნდა აიღო შენს თავზე, რომ გაბედო აფხაზეთის სამღვდელოების ისე გაკიცხვა, როგორც ამას გაზ. „კოლოკოლის“ თანამშრომელი შერება.

მაინც რა უბიძგებდა აფხაზეთის სამღვდელოებას ასეთი გმირობისაკენ? – ამ მძიმე მისიონერულ მოღვაწეობას უპირატესად ეპ. გაბრიელის თავდადების მაგალითი ახალისებდა. მისი ყოველწლიური მისიონერული მოღვაწეობა აფხაზეთში, მისი მოუკლებელი ყურადღება სამღვდელოთა პრობლემებისადმი, მისი რჩევები და გაგულოვნებანი მძლელ ზემოქმედებდა და ეკლესიის მსახურთ ყველა შეჭირვებისა თუ უბედობის უდრტვინველად გადატანას უადვილებდა. მეორეს მხრივ კი, სამღვდელოებასთან მისი ასეთი ურთიერთობა უკანასკნელის ავტორიტეტს ამაღლებდა ხალხის თვალში.

ამჟამად კი, სავალალოდ, აფხაზეთში სამღვდელოების საქმიანობა თითქმის მთლიანად პარალიზებულია. მაჰმადიანობა მხარეში უფრო და უფრო წარმატებით იკაფავს გზას. ადგილობრივ მღვდელმთავრებს ნაკლებად აინტერესებთ აფხაზეთში ქრისტიანობის

განმტკიცება. რაოდენ უსულგულოდ უცქერიან ისინი აფხაზეთში მისიონერულ საქმეს, შეგვიძლია ვიხილოთ სოხუმის საეპარქიო კანცელარიის მდივნის წერილიდან მღვდელ მ. იოანე კერესელიძისადმი. ამ წერილიდან ჩანს, რომ 1892 წელს სოფ. ჩოლოურში მიმდინარებდა გამუსლიმებული აფხაზების მონათვლა. შედგა ახალმონათლულთა სია, რის მიხედვითაც მათი რიცხვი, ორივე სქესისა, 172-ს უდრის. ამის თაობაზე დაუყონებლივ აცნობეს უწმ. სინოდის ობერპროკურორს და საქართველოს ეგზარქოსს. მაგრამ ისეთი ვითარება შეიქმნა, რამაც ძლიერ შეაწუხა მეუფე აგაფელორი. მან მოისურვა სიის შემოწმება და, მისდა გასაოცრად, აღმოჩნდა, რომ მონათლულთა 14 კაცზე ნაკლები. იმიტომ უფრო შეაწუხა ამან მეუფე, რომ ტელეგრამა ობერპროკურორთან უკვე გაეგზავნათ. „ამის გამო, – ნათქვამია წერილში, – მეუფე მოგიწოდებთ თქვენ (ე.ი. მღვდელ კერესელიძეს), ახლავე წახვიდეთ ჩოლოურში და მონათლოთ დანარჩენი რაოდენობა სულებისა. სია კი წარუდგინოთ მას“. წერილი დაწერილია 1 მაისს ოჩამჩირეში, სადაც მ. კერესელიძე ცხოვრობდა. იგი, სასურველ პირობებში, შეიძლებოდა მას 16 მაისს მიეღო, მაგრამ საჭირო იყო, რომ მ. კერესელიძეს ახლადმონათლულთა ნუსხა იმავე თვის 18 და 19 რიცხვში გაეგზავნა. ჩოლოური ოჩამჩირიდან დაშორებულია დაახლოებით 25 ვერსით. კერესელიძე იქ გაემგზავრებოდა 17 მაისს. 18-ში მონათლავდა 14 სულს (მოთხოვნისამებრ, – არანაკლებს), ხოლო 19-ში მას პირადად უნდა წარედგინა სია მეუფისათვის სოხუმში. ამისათვის უნდა გაეკლო სულ მცირე 40 ვერსი. საინტერესო დოკუმენტია! ის ადასტურებს, თუ მღვდელმთავრები როგორი აჩქარებით აქრისტიანებდნენ აფხაზებს<sup>8</sup>. ისინი ზრუნავდნენ არა მოსანათლთა მოსამზადებლად, არა მათი წინასწარი დამოდღვრისათვის რჯულის სამართალში, არამედ მხოლოდ სიის შევსებისათვის; მათ მხოლოდ ობერპროკურორისა და საქართველოს ეგზარქოსის ყურადღების მიქცევა სჭირდებოდათ და სიმაართლე უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში ისინი ერთობ გაწაფულნი იყვნენ.

8 ამის თაობაზე ცნობები რუსულ წყაროებშიც იპოვება (იხ. Церк. Вопросы, стр. 98).

აფხაზეთში ქრისტიანობის ბედის თაობაზე 1897 წელს ქ. სანკტ-პეტერბურგში საუბარი გვექონდა ერთ მაღალი თანამდებობის პირთან, რომელსაც სინოდის საქმიანობაზე არც თუ უმნიშვნელო გავლენა აქვს. სიტყვა ჩამოვარდა ეპ. გაბრიელის მოღვაწეობის შესახებ, რომელსაც ჩინოსანი ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა, მაგრამ ადიდებდა სოხუმის რუს ეპისკოპოსთაგან ერთ-ერთის სამსახურს, რომელსაც თავისი სამწყსოს ენაც კი არ ესმოდა; არა გაეგებოდა რა მისიონერული საქმიანობის არც თეორიული და არც პრაქტიკული მხარისა; სრულებით ვერ ახერხებდა მისიონერულ საუბრებს გამაჰმადიანებულებთან და, როდესაც ხალხს ესაუბრებოდა, თავის თანმხლებ პირებს მისთვის გამოყოფილი ბინის ცალკე ოთახში დაიმართოხლებდა და გამოჰკითხავდა, – ამ მოღვაწეს ჩინოსანი დიდ პატივს მიაგებდა; მას უწოდებდა ჭეშმარიტ მისიონერს, რომელიც აგონებდა მოციქულთა ეპოქის მქადაგებლებს; მოეხიბლა მის მისიონერულ საუბრებს, რომლებიც თითქოს უმეტეს შემთხვევაში ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა, ხის ჩრდილში. ჩვენ, მეუფის ნაცნობები, რომლებიც ვახლდით მას მისიონერულ მოგზაურობათა ჟამს, გაცოცხლებნი ვართ, რა გზით ჩააღწია პეტერბურგამდე ასეთმა ყალბმა ცნობამ ამ მღვდელმთავრის მოღვაწეობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ჩინოსანს ყოველივე მეუფისავე წერილებიდან შეეჭყო. მეუფეს კი დავიწყებოდა მისიონერულ საქმეში საკუთარი უსუსურობა; ის, რომ იგი თავის მისიონერულ მუშაობაში უფრო მეტად პოლიციის წარმომადგენელთა და ჩაფართა ხიშტებსა და მათრახებს ეყრდნობოდა; დავიწყებოდა: თავად ხალხის აღელვების გამო, რომლებიც ვეღარ იტანდნენ შეიარაღებული მისიონერების მხრიდან შეურაცხყოფას, როგორ გაქცეულა, და ისიც არაერთგზის, სოფლებიდან – ჯგერებიდან, აჩადარადან და სხვებიდანაც; მას მხედველობიდან გამოპარვოდა ხალხის სიტყვები, რომ ისინი ააღელვა პოლიციის მოქმედებამ და რომ რწმენის ქადაგთა საწინააღმდეგო მათ არაფერი აქვთ. რადგან ყოველივე დავიწყებოდა, მეუფე თავის წერილში თვითქებას მისცემოდა და პეტერბურგშიც, ცხადია, მისი რწმუნებისა სჯეროდათ.

მღვდელმა კერესელიძემ, აღნიშნული ეპისკოპოსის ამგვარი

უკუქცევის მიუხედავადაც კი, სოფ. ჯგერში ასზე მეტი სული აფხაზი-მუსლიმის მონათვლა შეძლო. ეს ფაქტი მეუფემ უფროსობას ამცნო და, რა თქმა უნდა, თვის მისიონერულ ღვაწლსა და უნარს მიაწერა. უკანასკნელი პერიოდის სოხუმელ ეპისკოპოსებს სხვისი შრომით საკუთარი საქმის გამოწვობა სურდათ. მღვდელი კერესელიძე მისიონერის გზაზე ერთობ გაწაფული იყო, რასაც ცხადყოფს აგრეთვე ჩვენგან ხმობილი ფაქტი. მან დიდი სამსახური გაუწია სოხუმელ ეპისკოპოსებს ამ სფეროში და „კოლოკოლის“ კორესპონდენტსაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც მართებდა თვის შეკავება.

მოვიხმობთ კიდევ ერთ მაგალითს. 1897 წლის დასაწყისში სოფ. ლიძავას მცხოვრებლებმა, მართლმადიდებელმა ესტონელებმა, ეპ. არსენის აახლეს თხოვნა, რითიც შუამდგომლობდნენ ესტონური ენის მცოდნე მღვდელს, რათა იგი მათთვის გაემწესებინათ. ცხადია, თხოვნა იმსახურებდა სრულ ყურადღებას და დასტურყოფას, მაგრამ ყოვლადსამღვდელომ არ ინება საქმის განხილვა. აი, ამ საქმესთან სოხუმის საეპარქიო კანცელარიის ურთიერთობის დამადასტურებელი სიტყვა, რომელიც ბლალოჩინი მღვდლის მ. ლ.ჯიქიას მისამართით ითქვა: „სოხუმის საეპარქიო კანცელარიას აქვს პატივი, უმორჩილესად გამოითხოვოს თქვენი მაღალღირსების ლოცვა-კურთხევა, რათა გამოუცხადოთ გუმისთის რაიონის სოფ. ლიძავას მცხოვრებთ – ანდრია და ვალერი დავიდოვებს, ენგელ და ივანე რაუგებს შემდეგი: მათ თხოვნას მათთან მშობლიური ესტონური ენის მცოდნე მღვდლის განწესების თაობაზე მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ იანვრის 18/20-ს № 106-ით ასეთი რეზოლუცია დაადო – იარეთ ეკლესიაში და ევედრეთ ღმერთს“ (Innř. Nõõ. 1d. eřdõ. in 25 Määrd 1897 ä. eř 4148).

ძნელი სათქმელია, თუ რა სიღრმის აზრს ფარავს ეს რეზოლუცია, რომელიც არ წარმოადგენს პასუხს კითხვაზე, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, კარგად ასაჩინობს ეპ. არსენის, როგორც მღვდელმთავარს და რუსიფიკატორს, არც ერთი სხვა ენის შემწყნარებელს, რუსულის გარდა.

მისიონერული საქმის შესახებ ასეთი ორიგინალური თვალ-

საზრისის დროს სამღვდელოების გამხნეებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. იგი არავის ეხალისებოდა,<sup>9</sup> არავინ ზრუნავდა მისი ინტერესების დაცვაზე, ხალხის თვალში მისი მორალური ავტორიტეტის ამალღებაზე და, ბუნებრივია, მისიონერული საქმიანობაც სოხუმის ეპარქიაში ჩაკვდა. აფხაზეთის სამრევლოებში მღვდელმთავართა რეგულარული რევიზიის შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტია; მრევლს არასდროს ესმოდა საკუთარ მღვდელმთავართა ცხოველი სიტყვა. ეპ. არსენი ერთხელაც არ სწვევია აფხაზურ სოფლებს და ამიტომ ასეთი რევიზია მიანდეს ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველს დეკანოზ იასტრეხოვს. უკანასკნელი კი თავისი რევიზიის დროს დასაქმებული იყო მხოლოდ სამღვდელო პირთა (ეკლესიის მსახურთა) გამოცდების ჩატარებით, მათი ცოდნის შემოწმებითა და სპეციალურ რეველში ნიშნების დასმით.

ცოტა რამ იმის თაობაზეც უნდა ითქვას, რომ ახალმოვლენილ მისიონერთა რუსიფიკატორული მისწრაფებები ხალხისათვის შეუქმ-

<sup>9</sup>დღევანდელ საეკლესიო ცხოვრებაში მღვდელმთვრის მიერ მისდამი დაქვემდებარებულ სამღვდელოთადმი ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულების საუკეთესო მაჩვენებლად გვევლინება ამ სამღვდელოების წარმომადგენელთაგან უმჯობესების ჯილდოებით წახალისება. ვნახოთ, რას ამბობენ ამის შესახებ ოფიციალური წყაროები ბოლო შვიდი წლის მანძილზე სოხუმის ეპარქიაში ეპ. არსენის მმართველობისა.

ეპ. არსენის ცნობების თანახმად, 1898 წელს სოხუმის ეპარქიის სამრევლოთა რიცხვი მთლიანად 95-ს უდრიდა. ამ სამრევლოებში ირიცხებოდა ასზე მეტი მღვდელი, რომელთაგან 65 ქართველი იყო, 14-ბერძენი და 23-რუსი (Дело С. Конторы за 1898 г. <sup>1</sup> 68, тл. 7-13). 1899, 1900, 1901, 1902, 1903, 2904 და 1905 წლების განმავლობაში, ეპ. არსენის წარდგინების თანახმად, ჯილდო გადასცეს 39 მღვდელმსახურს, რომელთაგან ქართველი სამი იყო, ორი – აფხაზი, ყველა დანარჩენი კი – რუსი (იხ. “Оздѣ. Аѣѣ”. დასახ. წლებისა). ამრიგად, არარუსი წარმომოების 79 მღვდელთაგან, ეპ. არსენის წარდგინების მიხედვით, ჯილდოები გადაეცა მხოლოდ ხუთ პიროვნებას (6,3%), ხოლო 23 რუს მღვდელსა და რამდენიმე ბერს იმავე წლების განმავლობაში წილად ხვდათ 34 ჯილდო, გაცემული უწმინდესი სინოდის მიერ, ე. ი. დაახლოებით 140%. აღარაფერს ვამბობთ იმ ჯილდოების შესახებ, რომლებიც გაიცემა უშუალოდ ადგილობრივი საეპარქიო ხელისუფლების მხრიდან. ეს ციფრები მჭევრმეტყველურად ლაპარაკობენ იმის თაობაზე, თუ ეპ. არსენი რამდენად ამჟღავნებდა „სამართლიანობის“ და „შემწყნარებლობის“ უნარს არარუსი წარმომავლობის სამღვდელოთა მიმართ.

ნეველი არ რჩებოდა და ამიტომ ამგვარ მისწრაფებებს არ შეეძლოთ, გავლენა არ მოეხდინათ აფხაზეთში მისიონერული საქმის წარმატებაზე.

ყოველადსამღვდელო გაბრიელი და დეკანოზი მაჭავარიანი, ვიძეორებთ, არ იყვნენ დაქირავებულები: ისინი თავგამოდებით მარტოოდენ ღვთის დიდებისათვის, ჭეშმარიტი რწმენისაგან შორს მყოფთა გადარჩენისათვის ირჯებოდნენ და ამ საღვთო საქმისათვის რაიმე მიწიერი მიზნები მათ არასდროს შეურევიათ, რადგან სწამდათ, რომ ეს მიწიერი მიზნები ხალხის რელიგიურ-ზნეობრივი განათლების საქმეში გადაულახავ სირთულეებს წარმოქმნის – რომ „რწმენა, პლ. იოსელიანის გამოთქმის თანახმად, არის ყველაზე სანდო რგოლი ხალხის შესაკავშირებლად მათი ერთიანობისათვის“. და მართლაც, ექსპერიმენტმა დაადასტურა გამოცდილი მისიონერების შეხედულებათა სიმართლე. მომდევნო მოღვაწეებმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იწყეს, თანაც ხალხისთვის დაუფარავად, თავიანთი რუსიფიკატორული მისწრაფებების მისიონერულ საქმესთან აშკარა აღრევა. მათ უნდოდათ მხარის უსწრაფესი გარუსება ყოველგვარი აუცილებელი ეტაპობრიობის დაცვის გარეშე. მაგრამ ყოველ ხალხს აქვს თვითგადარჩენის იმპულსი, ნაციონალურ თავისებურებათა შენახვის გრძნობა, მეტადრე – ენისა. ამიტომაც: როდესაც ხალხი სასულიერო მთავრობასა თუ რჯულის მქადაგებლებს ამგვარ მისწრაფებებს მიუხვდება, ეჭვებით ისმენს მათ მისიონერულ საუბრებს და, ბუნებრივია, აფხაზები დღეს კბილებით იცავენ თავიანთ მუსლიმურ რწმენას, რადგან მას თავიანთ ნაციონალობასთან აკავშირებენ; მარტო ამ გზით წარმოუდგენიათ მათ თავიანთი თვითმყოფადობის გადარჩენა ქრისტიან მქადაგებელთა ხელყოფისაგან. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, ვინაიდან „სარწმუნოების ამა თუ იმ პოლიციურ სამსახურში ჩაყენება, იუ. ფ. სამარინის სიტყვებს რომ დავუკესხნოთ, სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი ურწმუნოების ქადაგება, შესაძლოა, ყველაზე უფრო საშიში ყველასათვის ადვილად გასაგები მიზეზის გამო.“

აფხაზთა შორის ეპ. გაბრიელის მოღვაწეობის თაობაზე რამდენიმე სიტყვა კიდევ უნდა ვთქვათ: ბ. „რუსის“ სიტყვით, „კირიონი და მისი მეგობრები, რადგან უკიდურესად ქართველურ თვალ-

საზრისებს ავითარებენ, ამტკიცებენ, რომ აფხაზები 15 საუკუნის მანძილზე ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ისმენენ და სკოლებში ქართულად სწავლობენ” („კოლოკოლი“, №45).

ამ სიტყვებით, ჩანს, იმის თქმა უნდათ, რომ ქართველები ყოველთვის უკიდურესი უღმობლობით გამოირჩეოდნენ და ახლაც გამოირჩევიან სხვა ხალხებისადმი, მათი ენებისა და ყოფითი თავისებურებებისადმი. ასეთი აზრი გამომდინარეობს ზემორე სტყვებიდან და ჩვენც ვხედავთ საჭიროებას, რომ ჭეშმარიტების დასადგენად და ამგვარი იდეების პროპაგანდისაგან აფხაზების დასაცავად რამდენიმე სიტყვა ვთქვათ, რადგან ეს პროპაგანდა გათვლილია იმისათვის, რომ ძმათსიძულვილი დაითესოს ქართველთა და აფხაზთა შორის.

ამ შემთხვევაში ჩვენ არ შევუდგებით საუბარს ძველ საქართველოში შემწყნარებლობისა და სინდისის თავისუფლების შესახებ (ამის თაობაზე ისტორიული ცნობა იხ. ბ-ნ ს. გორგაძესთან: „Дух. Вест. Груз. Экаρχата“ за 1905 г., <sup>1</sup> 23-24). წარმოვაჩინო მხოლოდ ეპ. გაბრიელის აზრს იმ ენის შესახებ, რაზეც უნდა მიმდინარეობდეს აფხაზეთში მღვდელმსახურება.

თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ყ-ღსამღვდლო გაბრიელი აფხაზთათვის მშობლიურ ენაზე მსახურებას, შეგვიძლია განვსაჯოთ იმ ფაქტის კვალზე, რომ საღვთო წირვის მსვლელობის დროს მთავარ ასამაღლებლებს, სლაგურ და ქართულ ენებზე წარმოთქმის შემდეგ, იგი აფხაზურ ენაზეც ათარგმნინებდა, რათა ხალხს ახმიანებული სიტყვების აზრი გაეგო (Отч. ибш. за 1868 г. стр. 31). მისი თვალსაზრისის თანახმად, სამურზაყანოში, „სადაც გაბატონებულია მეგრული ენა, ძალზე ახლომდგომი ქართულთან და სადაც ხალხმა იცის ქართული, ღვთისმსახურება ტრადიციისამებრ ქართულ ენაზე უნდა სრულდებოდეს”, ხოლო აფხაზთა სამრევლოებში, რამდენადაც მათთან რუსული ენის მცოდნე მღვდლები იგზავნებიან, წირვა-ლოცვა სლაგურად წარიმართოს (Отч. ибш. за 1868 г. стр. 43). ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სლაგურ ენაზე მსახურებას ის რეკომენდაციას მხოლოდ იმიტომ აძლევდა, რომ აფხაზებისათვის ქართული წირვა ისევე გაუგებარია, როგორც სლაგური და, აქედან გამომდინარე, მოცემულ სიტუაციაში, მისი აზრით,



მსახურებაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს სლავეურს, როგორც სახელმწიფო-საღვთისმსახურო ენას. ასეა თუ ისე, სლავეურ ენაზე მღვდელმსახურება იმ გარემოების გამო ხდება აუცილებელი, რომ აფხაზურად ლიტურგიული წიგნები არაა თარგმნილი.

კავკასიაში ქრისტიანობის უფლ. აღმდგ. საზოგადოება დაარსების დღიდანვე შეუდგა მთის ენებზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნას. 1862-1863 წლების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ შედგენილია კომისია ამგვარი ლიტერატურის სათარგმნელად მთიელთა ენებზე და ამ მიზნით შექმნილია დამწერლობა იმ ტომებისათვის, რომელთაც ასეთი რამ არ გააჩნდათ, მათ შორის – აფხაზებისათვის (Отч. за 1862-1863 г., стр. 9-14). ამ კომისიამ 1864 წელს შეადგინა აფხაზური ანბანი, რომელიც უმთავრესად აფხაზეთის სკოლებში გამოსაყენებლად განკუთვნეს (Отч. за 1864г., стр. 11); აფხაზურ ენაზე გადაითარგმნა წიგნი სათაურით „Доброе чтение православным“ და დაიბეჭდა 2400 ეგზემპლარად, რაც გაიგზავნა კიდევ აფხაზეთში სკოლის მოწაფეებისა და სხვა პირებისათვის უსასყიდლოდ გადასაცემად (Отч. за 1865 г., стр. 26-27). მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ამით დამთავრდა და აფხაზურ ენაზე სამღვდელმსახურო წიგნები არ თარგმნილა. ამ ხარვეზს ეპ. გაბრიელი ძლიერ განიცდიდა და აღნიშნული ლიტერატურის თარგმნის აუცილებლობას სრულყოფილად აცნობიერებდა.

აფხაზეთში თავისი პირველი მისიონერული მოგზაურობის დროს, 1868 წელს, ყ-დ სამღვდლო გაბრიელი გაეცნო კნეინა კესარია შარვაშიძეს (დადიანის შთამომავალს) და, რადგან აფხაზების ქრისტეს რჯულზე მოსაქცევად მისი ღვაწლი და მათი ენის ჩინებული ცოდნა იხილა, შესთავაზა, რათა ხელი შეეწყო აუცილებელი ლოცვების მათ ენაზე გადათარგმნისათვის. „მე ვთხოვე მას, – ბრძანებს ყოვლადსამღვდლო თავის ანგარიშში, – როგორც აფხაზური ენის ჩინებულ მცოდნეს და უნარიანს, მღვდელ გიორგისთან ერთად და ღეკ. მაჭავარიანის მონაწილეობით, ჩამოეყალიბებინა კომიტეტი და ეცადა დაწყებითი ლოცვების, მრწამსის, 10 მცნების და, რამდენადაც მოხერხდებოდა, ლიტურგიისა და სააღდგომო სახარების აფხაზურად თარგმნა“. იგი განაგრძობს: „კეთილი კნეინა,

რომელიც, ხანდაზმულობის მიუხედავად, ჯერ კიდევ მხნედაა, ჩანს, გაახარა დავალებამ და მისი შესრულება აღმითქვა” (Отч. за 1868 г., с. 25-26).

აფხაზებისათვის მათ მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების აუცილებლობის ამ მტკიცებასთან ერთად ეპ. გაბრიელი იმდროინდელი აფხაზი სამღვდელოების შემადგენლობის გადახალისებასაც მოითხოვდა. ამ მიზნით კავკასიაში ქრისტიანობის უფლებათ აღმდგენელ საზოგადოების წინაშე მან 1873 წელს შუამდომლობა აღძრა „სასულიერო სემინარიის მოწაფეთაგან სასურველი კანდიდატების გამორჩევისა აფხაზეთში სამღვდლო სარბიელისათვის მოსამზადებლად და ამ მოწაფეთა მიერ წინასწარ, სემინარიაშივე, აფხაზური ენის გაცნობის თაობაზე, რათა მათ სამქადაგებლო მოღვაწეობას აფხაზეთში მეტი წარმატება ჰქონდეს”. მაგრამ საზოგადოების საბჭომ უარყო ეს წინადადება, რაც დაასაბუთა აფხაზურ ენაზე საღვთისმეტყველო განათლების მქონე მასწავლებლის პოვნის სიძნელით, სახელმძღვანელოების არარსებობით და აფხაზური ენის მასწავლებლის ხელფასისათვის არამწარმოებლური ხარჯით. იმის ნაცვლად, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში აფხაზური ენის სწავლება შემოეღო, საზოგადოების საბჭომ სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში აფხაზი ბავშვებისათვის ხუთი სტიპენდია დანიშნა. საბჭოს აზრით ამ ღონისძიებას ის პრაქტიკული ხეირი ჰქონდა, რომ საზოგადოება თავისუფლდებოდა აფხაზური ენის მასწავლებლის შესანახი თანხისაგან, რადგან ამ ენის შესწავლა „მკვიდრი აფხაზებისათვის არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს”. ამასთანავე, საბჭოს აზრით, აფხაზი ბავშვები, „რომლებიც სემინარიაში საღვთისმეტყველო მეცნიერებებს ისწავლიან, კიდევ დაეუფლებიან სრულყოფილად რუსულ ენას, რაც მათ თავიანთ ეკლესიებში ღვთისმსახურების სკუთარ ენაზე წარმართვისა და აფხაზურად განმარტების შესაძლებლობას მისცემს” (Отч. за 1873 г. с. 26-27).

მოცემულ შემთხვევაში საზოგადოების საბჭო არასწორად მსჯელობდა. სემინარიაში აფხაზური ენის სწავლება, თუნდაც მცირე დროით, არსობრივად აუცილებელი იყო აფხაზეთში მისიონერული

საქმის წარმატებისათვის და არანაირად არ იყო ზედმეტი თვით აფხაზი ბავშვებისათვის. გავითვალისწინოთ, რომ კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ თავისი დაარსების პირველივე დღიდან, როგორც ზემოთ ვთქვით, მიზნად დაისახა მთის ხალხებისათვის, მათ შორის აფხაზებისთვისაც, დამწერლობის შექმნა და ამ ენებზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა. ხოლო იმისათვის, რომ აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო წიგნები წარმატებით ეთარგმნათ, უნდა შეემუშავებინათ, ასე ვთქვათ, საღვთისმსახურო ენა, დაეღვინათ სხვადასხვა საღვთისმეტყველო ტერმინი აფხაზურ ენაზე, რაც შედარებით უკეთ მიიღწეოდა ამავე ენის კათედრის ჩამოყალიბების შედეგად. იქ მასწავლებელი აფხაზ მოწაფეებთან ერთად გამოკვეთდა ყველაზე აუცილებელ ტერმინებს და თარგმნიდა საჭირო სიტყვებს აფხაზურ ენაზე. მაშასადამე, ამ აზრით ეპ. გაბრიელის შუამდგომლობა სავსებით იმსახურებდა ყურადღებას და პატივისცემას. დრომ ისიც გვიჩვენა, რომ სტავროპოლის სემინარიაში სტიპენდიანტებზე იმედი არ გამართლდა. ამ სტიპენდიანტთაგან ეკლესიის მსახურად მხოლოდ ერთი დადგინდა და ისიც არა აფხაზი, არამედ სამურზაყანოელი მეგრელი, რომელსაც მხოლოდ ხელდასხმის შემდეგ მოუწია აფხაზური ენის შესწავლა. სად გაგზავნა საზოგადოებამ დანარჩენი სტიპენდიანტები, განსაკუთრებით – აფხაზები? მათ არ ისურვეს ეკლესიის მსახურებად გახდომა აფხაზთა შორის ასეთი მოღვაწეობისათვის მოუშხადებლობისა და ხალხისათვის გასაგებ ენაზე მსახურების წარმართვის შეუძლებლობის გამო.

ყოველივე ამის შედეგად ნათელია, რომ ეპ. გაბრიელი და მისი თანამოღვაწენი არ იყვნენ მოწამლულნი „უკიდურესი ქართველომანიზმით“ და აფხაზებისადმი სიძულვილით. პირიქით, ისინი მათდამი ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი და ყოველმხრივ ზრუნავდნენ, რომ აფხაზთა შორის დაეწინაურებინათ მოღვაწეები, ქალებიც კი. აფხაზეთში მართლმადიდებლობის სასარგებლოდ ზოგიერთი ქალის წარმატებით მოღვაწეობის ფაქტმა ეპ. გაბრიელი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „აფხაზეთში ქრისტიანული რჯულის გავრცელებას და განმტკიცებას წაადგება რამდენიმე ადგილობრივი ქალის გამორჩევა, რომლებიც ქრისტეს

მხურვალე სარწმუნოებით იქნებიან განმსჭვალულნი; მოემზადებიან მისიონერული ღვაწლისათვის და შემდეგ გაიგზავნებიან სასარების საქადაგებლად ოჯახებში, უპირატესად კი, ქალების წრეში”. მან ღეკ. მაჭავარიანს კიდევ დაავალა, რათა ეზრუნა და მოეძებნა ღირსეული პირები, რომლებიც ამ ტვირთის ზიდვას იკისრებდნენ” (Отч. за 1874 г., стр. 4).

ვიმეორებთ, ეპ. გაბრიელი და მისი თანამოღვაწენი არ იყვნენ დასნებოვანებულნი ნაციონალური მიკერძოებით და უცხოთა სიძულვილით. თავიანთ მოღვაწეობაში, შეიძლება ითქვას, ისინი ხელმძღვანელობდნენ მოციქულისა (კოლ. 3,11; გალ. 3,28) და ეკლესიის მამების ანდერძებით, რომლებიც გვასწავლიან, რომ არ უნდა „მინიჭოს მნიშვნელობა ენობრივ სხვაობას, თუკი გვაღუღაბებს ერთი სარწმუნოება” (იოანე ოქროპირის სიტყვა. იხ. СООБЩЕНИЯ ИМП. ПРАВ. ПАЛЕСТ. ОБШ. 1906, Т. XVII, ВЫП. 2., стр. 175 ).

სოხუმის რუსი ეპისკოპოსები არაფერს აკეთებდნენ საღმრთო წერილისა და სამღვდელმსახურო წიგნების აფხაზურ ენაზე სათარგმნად.

ბ. „რუსის“ თქმით, ეპ. კირიონის დანიშვნით „უნდოდათ სამღვდელოებისათვის ეჩვენებინათ, რომ სოხუმის ეპარქიის დამოუკიდებლად არსებობის 20 წლის განმავლობაში ისინი ამაოდ ასრულებდნენ მორჩილად, სინდისის კარნახით, თავიანთი რუსი მღვდელმთავრების ბრძანებებს”. მაგრამ, ასეთ ვითარებაში, აღნიშნული მღვდელმთავრების საქმიანობის ამგვარად წარმართვის პირობებში, ეპარქიის სამღვდელთა მხრიდან „მორჩილად“ ყოფნა და, „სინდისის კარნახით”, ეკლესიის ინტერესების დასაცავად ხმის დაღუმება დანაშაული და მოციქულთა მოძღვრების სულისკვეთების (საქმ. მოც. 4, 19) საწინააღმდეგო საქმე იქნებოდა. და, საბედნიეროდ, ასე არ მომხდარა: საჭიროების დროს სამღვდელოებამ საკუთარი ხმა აღიმალლა, თავისი მღვდელმთავრებისაგან აფხაზეთში მართლმადიდებლობის ინტერესთა სადარაჯოზე ღგომა ითხოვა და მოითხოვა.

1897 წელს სოხუმის ოლქის სამღვდელოების დეპუტატთა ყრილობაზე დაისვა საკითხი აფხაზთა ცხოვრებაში მუსლიმთა მოძალების სამწუხარო მოვლენის მიმართ მეთვალყურეობის შესახებ.

ყრილობის მონაწილეებმა ადგილობრივ მღვდელმთავარს (არსენის) გამოსთხოვეს მსჯელობის ნებართვა ამ სავალალო ვითარების მიზეზებისა და იმ ღონისძიებათა თაობაზე, რაც მღვდელმსახურებს აუცილებლად უნდა ჩაეტარებინათ ხალხზე მეტი მამაშვილური ზეგავლენისათვის ეპარქიაში ქრისტიანობის ინტერესთა დაცვის მიზნით.

ამას, უეჭველია, სასულიეროთა მისიონერულ ასპარეზზე ეპარქიის მღვდელმთავარ-განმგებლის მშობლისმიერი გამხნეება, სათანადო წახალისება და მოწონება უნდა მოყოლოდა. მან კი საქმეს ასე არ შეხედა. მან სამღვდელოთა ყრილობას ამ აქტუალურ საკითხზე მსჯელობის ნებართვა არ მისცა; თქვა, რომ ეს არ არის მათი საქმე და ამით საფუძველშივე ჩაკლა სასულიერო პირთა მისწრაფება თავიანთი მოვალეობის შესრულებისა სამისიონერო ეპარქიაში. მღვდლებმა, რადგან ამ შემთხვევაში თავიანთი მღვდელმთავრის პოზიცია არ გაიზარეს, უკანასკნელი ხერხი იღონეს. მათ თხოვნით მიმართეს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას, რათა აღნიშნული სავალალო მოვლენის მიზეზების გასარკვევად მკაცრი ძიება დაეწესებინათ, რომელიც დააკვირდებოდა სოხუმის ოლქში ქრისტიან აფხაზებს შორის ისლამისადმი სწრაფვის გაძლიერებას. სინოდალურმა კანტორამ, საქმის თხოვნისამებრ გამოძიების დაწესების ნაცვლად, საჩივარი ასაწონ-დასაწონად და საჭირო ცნობების დასამატებლად ეპ. არსენის გადაუგზავნა და, როგორც ყოველთვის, ძლიერთან სუსტნი დამნაშავედ გამოვიდნენ. მღვდელმთავარმა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სახელზე 1899 წ. 28 მაისის №1227 და 1900 წ. 1 ივნისის №1516 პატაკებში თავად მღვდლები დაამუნათა მისიონერული მოღვაწეობის გზაზე უსუსურობაში და დასვა საკითხი დაახლოებით 20 მოძღვრის სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე, რასაც სინოდალური კანტორა, ცხადია, არ დაეთანხმა (Дело Син. Конторы за 1899 г., # 96).

რა უნდა ექნა სამღვდელოებას საეკლესიო მმართველობის ამგვარი სისტემის, უაზრო რეჟიმის, წინაშე, როდესაც ეკლესია სასულიერო უწყების რუსიფიკატორული მისწრაფებების იარაღად

იყო ქცეული?

კორესპონდენტი ბორგავს, ქართველებმა ბევრი მოღვაწე მხარიდან კინწისკვრით გამოაგდესო. ვარწმუნებ ამ ცნობის ავტორს, რომ რუსი მოღვაწენი კავკასიაში, რომლებიც ყველასადმი, ეროვნებისა და სრწმუნოების განურჩევლად, ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით არიან განმსჭვალულნი, იმ სფეროში, სადაც მსახურობენ, ყოველთვის მშვიდად იგრძნობენ თავს და ყველა პატივისცემით მოეპყრობა მათ. მაგრამ რა არის გასაკვირი, თუ ეპ. არსენი, ქართველებზე ესოდენ დაბოლმილი და მოძულე კაცი, კაცი, რომელსაც ამ სიძულვილის მიცვალებულებზე გადანთხევაც კი შეუძლია, რომელმაც შეურაცხყო სოხუმისა და, ზოგადად, მთელი აფხაზეთის მოსახლეობა თავისი უარით, ნება დაერთო ღვთის ყანის სასახელო მოღვაწის, კათედრალის ყველასათვის საყვარელი დეკანოზის, დ. მაჭავარიანის, გვამის სოხუმის საკათედრო ტაძარში გადმოსვენებაზე და მისი სულის მოსახსენიებელი წირვაც აკრძალა,<sup>10</sup> - ვიმეორებთ, რა არის გასაკვირი, თუ ამნაირ კაცს მეტი არაფერი დარჩენია იმის გარდა, რომ წავიდეს, გაეცალოს ეპარქიას და უთნო სამწყსოს?! რა არის გასაკვირი, თუ გალის ორწლიანი სკოლის რუსი მასწავლებლები, რომლებმაც არ იცინან იმ ხალხის ენა, სადაც მსახურობენ, - მათი ზნენი და ჩვეულებანი, არა გაეგებათ რა მათი ფსიქიური წყობის, არ უყვართ ისინი და ჭიქას ისე არ აწევენ, რომ არ თქვან: „ИЗДОХЛИ ТУНГУЗИ” (ასე ეძახიან ისინი აფხაზებსა და სამურზაყანოელებს), კვლავ ვიმეორებ, - რა არის გასაკვირი, რომ ასეთი მასწავლებლები იძულებული ხდებიან და სტოკებენ თავიანთ სკოლებს?! რა არის გასაკვირი, თუ მხარის ყოველად ძალდატანებით გამარუხებლები, დეკანოზების: ვოსტორ-

<sup>10</sup> დეკ. მაჭავარიანი გარდაიცვალა 1905 წლის იანვარში და ეპ. არსენის მხრიდან მისდამი სიძულვილმა იმ ზომას მიაღწია, რომ მან, პოლიციის, ქალაქის თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენელთა შუამდგომლობის მიუხედავად, დასტური არ ინება მისი ნეშტის ტაძარში შესვენებაზე და აკრძალა სააღაპე წესის შესრულება. რწმენის, სიყვარულის, მშვიდობისა და ყოვლისმომტეველობის მქადაგებლის მიერ ასეთი საშინელი კაცთმოძულეობის გამოვლენის შედეგად საყვარელი მოძღვრის ჭირისუფალი ხალხი იმდენად იყო აღელვებული და შეურაცხყოფილი, რომ მღვდელმთავარს უკადრისი აკადრა.

გოვის, იასტრებოვისა და სხვათა სახით, სტოვებენ სამოღვაწეო ასპარეზს?!

სოხუმიდან გაქცევამდე ახლოხანს ეპ. არსენიმ სოფელ ილორში მეორედ დანიშნა მღვდლად პიროვნება, რომელსაც ერთი სიტყვის თქმა არ შეუძლია არც ქართულად და არც მეგრულად, რაზეც ლაპარაკობენ ილორელები. მღვდელი აღმოჩნდა კეთილსინდისიერი და დატოვა სოფელი ილორი, – განაცხადა, რომ სამრევლოსათვის უსარგებლოდ მიიჩნევს საკუთარ თავს. მან ამის შესახებ მოახსენა ეპ. სერაფიმეს, რომელმაც სავსებით სამართლიანად დაუდასტურა იმავე მღვდელს, რომ იგი არ უნდა წასულიყო იმ სამრევლოში, რომლის ენა არ ესმის. ამბობენ, მღვდელი იმდენად გულადი აღმოჩნდა, რომ ვაბედა და შეჰკადრა მღვდელმთავარს, – ამ საგანზე თავად მასაც მართებდა დაფიქრება მანამ, სანამ სოხუმის კათედრის დაკავებაზე დათანხმდებოდა.<sup>11</sup>

დანარჩენი დეფექტების შესახებ, სოხუმის ეპარქიის მმართველობაში რომ ჰქონდა ადგილი, საუბარს აღარ გავაგრძელებ, ვინაიდან ნათქვამიც კი საკმარისი სიცხადით წარმოსახავს საქმის ვითარებას ამ ეპარქიაში; ნათლად გვიჩვენებს, რამდენად ამჟღავნებდნენ ეპ. კირიონის წინამორბედები სოხუმის ეპარქიაში „იმ ზომიერებას, იმ სამართლიანობას, ტაქტს, გულისხმიერებას“, რაც არის ჭეშმარიტად აუცილებელი ღირსებანი ისეთი მრავალეროვანი ეპარქიისათვის, როგორცაა სოხუმი, და რის პოვნაც ქართველოვობ ავტორს ქართველ ეპისკოპოსში არ სურს. „რუსული გრძნობა“ შესაძლებელია შეურაცხყოს ქართველი ეპისკოპოსის დანიშვნამ სოხუმის კათედრაზე, რომელიც, თურმე, მხოლოდ იმისათვის დაწესდა, რომ იქ უსათუოდ „რუსი ეპისკოპოსი“ იჯდეს („КОЛОКОЛ“, № 45; კურსივი ყველგან ჩვენია). ნუთუ შესაძლებელია, რომ კათედრა მართლაც ამ მიზნით დაარსდეს და არ მოხერხდეს მართლმადიდებელი მოსახლეობის რელიგიურ მოთხოვნილებათა ჯერისამებრ დაკმაყოფილება და მუსლიმთა ქრისტიანობისკენ მოზიდვა მხარეში მისიონერული საქმიანობის უკეთესად წარმართვის გზით? რატომ ეგონათ, რომ ქართველების,

<sup>11</sup> იმის შესახებ, რომ სოხუმელი ეპისკოპოსები სამწყსოს ენის არცოდნის გამო ამ უკანასკნელის თვალში სასაცილოდ გამოიყურებოდნენ, შეგვიძლია ვიხილოთ: „Церк. Вопросы“ გვ. 98. ცნობა ამოღებულია წიგნიდან „Русские Беседы“.

ბერძნების, ესტონელებისა და, საერთოდ, დანარჩენი უცხოტომელების გრძნობა არ განიცდიდა შეურაცხყოფას ყველა იმ უსამართლობის გამო, რასაც მძვინვარე რუსიფიკატორი მოხელეები ჩადიოდნენ?! სინამდვილეში ქართველთა გრძნობა მეტიმეტად ილახებოდა; ისინი იტანჯებოდნენ, ითმენდნენ, თანდათან ავდებოდნენ, კარგავდნენ რწმენას, რის გამოც მწყემსთა და ცხოვართა შორის უფსკრული ჩნდებოდა, — ფუჭდებოდა რუსული კულტურისა და მოქალაქეობის კავკასიაში დანერგვის საქმეც. ყოველივე ამას მკაფიოდ ამჩნევდნენ ისინი, რომელთა გონება ეგოისტურ სწრაფვებს, — საკუთარი ბედის სხვათა უბედობის ხარჯზე აგების სურვილებს, — არ დაეჩრდილა. და ვინც ამას ხმამაღლა განაცხადებდა, რუსეთის მტრად მიიჩნეოდა და ამიერკავკასიის საზღვრებში მისთვის ადგილი აღარ რჩებოდა.

ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი შეცდომები კავკასიაში აღარ განმეორდება, რომ სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლები საღვთო საქმესთან და საეკლესიო მსახურებასთან პოლიტიკური ინტერესების სამსახურს აღარ გააზავებენ და მას მთლიანად საერო ხელისუფლების წარმომადგენლებს მიანდობენ. ეს აუცილებელია, ვინაიდან, „ცერკოვნიე ვედომოსტის“ სამართლიანი სიტყვის თანახმად, „ქრისტიანობა, გარდაქმნის რა უცხოტომელების სულს, ხელშეუხებლად ტოვებს მათ ტომობრივ თავისებურებებს. ქრისტიანობის ჭეშმარიტ მუშაკთა მუშაკობა არის არა ნაციონალური და, მამასადამე, არც რუსიფიკატორული, არამედ მხოლოდ სულიერი, ზნეობრივი“ („Церк. Вед.“, 1906, # 9, стр. 440).

ვიმედოვნებთ და დარწმუნებული ვართ, რომ ყ—დსამღვდელო კირიონი თავისი მოღვაწეობით სოხუმის ეპარქიაში აღადგენს ძმობას და ერთობას ყველა ეროვნებას შორის. ხოლო ამიერკავკასიიდან გაქცეული ანაფორიანებისა და, ზოგადად, ბ. „რუსის“ მსგავსი ქართველოფობების ღვარძლითა და კაცთსიძულვილით სავსე სიტყვები ვერ გამოიღებენ იმ შედეგს, კერძოდ, აფხაზეთში ძმათმძულვარებასა და ძმათამკვლელ სისხლის ღვრას, რასაც ლა-  
მობენ.

არქიმანდ. ამსროსი





შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. დაბეჭდილია ჟურნალში “Духовный Вестник Грузинского Энзархата” (1906,1-15.V,№9-10,გვ. 20-47). ეს იყო საქართვე-

ლოს საეგზარქოსოს ოფიციალური ორგანო; გამოდიოდა თბილისში 1891-1906 წწ-ში; ჰქონდა ქართულენოვანი განყოფილება; რედაქტორები, ერთის (დეკ. გიორგი ხელაძის) გარდა, რუსი სასულიერო პირები იყვნენ; დაიხურა 1906 წელს. დამოწმებული ნომერი (რედაქტორი მღვდ. ნ.პოკროვსკი) უკანასკნელი აღმოჩნდა. შდრ. Г.В. Зерцалов, Библиография русской периодики Грузии, ч. 1 (1828-1920), Тифлис, 1941, с. 45-46.

წინამდებარე თარგმანის ნაწილი დაიბეჭდა ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“, 1995, №1, გვ. 155-160; 2005, №1, გვ. 94-97.

2. ცნობილია, რომ ამ სახელწოდების ყოველდღიური საზოგადოებრივ-ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთი თბილისში 1906 წელს გამოდიოდა. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის ცენტრში მხოლოდ 1-3 ნომრის ეგზემპლარებია დაცული. აღნიშნული ნომრის (45) არც ერთი ეგზემპლარი საქართველოს წიგნსაცავებში შემორჩენილი არ არის. იხ. Г.В.Зерцалов, დას. წიგნი, გვ. 81.

3. კირიონ II (გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი) (1855-1918) – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1917-1918 წწ-ში; ცნობილი საზოგადო მოღვაწე, არქეოგრაფი და მკვლევარი; 1918 წლის 27 ივლისს, დილით, იგი საძინებელ ოთახში (მარტყოფის მონასტერში) მკვდარი იპოვეს. გარდაცვალების მიზეზი გამოძიებამ ვერ გაარკვია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდმა იგი 2002 წლის 1 ოქტომბერს წმინდანად შერაცხა მღვდელმოწამის პატივით: ხსენების დღე – 27.VI (10.VII). ეპ. კირიონი სოხუმის ეპარქიის მმართველად 1906 წლის 2 თებერვალს დანიშნეს (გადმოიყვანეს ორიოლიდან), მაგრამ აფხაზების გაქართველების მცდელობის ბრალდებით თანამდებობიდან მალე გაათავისუფლეს და კოვნოს ეპარქიაში (დღევანდელი ლიტვა) გაგზავნეს. ამდენად, სოხუმის კათედრას იგი რამდენიმე თვე, 1907 წლის დასაწყისამდე, მართავდა. შდრ. ს.ვარდლოსანიძე, კირიონ II, ოზურგეთი, 1994, გვ. 12; გ.როგავა, რელიგია და ეკლესია საქართ-

ველოში (XIX-XX სს.), 2002, გვ. 139-140. ვრცლად კ-პ კირიონ II-ის ბიოგრაფია და მის შესახებ ბიბლიოგრაფია: ხ. ქორრაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II ეროვნულ-საზოგადოებრივი და საისტორიო შეხედულებანი, თბ., 2001 (სადისერტაციო ნაშრომი).

4. თუ ვინ იგულისხმება აქ კონკრეტულად, ვერ ვიტყვით, რადგან საპოლემიკო წერილის ტექსტს ჯერჯერობით ვერ გავვეცანით. შდრ. შენიშვნა 2.

5. სოხუმის კათედრაზე, რომელიც 1885 წელს დაარსდა, ეპ. კირიონის წინამორბედები იყვნენ:

I – გენადი (პავლინსკი) (1886, 28.XII – 1889, 31.III);

II – ალექსანდრე (ხოვანსკი) (1889, 21.V – 1891, 12.II);

III – აგაფელორი (პრეიობრაჟენსკი) (1891, 2.III – 1893. 17.VIII);

IV – პეტრე (დუხოვი) (1893, 19.IX – 1895, 17.I);

V – არსენი (იზოტოვი) (1895, 2.II – 1905, 26.III);

VI – სერაფიმე (ჩიჩაგოვი) (1905, 14.IV – 1906, 3.II).

ვსარგებლობთ ინტერნეტში განთავსებული მასალით (<http://www.days.ru/Life/life4831.htm>). შდრ. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX სს.), თბ., 2002, გვ. 139-140. იქ წარმოდგენილი თარიღები ზემომითითებული თარიღებისაგან რამდენადმე განსხვავდება.

6. ეპ. არსენი (იზოტოვი), დეკანოზები: ვოსტორგოვი და იასტრებოვი საქართველოში XIX-XX სს-ის მიჯნაზე მსახურობდნენ. მათ შესახებ ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილია შემდეგი:

(1) ეპ. არსენი (1823-1909), რომელიც სოხუმის კათედრას 1895-1904 წწ-ში განაგებდა (იხ. ზემოთ), იმპერიის საერო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად 1902 წელს აღნიშნული ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან ჩამოშორებისა და რუსეთის ეკლესიის უშუალო დაქვემდებარებაში მისი გადასვლის

პროექტს ადგენდა. იხ.: ს.ლეკიშვილი, დავიწყებული უმწიფარი წიგნი და მისი ამჟამინდელი დამფასებლები. – „სახალხო განათლება“, 1990, 27.IX, №39; ზ.ცინცაძე, აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტის სათავეებთან. – აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998, გვ. 140; თ.მიბჩუანი, აფხაზეთის ტოპონიმიკა. – იმავე კრებულში, გვ. 155,166;

(2) დეკ. ივანე ვოსტორგოვი (1864-1918) საქართველოში 1894-1905 წწ-ში მსახურობდა, – ჯერ თბილისის გიმნაზიის მასწავლებლად, შემდეგ, 1900 წლიდან, საეგზარქოსოს სამრევლო სკოლების ზედამხედველად; 1903 წელს ეპ. დიმიტრისთან (აბაშიძე) და მღვდ. პოლიევქტოს კარბელაშვილთან ერთად ქართველი წმინდანების სიის დადგენაზე მუშაობდა; 1905 წელს საეგზარქოსოს აღნიშნულ ჟურნალს (შენ. 1) რედაქტორობდა; იყო საქართველოს საეგზარქოსოს „ეპარქიული მისიონერი“. მან 1906 წელს შეადგინა პროექტი, რომლის თანახმად საქართველოს ეკლესიას უნდა ჩამოშორებოდა სოხუმის ოლქი, გაერთიანებულიყო მასთან ბათუმი და ამ ორი ერთეულისაგან ახალი რუსული ეპარქია შექმნილიყო. იგი ამტკიცებდა, რომ „სამურზაყანოელები იგივე აფხაზები არიან და მათ ქართველებთან არავითარი საერთო არა აქვთ“; დეკ. გოროდცევთან ერთად თბილისში შექმნა შავრაზმული ორგანიზაცია „წესრიგის მომხრეთა პარტია“. საქართველოდან წასვლის შემდეგ იგი მისიონერულ საქმიანობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეწეოდა, კერძოდ - ჩინეთსა და იტალიაში, ქადაგებდა ირანშიც სირიელ-ქალდეველ (აისორ) ნესტორიანელებს შორის და სწავლობდა სირიულ-ქალდეურ ენას. გამოირჩეოდა რუსული მართლმადიდებლურ-ნაციონალური ორიენტაციით. დააპატომრეს ანტისემიტური აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით 1918 წლის 20 მაისს მოსკოვში, სადაც 23 აგვისტოს მოწამებრივად აღესრულა რამდენიმე მაღალი თანამდებობის საერო და სასულიერო პიროვნებასთან ერთად. 2000 წელს დეკ. ი.ვოსტორგოვი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა მღვდელმოწამედ გამოაცხადა. ინტერნეტში (<http://gosudarstvo.voskres.ru/heald/vost.htm>) განთავსებული ბიოგრაფიული მიმოხილვები, რითაც ჩვენ ვსარგებლობთ, არ

ახსენებს იმ პრობლემებს, რაც მას საქართველოში ჰქონდა. შდრ. „ნელი“ [კ.კეკელიძე], ახალი სიურპრიზი. — „საქართველო“, 1916, 29.III, №70; ს.ლექიშვილი, დასახ. წერილი; კ.ცინცაძე, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია თბილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მ.ქავთარიამ, თბ., 1994, გვ. 259; ვ.კიკნაძე, სამარადისო შარავანდედი: კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II ცხოვრება და მოღვაწეობა. — ქრისტიანობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები), თბ., 2000, გვ. 64; ს.კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921), თბ., 2003, გვ. 225-226. დეკ. ვოსტორგოვის ანტიქართულ გამოსვლებს უმკაცრესი შეფასება საქვეყნოდ აღიარებულმა პროფესორმა ნიკო მარმა მისცა (ნ.მარი, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905).

(3) დეკ. იასტრეხოვის შესახებ მასალებს (იმის გარდა, რაც არქიმანდ. ამბროსის წერილშია აღნიშნული, - რომ იგი XIX-XX სს-ის მიჯნაზე აფხაზეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი იყო) ვერ მივაკვლიეთ.

სამივე პიროვნება რუსეთის საეკლესიო-იმპერიალისტური პოლიტიკის სამსახურში იდგა და საქართველოში, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მხარდამჭერთა შირის, მათ უარყოფითი რეპუტაცია ჰქონდათ. მრავალი საჩივრის გამო უწმიდესმა სინოდმა ისინი 1905 წელს საქართველოდან გაიწვია.

7. ქართულ გალობას „ძაღლების ყევა“ უწოდა არქიმანდრიტ-მა სერაფიმემ (იაკობ მეჩერიაკოვმა), რომელიც 1893-1898 წწ-ში თბილისის სემინარიის რექტორი იყო (კ. ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან, თბ., 2001, გვ. 41-42) (არქიმანდ. სერაფიმეს ერისკაცობის სახელი და გვარი დაგვიზუსტა დოქტ. ელდარ ბუბულაშვილმა).

8. იგულისხმება ეგზარქოს პავლეს სიტყვა, რომელიც მან 1886 წლის 27 მაისს, სემინარიის რექტორის, ჩუდეცკის, დაკრძალვის დღეს, თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში წარმოთქვა. გავრცელდა ხმა, რომ მღვდელმთავარმა არა მარტო მკვლეელი, იოსებ ლაღიაშვილი, დაწყევლა, არამედ დასძინა: „წყეულიმც იყოს

ხალხი და ქვეყანა, რომელიც ასეთ ბოროტმოქმედებს შობს“. პუბლიკაციაში („Кавказ“, 28.V, №139) ასეთი რამ ნათქვამი არაა (ეპიტაფია საკმაოდ მჭევრმეტყველურია და შინაარსიანიც), მაგრამ გავრცელებული ხმის სიმართლეს დამსწრე საზოგადოება ადასტურებდა. შდრ. კ.ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან, თბ., 2001, გვ. 23-25. ამ ხმის სიმართლეში, ჩანს, არც დიმიტრი ყიფიანს ეპარებოდა ეჭვი, რაც მისი ტრაგიკული აღსასრულის (1887 წლის 24 ოქტომბერი; სტავროპოლი) ერთ-ერთი მიზეზი გახდა (მასალების ბოლო პუბლიკაცია ვრცელი კომენტარებით იხ. წიგნში: საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი. მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვაობა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თამაზ ჯოლოგუამ, თბ., 1997, გვ. 10-16, 68, 191-193).

9. ღურნოვო: ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ღურნოვო (1876-1937) – ცნობილი რუსი ისტორიკოსი, ფილოლოგი და ღვთისმეტყველი; 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა. ვრცლად: ვ.კიკნაძე, სამარადისო შარავანდედი: კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ცხოვრება და მიღვაწეობა. – ქრისტიანობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები), თბ., 2000, გვ. 64-65, 72.

10. ავტორს მხედველობაში აქვს იესო ქრისტეს შეგონება ცრუ მწყემსების შესახებ: „ვინც კარიდან არ შედის ცხვრის ფარეხში და სხვა გზით გადის, ქურდია იგი და ავაზაკი. ვინც კარიდან შედის, ცხვრის მწყემსია იგი. მეკარე უღებს მას კარს; ცხვარს ესმის მისი ხმა და გამოჰყავს ისინი. როცა თავისებს გამოუშვებს, იმათ წინ მიუძღვის და ცხვარიც მისდევს მას, რადგან სცნობს მის ხმას.

უცხოს არ გაჰყვება, გაექცევა, რადგან უცხოთა ხმას არ სცნობს... მე ვარ მწყემსი კეთილი. მწყემსი კეთილი თავის სულს გაწირავს ცხვართათვის. მოჯამაგირე კი, რომელიც არ არის მწყემსი და არც ცხვარი ეკუთვნის, მოსული მგლის დანახვაზე ტოვებს ცხვრებს და გარბის. მგელი კი იტაცებს მათ და ფანტავს. მოჯამაგირე გარ-

ბის, რადგან მოჯამაგირეა იგი და არ ზრუნავს ცხვრებზე“ (იოანე 10:1-13).

11. იგულისხმება შემდეგი კორესპონდენციები:

1) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და სასელმწიფო-საგან განცალკევება (გაზ. „შრომა“, 1906, 12.IV, №7). იქ ნათქვამია: „მღვდლებთან ერთად ავტოკეფალიას თხოულობენ ჩვენი ხალხის ის ელემენტები, რომლებიც შეადგენენ ერის ზედა სართულებს და თავის მაღალის მზრუნველობით დემოსის გაბედნიერებას აპირობენ. ისინი შურით, უკვე დაუფარავის შურით, უცქერიან მეზობელ სომხებს, რომელთაც ეკლესიური ავტოკეფალია ისტორიამ დღევანდლამდე შეუნარჩუნა, თუმცა პოლიტიკური დამიუკიდებლობა რამდენიმე საუკუნეა რაც წაართვა...“ სტატია ანონიმურია; დაწერილია ანტი-რელიგიური და ანტიეკლესიური სულისკვეთებით. ავტორი დასძენს: „ხალხის განთავისუფლება ათას გვარის და ჯურის მონობისაგან აუცილებლად მოითხოვს ეკლესიურ ბატონობისაგან თავის დახწევას...“ იგი კმაყოფილია რუსეთის საეკლესიო პოლიტიკით, რადგან ამ ფაქტმა, მისი აზრით, ქართველ ხალხს თვალები აუხილა, ეკლესიის ავტორიტეტი შელახა და ეკლესიისაგან, როგორც ასეთისაგან, გათავისუფლებას შეუწყო ხელი;

2) ფ.გოგიჩაიშვილი, რა მიზეზია? (გაზ. „ივერია“, 1906, 16.IV, №7, გვ. 1-4) (ამ გამოცემას ავტორი ჟურნალად მოიხსენიებს, რადგან ჟურნალის ფორმა აქვს). მასში ლაპარაკია რევოლუციის აუცილებლობაზე, მარქსიზმის მნიშვნელობასა და ეროვნულ საკითხებზე.

ავტორი არის ცნობილი მეცნიერი და პუბლიცისტი ფილიპე გოგიჩაიშვილი (1872-1950), რომელმაც საუნივერსიტეტო განათლება გერმანიაში შეიძინა და სამშობლოში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით დაბრუნდა. მისი დაკვირვებით, ჩვენი ინტელიგენცია და საქართველოს ეკლესიის მსახურები ვერ ამჟღავნებან ისეთ აქტიურ ეროვნულ და საზოგადოებრივ პოზიციებს, როგორსაც მათი სომეხი კოლეგები. სოფ. შუშაში „რუსის ჯარისკაცებს საშინელი ანბები“ ჩაუდენიათ, რის გამოც ადგილობრივმა სომეხმა ეპისკოპოსმა აშოთმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა უმაღლესი ხელისუფლების

წინაშე იჩივლეს. „ჩვენც გვყავს ეპისკოპოსები, რომელნიც იმავე სარწმუნოებაზე ლოცულობენ, რაზედაც მეფე და მისი მხედრობა, მაგრამ ქართველი ქალების გაუპატიურებამ ვერც ერთი ქართველი ეპისკოპოსი საპროტესტოდ ვერ აამხედრა“.

12. ასეთი შეტაკებები ბაქოში 1905 წლის თებერვალს მოხდა. დაძაბულობის განმუხტვის საქმეში მნიშვნელოვანი სიტყვა იმხანად რელიგიურმა ორგანიზაციებმაც თქვეს: მუსლიმთა, მართლმადიდებელ ქრისტიანთა და სომეხ გრიგორიანთა ეკლესიები კავკასიაში მშვიდობისათვის შეთანხმებულად და თანადროულად ლოცულობდნენ. ამის შეასხებ გვაუწყებს მღვდელი (შემდგომ კათალიკოს-პატრიარქი) კალისტრატე ცინცაძე. იხ. მისი „სიტყვა თქმული სომეხ-თათართა ბაქოში შეტაკების დროს მოწყვეტილ მართლმადიდებელთა მოსახსენიებლად გარდახდილ პანაშვიდის დროს“, რომლის ტექსტი ჩვენ გამოვაქვეყნეთ (გაზ. „ალტერნატივა“, 1999, 19.IX-1.X, №21; ეკლესიის საზღვრები. მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენისტური მოძრაობა, თბ., 2000, გვ. 175-176).

13. ტექსტს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

14. უნდა იგულისხმებოდეს სტატიები გაზეთიდან „ცნობის ფურცელი“: სოხუმი [ქართული წირვა-ლოცვის შესახებ]. – 1897, 4.IX, №624; ქართული წირვა-ლოცვა აფხაზეთში [სამურზაყანოს მცხოვრებთა შუამდგომლობა ქართული ღვთისმსახურების შემოღების შესახებ]. – 1898, 12.III, №479; სოფ ფშავი (ფშავი? - ნ.პ.) [ქართულ სამრევლოებში მღვდელმსახურების რუსულ ენაზე შესრულება]. – 1898, 2.II, №445. ამ სტატიაში ნათქვამია: „ამ სოფლის მცხოვრებნი მხოლოდ მეგრელები არიან, რომელთაც არა თუ სლაგური, რუსული ენაც არ გაეგებათ. ამის მიუხედავად აქაური მღვდელი დავ. ხუციშვილი წირვა-ლოცვას და თითქმის ყოველგვარ ღვდელმოქმედებას სლაგურ ენაზედ ასრულებს. სასურველია, რომ ათასში ერთხელ მაინც გვიწირონ ხოლმე მკვიდრთათვის გასაგებს ქართულ ენაზე.“



15. იგულისხმება 16 გვერდიანი ბროშურა, რომელიც აღნიშნულ წელს პეტერბურგში დაიბეჭდა – Абхазия и Грузия. „ცხუმელი“ ჩვენს სამეცნიერო წრეებში „ახელაიას“ ფსევდონიმადაა ჩათვლილი (შდრ. ს.ლექიშვილისა და თ.მიბჩუანის ზემოდამოწმებული სტატიები). ეს შენიშვნა ასეთი დაშვების საფუძველს არ გვიტოვებს – „ცხუმელი“ წმ. კ-პ ამბროსი არ უნდა იყოს. მის ფსევდონიმთა შორის ამ ფსევდონიმს არც კ-პ კალისტრატე ასახელებს. იხ. მისი ზემოდასახელებული შრომა (შენ. 6, გვ. 129-130). ამასთანავე, „Цхумели“ რომ მართლაც ფსევდონიმია და რომ ამ ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი ერისკაცი არ არის, არც უბრალო სასულიერო პირი, არამედ – „ვინმე მღვდელმთავარი“, თავის დროზე თურმე ხმები დადიოდა, რაც აღნიშნულია ბროშურაში „Абхазия - не грузия“ (Москва, 1907, გვ. 7). ამ ბროშურის ავტორისა და მისი ხელახალი პუბლიკაციის შესახებ იხ. ს.ლექიშვილის ზემოთ დასახელებული წერილი (შენ. 6), აგრეთვე – ზემოთ, გვ. 52-53.

16. ისაუბრა თუ არა ამ საკითხზე ავტორმა სხვა დროს, ჩვენთვის ცნობილი არაა.

17. იგულისხმება „სოხუმელის“ კორესპონდენცია, რომლის სათაურია „სოფლად“. მისი შინაარსი მოკლედ ასეთია: სოხუმის ოლქში ქართველები – მეგრელები და სვანები – დისკრიმინაციას განიცდიან. სოფელ ჩხალთაში, ტყე-ჯაგნარად ქცეულ სახელმწიფო ადგილში, ათი კომლი სვანი ჩაასახლეს. მათ ბევრი იშრომეს და სახლებიც ააშენეს, მაგრამ შემდეგ ადგილობრივმა მთავრობამ გამოაცხადა, ეს მიწები რუსების დასასახლებლადაა განკუთვნილი. ამიტომ ახალმოსახლეები აყარეს და უბინოდ დატოვეს. უარესი ბედი ეწია იმ მეგრელებს, რომლებიც სოხუმის ეპისკოპოსის განმგებლობაში რიცხულ მიწებზე დაასახლეს. მათაც დახნეს, დათესეს, სახლები აიშენეს, მაგრამ მათივე ეპისკოპოსის მითითებით ისინი „სტრაჟნიკებმა“ 1904 წლის 25 მარტს ქუჩაში გამოყარეს და დააწიოკეს. კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „ცხოვრებისაგან

უარყოფილნი, 70 სულამდე, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ქ. სოხუმში ეპისკოპოსის კარს მიაღვა და ცრემლებით ევედრა მწყემსმთავარს, – ექნა წყალობა და მიეცა ნება მომავალი, კარზე მომდგარი დღესასწაულები თავის ქოხებში გაეტარებინათ, მაგრამ ამაოდ. ასე გასინჯეთ, ადგილობრივი ადმინისტრაციაც კი დაეხმარა ბელკრულთ და სთხოვა ეპისკოპოსს, დროებით დაეტოვებინა ისინი, მაგრამ ვერც ამან გასჭრა. ვილაც ეფექტურ სცენების მოყვარულმა პირმა ურჩიათ, – მიდით, სახლის წინ დაიჩოქეთ, ხელები ზეცად აღაპყარით და უსიტყვოდ ასე იდექით, უსათუოდ შეგიბრალებთო. ეს რჩევაც საქმედ აქციეს, მაგრამ ვერც ამან გასჭრა. ისინი იქედანაც განდევნეს, როგორც წესიერების დამრღვეველნი”. ვინ იყო ეს „ეფექტურ სცენების მოყვარული კაცი”, რომელსაც, ჩანს, ჰქონდა საპროტესტო მანიფესტაციების ორგანიზების უნარი და, შესაძლებელია, გამოცდილებაც, არ ვიცით. აღნიშნული მღვდელმთავარი კი უდავოდ ეპ. არსენია. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ უჩვეულო აქციამ ნაყოფი მაინც გამოიღო, – იმავე 1904 წელს ყ-დსამღვდლო არსენი თანამდებობიდან გადააყენეს და მალე საქართველოდანაც გაიწვიეს (მდრ. შენ. 5,6).

18. მითითებული ავტორი, ცნობილი არქეოგრაფი და არქეოლოგი, გრაფინა პრასკოვია უვაროვა (1840-1924), ამ ფაქტის გამო გაკვირვებას გამოთქვამს და მიზეზის ახსნასაც ცდილობს. აი, მისი სიტყვები (ჩვენი თარგმანით): „ძალიან ხშირად გამოთქვამენ გაკვირვებას ისლამისა და მისი მიმდევრების რწმენაში სიმტკიცის და ფანატიზმის სწრაფი აღმავლობის გამო. ხშირად გვიწევს დაფიქრება ფაქტზე, ჩვენს ისტორიაში მკვეთრად გამოხატულზე, დაკავშირებულზე იმ მრავალტომოვან ხალხებთან და ეროვნებებთან, რომლებიც ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთით და სამხრეთით სახლობენ: ეს ხალხები და ეროვნებები რუსეთს უერთდებიან როგორც წარმართები და უცებ, ერთობ მცირე ხნის შემდეგ, თითქოს ჩვენი მთავრობის თანადგომით, ფანატიკოს მუსლიმებად გარდაიქმნებიან. ასე იყო ნოღაელებთან, ყირგიზებთან და ბევრ სხვა არარუსთან; თითქმის ასევე მოხდა აჭარაში, შავშეთსა და ლაზეთში.

ისინი, – აჭარის, შავშეთისა და ლაზეთის ქართველები, რომლებიც IV ს-ში წმ. ნინოს მიერ განათლდნენ; მთელი თორმეტი საუკუნის მანძილზე მართლმადიდებლებად იცხოვრეს და წინარე აღმსარებლობის დიდი ისტორია აქვთ (თუკი მხედველობაში მივიღებთ იმ მართლმადიდებელ ეკლესიებს, რომლებიც დღემდე გვაოცებენ თავიანთი დიდებულებით); რომლებმაც შეინარჩუნეს მშობლიური ენა – 1626 წელს ისლამს იღებენ და წინარე სარწმუნოებას, მათ მიერ ძველთაგანვე პატივდებულ სიწმინდეებსა და ტაძრებს ივიწყებენ. რით და როგორ უნდა აიხსნას მსგავსი მოვლენა, მსგავსი ანომალია? ახსნას, ჩემი დაკვირვებით, ვპოულობთ არა იმდენად თავად მუსლიმთა რელიგიაში, არამედ მუსლიმთა თემის, მუსლიმთა სამრევლოს წესწყობილებაში: ყოველ სოფელს, რაგინდ პატარა იყოს იგი, აქვს თავისი მეჩეთი – ჯამე, ჰყავს თავისი იმამი – მღვდელი და აქვს მედრესე – სკოლა, რომელშიც ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობის ყველა მამრი უსათუოდ განისწავლება. იმამს თემი წერა-კითხვის მცოდნე, ამ საქმეში მომზადებული ადგილობრივი მოქალაქეებიდან ამოირჩევს, ხოლო თანამდებობაზე ხელისუფლება დაამტკიცებს; ჯამაგირს 100-იდან 200 მანეთამდე და შესაწევარ პროდუქტებს, მაგალითად – სიმინდს, ლობიოს და ა.შ., იმამი თემისაგან ლეზულობს; იმამთა საერთო ზედამხედველობას ყადი ეწევა, რომელიც ცხოვრობს იმავე მხარეში და იქ, სადაც მხარის უფროსი ან ბოქაული იმყოფება. ყადისაც სამრევლოები ირჩევენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან, რომელმაც ხალხის სამსახური მეჩეთის მსახურის თანამდებობით დაიწყო და ბოლოს კონსტანტინოპოლში განისწავლა. ყადი ჩვენი მთავრობისაგან ყოველთვიურად იღებს ხელფასს 20 მანეთის ოდენობით; ის მთელი მხარის იმამებს ხელმძღვანელობს (80-მდე სულს), იწვევს საბჭოებს და ზრუნავს მისივე მხარის ყველა საობლო და სამეურვეო საქმისათვის...” ამრიგად, პ.უეაროვა აღიარებს და ადასტურებს, რომ მსოფლიო რელიგიებისაგან განზე მდგომ ხალხებში, მისი თქმით, – წარმართებში, ისლამის დანერგვისა და გაძლიერების ფაქსტს სწორედ ქრისტიანული სახელმწიფოს მმართველობის პირობებში აქვს ადგილი. ნიშანდობლივია, რომ ამ მოვლენის მიზეზად იგი, არქიმანდრიტ ამბროსისაგან განსხვავებით,

რივით მორწმუნეებსა და მათ ხელმძღვანელ პირებს შორის მარტივი და ჰარმონიული ურთიერთობის სისტემის არსებობას მიიჩნევს.

19. მიურიდიზმი – ისლამის ერთგულება, მოწაფეობა. ძირი არაბულია მურიდ, რაც „მაძიებელს“, „მიმდევარს“, „მოწაფეს“ ნიშნავს. თურქულსა და აზერბაიჯანულში მურიდ გამოითქმის როგორც მიურიდი, რაც რუსულ მეტყველებაში შევიდა. აქედანაა მიღებული მიურიდიზმი (იხ. ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 1999, ვვ. 139). მიურიდების მთავარი მიზანი ურწმუნოებასთან ბრძოლაა.

20. იგულისხმება რუსეთ-თურქეთის (ოსმალეთის) ომი 1877-1878 წლებში, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა.

The book represents a work written by the Patriarch of Georgia, His Beatitude Ambrosi (Khelaia) (1861-1927), a missionary, mentor, researcher and a prominent Church figure of the XIX-XX centuries.

The book comprises both the original text written in Russian language and its Georgian translation along with analytical article and commentaries.

This work is of a polemic character; it was written in 1906. Nevertheless, it is closely linked to the present-day situation.

The work offers its readers an interesting insight into issues such as Church-State relations and the concepts of democracy and liberalism. By elaborating the two notions, the author demonstrates that democratic ideas derive from Christian teachings, with their roots found in the Holy Bible.

The following publication is intended for historians, political scientists, researchers in the field of conflict studies and all individuals interested in the problems of Abkhazia, history of the Georgian orthodox church, religion, state and political issues in general.

# ს ა რ ჩ ე ვ ი - С о д е р ж а н и е

წინასიტყვა (გ. ხუციშვილი) ..... 5

Предисловие (Г. Хуцишвили) ..... 7

## გ ა მ ო კ კ ლ ე კ ვ ა

ნ. პაპუაშვილი - წმ. ამბროსი (ხელაია)  
სიმართლისა და თანხმობის სამსახურში ..... 9

## И с с л е д о в а н и е

Н. Папуашвили - Св. Амвросий (Хелаиа) и его  
статья о церковной политике России в Абхазии ..... 71

## П о д л и н н и к

Архим. Амвросий  
По поводу статьи “Голос из Сухума” ..... 84

## თ ა რ გ მ ა ნ ი

არქიმანდ. ამბროსი  
სტატიის გამო „ნმა სოხუმდან“ ..... 121

შენიშვნები (ნ. პაპუაშვილი) ..... 161

The Role of Religion in Conflict and Negotiation

# **Ambrosi (Khelaia) on the Church Policy of Russia in Abkhazia**

<<In response to the article „A call from Sukhumi”>>

(in Georgian and Russian languages)

Editing, analytical article,  
translation and commentaries  
by **Nugzar Papuashvili**

Foreword by **George Khutsishvili**, Ph.D. Philosophical sciences, Prof.

Editor: **Edisher Khoshtaria-Brosset**

Academician

Reviewers: **Zurab Kiknadze**

Doctor of Philological Sciences, Professor

**Tamaz Djologua**

Doctor of Philological Sciences, Professor

**Publication of the ICCN**



**Supported by Cordaid**



**Tbilisi 2005**






რელიგიური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისების აღრევა...  
არის ბოროტება და საბედისწერო უგუნურება...

წმ. ამბროსი აღმსარებელი.

**Смешение религиозной и государственной точек зрения является  
злом и роковым недоразумением...**

**Св. Амвросий Исповедник.**



**ნუგზარ პაპუაშვილი**

**NUGZAR PAPUASHVILI**

მუშაობს ფილოლოგიის, ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიათმცოდნეობის საკითხებზე. სამეცნიერო ხარისხი მოპოვებული აქვს კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის დარგში. არის ძველი ხელნაწერების ისტორიის მკვლევარი, „სალვთისმეტყველო კრებულის“ ორი სპეციალიზებული ნომრისა და ჟურნალ „სიტყვის“ რედაქტორი, ავტორი წიგნებისა: „რელიგიის კარიბჭე“, „მსოფლიოს რელიგიები საქართველოში“, „საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის“ და „საქართველო და მსოფლიოს რელიგიები“

მისი პუბლიკაციების უმრავლესობა საეკლესიო ცხოვრების წარსულისა და თანამედროვეობის, სახელმწიფოსა და ეკლესიის, საეკლესიო და სამოქალაქო საზოგადოებების ურთიერთობათა პრობლემებს ეძღვნება.

is working on issues of Christian theology and religious studies. Mr. Papuashvili has earned his Ph.D. in Philologist. He is a researcher of old manuscripts and editor of “Theological Collection” and “Sitkva” (word) magazines. He has published three monographs: “Gates of Religion”, “World Religions in Georgia”, “Georgian Church between the Two World Wars” and “Georgia and the World Religions”

Most of his publications are devoted to the problems of relation between past and present, the State and religion, ecclesiastic and secular societies.

**ISBN 99940-805-9-8**